

დემოკრატია ფიდელ კასტროს კუბაში

A2



„თქვენი აფხაზეთი"

A6



ვარიაციები თემაზე - ხოფერია გადადგა!

A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 12 ივლისი, 2006 წელი. №154 (1306) | ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge


"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი



C2

## ამბები

### წინასაარჩევნო ბიუჯეტი

დღეს თბილისის საკრებულო 2006 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას აპირებს. 24 მილიონი ლარით გაზრდილი ბიუჯეტიდან პენსიონერებისთვის პენსიის გაზრდა და სტუდენტებისთვის ხელფასების დარიგება იგეგმება. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ბიუჯეტის ზრდა თბილისის მერის მიერ ამომრჩევლის მოსყიდვას ემსახურება.

A2

## სამართალი

### „მე ვამბობ სიმართლეს"

„მხოლოდ სიმართლის თქმას ვაპირებ, მე ვიცი, რა არის სიმართლე. პროკურატურას ჩვენებას მივცემ და იმედი მაქვს, რომ გამოძიება, ამჯერად მაინც, ჩემი ჩვენების შესაბამისად წარიმართება," - ეს იმედიანი განცხადება სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტის ერთ-ერთმა მთავარმა მოწმემ და ამავდროულად, დაზარალებულმა ლევან ბუხაიძემ გუშინ, თბილისის პროკურატურაში შესვლის წინ გააკეთა.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 12/07 | 13/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | 35 |
| ბათუმი | 32 | 37 |
| სოხუმი | 32 | 35 |
| ქუთაისი | 35 | 38 |
| გორი | 30 | 33 |
| ონი | 25 | 28 |
| ზუგდიდი | 35 | 38 |
| ახმეტა | 33 | 34 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7700 |
| ევრო | 2.2544 |
| ბრიტანეთის სტერლ. | 3.2614 |
| რუბლი | 0.0658 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| ინტერვიუ | A 5 |
| პროექტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# „ცინიკური დებატები" პატარა ქვეყანაში და დიდი პოლიტიკა

სოფო ბუკია

*ოპოზიციის გუშინდელი ვარაუდები ჯერჯერობით არ მართლდება. პრეზიდენტი სააკაშვილი არ აპირებს მთავრობაში დრამატული ცვლილებების განხორციელებას. ერთადერთი სიახლე, რაც სამთავრობო ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს, გარემოს დაცვის მინისტრის გიორგი პაპუაშვილის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნაა. ამ საკადრო გადაადგილებას პრეზიდენტი ხელს მაშინ მოაწერს, როდესაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან კონსულტაციებს გაივლის. ამის შესახებ პრეზიდენტმა სააკაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*მიხეილ სააკაშვილი: "ჩვენ აშშ-სა და ევროპელი მეგობრების მხარდაჭერა გვაქვს".*

# საქართველო მარტო აღარ დარჩება

*აშშ-ში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის დროს საქართველოს მიმართ ვაშინგტონის სრული მხარდაჭერის დეკლარირება მოხდა. საქართველოს საკითხი „დიდი რვიანის" სამიტზე დაისმება, აშშ საქართველოს კონფლიქტების ეტაპობრივ მოგვარებაში და რუსეთთან ურთიერთობაში არსებული პრობლემების დაძლევაში დაეხმარება. მთავარი შენიშვნა აშშ-ს მხრიდან საქართველოში სასამართლოს რეფორმირების აუცილებლობა გახდა. ვიზიტის დეტალებზე და მიღწეულ შედეგებზე „24 საათი" საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს* ***ნიკა რურუას*** *ესაუბრა.*

დიმიტრი ავალიანი

**- საქართველოს პრეზიდენტმა აშშ-ს პრეზიდენტთან გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა, რომ პრეზიდენტებმა ისაუბრეს საკითხებზე, რომლებიც „დიდი რვიანის" მომავალ სამიტზე განიხილება. თუმცა, მას არ დაუკონკრეტებია, რა საკითხებზე ჰქონდათ საუბარი. თუ შეგიძლიათ გვითხრათ რაიმე ამ საკითხების შესახებ?**

- სრული დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, რადგანაც ეს მოვლენებისთვის წინსწრება იქნება, რაც ჩვენს ინტერესებში არ არის. თუმცა, „დიდი რვიანზე" აუცილებლად იქნება წამოწეული საქართველოს საკითხი. რა თქმა უნდა, ეს ყველა იმ საჭირბოროტო საკითხის წამოწევას გულისხმობს, რომელიც დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას. ეს არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ენერგეტიკული უსაფრთხოება, ანუ ალტერნატიული ენერგოდერეფნები, და ეს არის ზოგადად დემოკრატიის, თავისუფლების გავრცელება რეგიონში.

გაგრძელება A5 გვერდზე



ბესო გულაშვილის ფოტო

*ნიკა რურუა: "რაც უფრო წარმატებულები ვართ, მით უფრო იზრდება წინააღმდეგობა ჩვენი არაკეთილისმოსურნეების მხრიდან".*

# კონტრდარტყმა დემოკრატიაზე

ფრედ ჰიატი

*ვაშინგტონ პოსტი*

1991 წელს, კომუნიზმის კოლაფსისას, არავინ ელოდა, რომ დემოკრატია ყველგან და დაუყოვნებლივ გაიმარჯვებდა. მაგრამ, ისიც არავის წარმოედგინა, რომ როდესმე მასზე „მეორე მხარე" კიდევ მიიტანდა იერიშს. და მაინც ვინ არის ეს ბურუსით მოცული „მეორე მხარე"?

აღსანიშნავია, რომ როდესაც ვლადიმირ პუტინი წელს პირველად უხელმძღვანელებს „დიდი რვიანის" სამიტს, მთავარი განსახილველი საკითხი არ იქნება ის, რომ რუსეთმა ვერ შეძლო დემოკრატიის კონსოლიდაცია (ის, რასაც „დიდი შვიდეულის" წევრები რუსეთისგან ათი წლის წინ, ორგანიზაციაში მიწვევის დროს ელოდნენ). ყურადღება სხვა რამეზე გამახვილდება (რაზეც ნაკლებად საუბრობენ დღეს) - იმაზე, რომ პუტინი გახდა დემოკრატიის გავრცელებასთან ბრძოლისა და მის წინააღმდეგ აქტიური მოძრაობის ლიდერი და სიმბოლო.

**„როგორც ჩანს,** - აღნიშნავს რესპუბლიკელი სენატორი, სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე რიჩარდ ლუგარი, - **ავტორიტარულმა სახელმწიფოებმა კონტრშეტევაზე გადასვლა განიზრახეს".**

გაგრძელება A3 გვერდზე



*სააკაშვილის წარმატება, შესაძლოა, მეტად სახიფათო იყოს პუტინისათვის.*

# უმრავლესობა არ წავიდა ტყუილის გზით

### უმრავლესობა წავიდა სიმართლის დამალვის გზით

გიორგი ასანიშვილი

თბილისში სტუმრად იმყოფება ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარი თომას ჰამანბერგი, რომელიც გუშინ ქართველ კანონმდებლებს შეხვდა. ჰამანბერგი ჯერ ევროსაბჭოში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრებს ესაუბრა, შემდეგ კი - ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლებს.

ელენე თევდორაძის თქმით, ევროსაბჭოს დელეგაცია, ჰამანბერგის მეთაურობით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებათა დარღვევების შესასწავლად ჩამოვიდა. **„ძალიან გულახდილი საუბარი იყო. არ დაგვიმალავს არც ერთი პრობლემა, რომელიც დევნილებს უკავშირდება,"** - აცხადებს ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.

თავის მხრივ, გიგა ბოკერია აღნიშნავს, რომ საუბარი შეეხო აგრეთვე პენიტენციურ სისტემაში არსებულ მდგომარეობას და სტუმრებმა მე-5 იზოლატორის საკითხზე გაამახვილეს ყურადღება.

**„ცალკეულ საქმეებთან დაკავშირებით მსჯელობა არ ყოფილა. ლაპარაკი იყო პრობლემებსა და გზებზე, რომლებიც ჩვენს გეგმებში შედის. ისინი, ძირითადად, გვისმენდნენ,"** - ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს საკმაოდ ზოგად კომენტარს აკეთებს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი.

უფრო მრავალმხრივი ინფორმაცია მიაწოდა მასმედიას ლევან ბერძენიშვილმა, რომელიც გუშინ ორჯერ შეხვდა თომას ჰამანბერგს - ჯერ როგორც ევროსაბჭოში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრი, შემდეგ კი როგორც ოპოზიციონერი დეპუტატი. რესპუბლიკელი პარლამენტარის თქმით, უმრავლესობა არ წავიდა ტყუილის გზით, უმრავლესობა წავიდა სიმართლის დამალვის გზით.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ევროსაბჭო საქართველოს დაეხმარება

### რეპატრიაციისთვის საერთაშორისო ფონდი შეიქმნება

*ევროსაბჭო საქართველოს ხელისუფლებას, დეპორტირებული მესხების რეპატრიაციის მიზნით, საერთაშორისო ფონდის ჩამოყალიბებაში დაეხმარება. საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების თანახმად, მესხების სრული რეპატრიაცია ქვეყანაში 2011 წლამდე უნდა დასრულდეს.*

ნათია მსხილაძე

საქართველოს ხელისუფლების გეგმები მაჰმადიანი მესხების საქართველოში რეპატრიაციასთან დაკავშირებით ევროსაბჭოს გუშინ სახელმწიფო მინისტრმა, გიორგი ხაინდრავამ გააცნო. მისი განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება იმედოვნებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა, აღნიშნული რეპატრიაციის პროცესის განსახორციელებლად, ქართულ მხარეს ფინანსურად დაეხმარება.

სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, ევროსაბჭო ქართული მხარის თხოვნას, მაჰმადიანი მესხების საქართველოში რეპატრიაციისათვის საერთაშორისო ფონდის დაფუძნების შესახებ, გაგებით ეკიდება. მინისტრის თქმით, საქართველოს ევროპელ პარტნიორებს კარგად ესმით, რომ მაჰმადიანი მესხების რეპატრიაციის საკითხის გადაჭრას, დასავლეთის ფინანსური მხარდაჭერის გარეშე, მარტო საქართველოს ხელისუფლება ვერ განახორციელებს. **„საქართველოს ხელისუფლება დასავლეთის მხარდაჭერით ყველაფერს გააკეთებს, რომ ხელი გაუწოდოს ყველა იმ მაჰმადიან მესხს, რომელთათვისაც საქართველოს მიწა გულისტკივილისა და ლტოლვის საგანს წარმოადგენს.**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ინციდენტის ღამე მოწმეთა ჩვენებებით

### ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმე

*თბილისის საქალაქო სასამართლოში ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმის განხილვა გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღის წინ რობაქიძის ოჯახის წევრებმა განაცხადეს, რომ სანდრო გირგვლიანის საქმის ობიექტურად დასრულებამდე, ისინი სასამართლო სხდომებზე არ გამოცხადდებოდნენ, გუშინ პროცესზე მაინც მივიდნენ.*

სასამართლო სხდომას ესწრებოდა საპატრულო პოლიციის თანამშრომელი გრიგოლ ბაშალეიშვილიც, რომელიც აღნიშნულ საქმეზე ერთადერთი განსასჯელია და მას გაუფრთხილებლობით მკვლელობის მუხლით ასამართლებენ.

გუშინდელი პროცესი ამირან რობაქიძის იმ მეგობრის - ლევან დანგაძის დაკითხვით დაიწყო, რომელიც 2004 წლის 23 ნოემბრის ღამეს რობაქიძესთან ერთად იყო და აქედან გამომდინარე, მკვლელობის თვითმხილველიცაა. სასამართლო დაკითხვისას დანგაძემ დაწვრილებით გაიხსენა, თუ როგორ მოხვდნენ ის და მისი მეგობრები ტრაგედიის ადგილზე.

**„23 ნოემბერს დილომში მეგობართან ვიყავით, თუმცა არც ერთს არ დაგვილევია. იქიდან მეგობრის ავტომანქანით წამოვედით. დაახლოებით დიდუბის ეკლესიასთან ვიყავით, როდესაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გაგვაჩერეს. მძღოლის გარდა მანქანიდან ყველანი გადმოვედით და პოლიციელებს მშვიდად ვესაუბრებოდით. მათ გიორგობის დღესასწაულიც კი მივულოცეთ. საუბრის დროს ავტომანქანაში დარჩენილმა გიორგი ქურდაძემ გააღო კარი, რომელიც ბორდიურს მიეჯახა. ამ დროს პატრული მიიჭრა ქურდაძესთან და მიწაზე დააწვინა. მეორე პოლიციელმა კი ამოიღო პისტოლეტი და ჩვენ მოგვიშვირა. პარალელურად, პატრულმა გამოიძახა დამატებითი ჯგუფი, რომლებიც შემთხვევის ადგილზე რამდენიმე წუთში მოვიდა,"** - იხსენებს ლევან დანგაძე.

როგორც დანგაძემ აღნიშნა, რამდენიმე წუთში მისული საპატრულო პოლიციის დამატებითი ჯგუფის ავტომანქანიდან ორი პოლიციელი გადმოვიდა, რომლებმაც ფეხზე დარჩენილ მეგობრებსაც მიწაზე დაწოლა უბრძანეს და თან იგინებოდნენ. მოწმის ჩვენებით, როდესაც ამირან რობაქიძემ ასფალტზე დასაწოლად მუხლი მოხარა, ამ დროს მან გასროლის ხმა გაიგო, რასაც რამდენიმე წამში მეორე გასროლაც მოჰყვა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## კონფერენცია ხორვატიაში

ხორვატიაში დასრულდა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „დუბროვნიკი 2006 - ევროპის სამხრეთ განზომილების მომავლის პერსპექტივები: ფასეულობები და ვალდებულებანი“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. კონფერენციაზე განხილული იყო ევროკავშირისა და ნატოს ღია კარის პოლიტიკა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნების გრძელვადიანი სტაბილურობისა და კეთილდღეობის საქმეში.

კონფერენციაზე აღინიშნა საქართველოს როლი ერთიანი ევროპის უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე პროცესებში. კონფერენციას ესწრებოდნენ ევროპის ქვეყნების პრემიერ-მინისტრები, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები, ასევე ევროკავშირის, ნატოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი რანგის წარმომადგენლები.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 13 ივლისს თურქეთს ეწვევა და მონაწილეობას მიიღებს თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის საექსპორტო ნავთობსადენის პრეზენტაციის ცერემონიაში.

პრეზიდენტი საქართველოში 13 ივლისსვე დაბრუნდება. **ინტერპრესნიუსი**

## „ნათელი გზით“ ნატო-სკენ

აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში საქართველოს, ნატოში შესასვლელად „ნათელი გზით“ სიარულისკენ მოუწოდებს, მაგრამ იმავდროულად აცხადებს, რომ მისი ალიანსში შესვლა „ფაქტი ჯერ არ არის“.

ასეთი პასუხი გასცა აშშ-ს პრეზიდენტმა „იტარტასის“ კორესპოდენტს თეთრ სახლში, სანკტ-პეტერბურგში გამგზავრების წინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვაშინგტონში ვიზიტისას აშშ-ს პრეზიდენტმა გამოთქვა მოსაზრება, რომლის თანახმადაც საქართველოს ნატოში გაწევრიანება „ნატოსათვის სასარგებლო იქნებოდა“.

ბუშის აზრით, „საქართველოში არსებული ორივე კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესებშია“. მან ასევე აღნიშნა, რომ „ნატოს ინტერესებშია თავის რიგებში ისეთი ქვეყნების მიღება, რომლებშიც „ხელისუფლება დემოკრატიულია, კანონს ემორჩილება, აქვს საბაზრო ეკონომიკა, უშვებს თავისუფალი აზრის არსებობას და აქვს თავისუფალი პრესა“.

„საქართველოს ნატოს წევრობა ფაქტი არ არის. მე მხოლოდ იმაზე ვსაუბრობ, რომ ნატოში საქართველოს გზა ნათელი უნდა იყოს, იმისათვის, რომ მათ ყველაფერი გააკეთონ ნატოს წევრობის დამსახურებისათვის“ - აღნიშნა ჯორჯ ბუშმა.

მისივე შეფასებით, საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე საუბრისას, მან დააფიქსირა პოზიცია, რომლის თანახმადაც „აშშ საქართველო-ნატოს დიალოგს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს“. **ინტერპრესნიუსი**

## გერმანიას საქართველოში ახალი ელჩი ჰყავს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს გელა ბეჟუაშვილს გუშინ საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალმა ელჩმა პატრიცია ჰილდეგარდ ფლორმა რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა.

რწმუნებათა სიგელების ასლების გადაცემის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ გამართულ შეხვედრაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა და უცხოელმა დიპლომატმა ორმხრივი ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები და სამომავლო თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები განიხილეს.

საუბრისას აღინიშნა, რომ საქართველოსთვის, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის თვალსაზრისით, გერმანიის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია. **ინტერპრესნიუსი**

## ოსები გზის გახსნას ითხოვენ

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად მოქმედ შერეულ საკონტროლო კომისიაში სამხრეთ ოსური მხარის წარმომადგენელი ბორის ჩოჩიევი ქართული მხარისაგან ტრანსკავკასიური მაგისტრალის გახსნას სასწრაფოდ მოითხოვს.

ამ მოთხოვნის შემცველი წერილით საქართველოს სახელმწიფო მინისტრს გოგა ხაინდრავას გუშინ სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პირველმა ვიცე-პრემიერმა და შერეულ საკონტროლო კომისიაში სამხრეთ ოსური მხარის წარმომადგენელმა ბორის ჩოჩიევმა მიმართა.

„იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე უკანონოდ დაკეტილ ტრანსკავკასიურ მაგისტრალს ხვალამდე არ გახსნის და მოქალაქეებს თავისუფლად გადაადგილების საშუალებას არ მისცემს, ოსური მხარე იძულებული გახდება ადეკვატური ზომები მიიღოს“, - ნათქვამია სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის სამინისტროს მიერ დღეს გავრცელებულ წერილში.

8 ივლისს რუსულმა მხარემ ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე სარემონტო სამუშაოების დაწყების საბაბით, საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ზემო ლარსზე არსებული საკონტროლო-გამშვები პუნქტი დახურა.

ზემო ლარსის გამშვები პუნქტის დახურვის გამო, რუსეთიდან საქართველოში მომავალ მგზავრთა უმრავლესობამ სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით სცადა საქართველოში დაბრუნება.

იმის გამო, რომ ქართული მხარე ცხინვალის ხელისუფლების საკონტროლო გამშვებ პუნქტებს არ აღიარებს, რუსეთიდან საქართველოში მომავალ მგზავრებს თვითმფრინავით, ან აზერბაიჯანის გავლის რკინიგზით სარგებლობას სთავაზობს. **ინტერპრესნიუსი**

**FRANCK PROVOST**
**Paris**

**ფრანგული თმის სალონი-ს ფილიალი საქართველოში**

**აცხადებს კონკურსს პროფესიონალი ხელოსნების მიღებაზე**
**მოთხოვნები:**

**-არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილების მქონე სტილისტები, 20დან-40 წლამდე**
**ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით**
**ტელ.: (995 77) 99 55 22**
**(995 99) 26 77 97**
**(995 99) 14 30 06**
**გამოხმაურების საბოლოო ვადაა: 20 ივლისი**

# წინასაარჩევნო ბიუჯეტი

*დღეს თბილისის საკრებულო 2006 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას აპირებს. 24 მილიონი ლარით გაზრდილი ბიუჯეტიდან პენსიონერებისთვის პენსიის გაზრდა და სტუდენტებისთვის ხელფასების დარიგება იგეგმება. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ბიუჯეტის ზრდა თბილისის მერის მიერ ამომრჩევლის მოსყიდვას ემსახურება.*

თამარ დვალი

თბილისელი პენსიონერები სექტემბრიდან პენსიას სტაჟისა და ნამსახურების მიხედვით მიიღებენ. მათ, ვინც 5 წლამდე იმსახურა, 2 ლარით გაეზრდება პენსია, 5-15-მდე - 4 ლარით, 15-25 წლამდე - 7 ლარით და 25 წლის ზემოთ 10 ლარით.

იმისათვის, რომ პენსიონერებმა გაზრდილი პენსია მიიღონ და სტუდენტები დროებით დასაქმდნენ, დედაქალაქის ბიუჯეტში მორიგი ცვლილები შედის. დამატებული 24 მილიონი ლარიდან 4 მილიონი პენსიებს, ხოლო 2 მილიონი სტუდენტების ხელფასებს მოხმარდება. დანარჩენი 18 მილიონი ლარი, სავარაუდოდ, ქალაქის კეთილმოწყობის დაფინანსების ზრდას მოხმარდება. ოპოზიცია თვლის, რომ სექტემბერში პენსიების გაზრდა წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია.

**„ჩვენ მივესალმებით პენსიების ზრდას, თუმცა ეს რომ იანვრიდან მომხდარიყო, კანონზომიერი იქნებოდა, ახლა აშკარაა, რომ ეს არჩევნებს უკავშირდება. სახელმწიფო პენსიებს ნამსახურების მიხედვით არ გასცემდა და ახლა დანამატს ამ პრინციპით გასცემს, რაც არალოგიკურია. ისიც გაურკვეველია, თუ რატომ უზრდიან პენსიას მხოლოდ თბილისელ პენსიონერებს და არა რაიონში მცხოვრებლებს,“** - აცხადებს ფრაქცია „ახლების“ ლიდერი გიორგი მოსიძე.

ოპოზიციის განცხადებით, მართალია თბილისის საკრებულოს დედაქალაქის ბიუჯეტში ცვლილებები ჯერ არ შეუტანია, თუმცა ფულის ხარჯვა უკვე დაწყებულია. მოსიძის თქმით, 100 ათასი ლარი სტუდენტური პროგრამით დასაქმებული ახალგაზრდების კეპებისა და მაისურების შესაძენად დაიხარჯა. როგორც მერიის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა აცხადებს, არ შეიძლება პენსიების ზრდა არჩევნებს დაუკავშირონ.

**„ჩვენ პენსიებს მხოლოდ წელს არ ვზრდით და ეს პროცესი მომავალ წელსაც გაგრძელდება. მომავალში პენსიების ზრდა არა მარტო თბილისს, არამედ მთელ საქართველოს მოიცავს,“** - აცხადებს ქაცარავა.

# დემოკრატია ფიდელ კასტროს კუბაში

**აშშ კუბის ტრანსფორმაციის გეგმის განხორციელებას იწყებს**

თეა მაისურაძე



ამერიკის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის ინიციატივით გამოიყო 80 მილიონი ამერიკული დოლარი, რაც, მისი განცხადებით, კუბაში დემოკრატიის განვითარებას უნდა მოხმარდეს. კუბის ხელისუფლება აშშ-ს ქმედებას აგრესიულს უწოდებს და მიიჩნევს, რომ ამგვარი პოლიტიკით შეერთებული შტატები შეურაცხყოფს კუბის სუვერენიტეტს და საერთაშორისო სამართალის პრინციპებსა და ნორმებს არღვევს.

კუბის ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტის, რიკარდო ალარკონის განცხადებით, აშშ-ს ქმედებები ყოველგარ ჩარჩოებს სცილდება. ის საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდებს, რათა მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და წინ აღუდგეს ჰეგემონის განზრახვას: **„აშშ ვერ გაანადგურებს ერს და ამ თვალსაზრისით წარმატებას ვერ მიაღწევს კუბაში, თუმცა ამგვარი ქმედებებით ცალკეულ ადამიანებს მიაყენებს ზიანს,“** - განაცხადა მან.

აშშ-ს პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის განცხადებით, ამერიკას შეუძლია დახმარება გაუწიოს კუბელ ხალხს მათი ქვეყნის ტრანსფორმაციის პროცესში, რაც კუბაში თავისუფლებისა და დემოკრატიის დამყარებას ისახავს მიზნად. **„ჩვენ არა მარტო ველოდებით კუბაში გარკვეულ ცვლილებებს, არამედ აქტიურად ვმუშაობთ ამ ცვლილებების მისაღწევად,“** - ხაზგასმით არის აღნიშნული მოხსენებაში, რომელიც თავისუფალი კუბის დახმარების კომისიამ შეადგინა. აღნიშნული დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს მკაცრ სანქციებს კუბაში არსებული კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ და ყოველგვარი აკრძალული ინფორმაციის მიწოდებას იმ კუბელებისათვის, რომლებიც ქვეყანაში დემოკრატიულ ცვლილებებს ემხრობიან და თავისუფლების მიღწევა სურთ.

საყურადღებოა, რომ კუბის დახმარების კომისია 2003 წელს ჯერ კიდევ კონდოლიზა რაისის წინამორბედის, კოლინ პაუელის დროს შეიქმნა ჯორჯ ბუშის ინიციატივით. აღნიშნული კომისიის მიზანია, არ დაუშვას ფიდელ კასტროს ძმის, რაულ კასტროს მიერ კუბის ლიდერის თანამდებობის დაკავება და დაამხოს ფიდელ კასტროს რეჟიმი. თავისუფალი კუბის დახმარების კომისიის მიერ პირველი რეკომენდაციები 2004 წელს იქნა შემუშავებული.

კონდოლიზა რაისი, რომელიც ამ კომისიის ერთ-ერთი წევრია, მიიჩნევს, რომ აშშ-ს მიერ კუბის დაფინანსების მიზანს აქ არსებულ ოპოზიციურ ძალთა ლიდერების დახმარება და იმ ხალხის გამხნევება წარმოადგენს, რომლებიც შიშის გამო დუმილს ამჯობინებენ, თუმცა გულში და გონებაში თავისუფალ მომავალზე ოცნებობენ.

ბოლო პერიოდში აშშ კუბასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გააქტიურდა, რადგან ფიდელ კასტრო, რომელიც 1959 წლიდან სათავეში უდგას კუბას, აგვისტოში 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად ემზადება და ამავდროულად კუბის ლიდერს სურს, თავის 75 წლის ძმას, რაულ კასტროს საზეიმო ვითარებაში გადასცეს ქვეყნის მმართველის თანამდებობა, რაც, რა თქმა უნდა, აშშ-სთვის ძალზე მიუღებელია. თავად ფიდელ კასტრო, რომელიც კუბის რევოლუციას „უნივერსალური ეთიკის საფუძვლად“ მიიჩნევს, აღნიშნავს, რომ ყველა ადამიანი, რომელსაც ამ რევოლუციის შედეგად მიღებული სისტემის დაშლა სურს, გონებრივად შეზღუდულია. კუბის ლიდერი ფოკუსირებას ახდენს აშშ-ს სახელმწიფო მდივანზე და მას „გიჟს“ უწოდებს. საყურადღებოა, რომ კონდოლიზა რაისი აქტიურად არის ჩაბმული კუბის ტრანსფორმაციის გეგმაში: **„მოვიდა დრო, რომ დასრულდეს კუბის 46 წლიანი მმართველობა,“** - აღნიშნავს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი.

კუბელი დისიდენტები ამერიკის ინიციატივას ცოტა სკეპტიკურად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ დაფინანსება არანაირ შედეგს არ გამოიღებს, რადგან ამერიკის მიერ გაწეული დახმარების შემთხვევაში კუბის ხელისუფლების მხრიდან მათზე ზეწოლა კიდევ უფრო გაძლიერდება: **„მე მართლაც ძალიან ვაფასებ აშშ-ს სახელმწიფოსა და ამერიკელი ხალხის სოლიდარობას, თუმცა მგონია, რომ ამერიკის ინიციატივა უშედეგოდ დასრულდება,“** - მიიჩნევს დისიდენტი ჟურნალისტი ოსკარ ესპინოზა ჩეპე, - **არსებული სიტუაციიდან გამოსვლა კუბელმა ხალხმა დამოუკიდებლად უნდა შეძლოს, რადგან გარე ძალების მიერ ყოველგვარი ჩარევა სიტუაციას კიდევ უფრო გაართულებს.“**

1959 წლიდან მოყოლებული, როდესაც კუბაში ამერიკის მიერ ჩამოყალიბებული დიქტატორული რეჟიმი დაემხო, რომელსაც ფულგენციო ბატისტა ედგა სათავეში, კუბა ერთპარტიული მმართველობის ქვეყანაა, ფიდელ კასტროს ხელმძღვანელობით.

1961 წელს აშშ-მ კუბის წინააღმდეგ მკაცრი ეკონომიკური ემბარგო დააწესა.

# ევროსაბჭო საქართველოს დაეხმარება

პირველი გვერდიდან

**ამ ეტაპისათვის მაჰმადიანი მესხების რეპატრიაციის განსახორციელებლად, მესხების რეპატრიაციის სახელმწიფო კომისიამ, პრაქტიკულად, ჩვენი გასაკეთებელი საქმე გააკეთა. ახლა კი საჭიროა სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა, რომლებშიც საქართველოში დაბრუნების მსურველი მაჰმადიანი მესხები ქართულ ენას დაეუფლებიან, ეროვნულობას აღიდგენენ და საქართველოში დაბრუნებისათვის მოემზადებიან,“** - აღნიშნა გოგა ხაინდრავამ.

უნდა აღინიშნოს, რომ მესხების სრული რეპატრიაცია საქართველოში დაახლოებით ხუთ წელიწადში დასრულდება. ამის საფუძვლად უნდა იქცეს რეპატრიაციის შესახებ კანონი, რომლის განხილვაშიც, დაახლოებით სამი თვის წინ, თავად დეპორტირებული მესხების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

საქართველო თავის მომავალ მოქალაქეებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განსახლებას სთავაზობს, ოღონდ არა კომპაქტური დასახლების წესით და არა მესხეთში, საიდანაც ისინი 1944 წელს გაასახლეს. რაც შეეხება დაფინანსებას, რეპატრიაციის პროცესის დაწყებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტში თანხა უკვე მომავალი წლიდან ჩაიდება.

დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო კომისიის წევრებმა, გიორგი ხაინდრავას მეთაურობით, თითქმის ყველა ქვეყანა მოიარეს, გარდა უზბეკეთისა, სადაც დეპორტირებულთა შთამომავლები ცხოვრობენ. როგორც სახელმწიფო მინისტრი თავის დროზე აცხადებდა, კანონპროექტის მიხედვით, შესაბამის ქვეყნებში უნდა შეიქმნას სპეციალური დაწესებულებები, ებრაული „სოჰნუთის“ ტიპის, რომლებიც რეპატრიაციის საკითხებზე იმუშავებენ და იქ მიიღებენ რეპატრიაციის მსურველთა განცხადებებს.

რეპატრიანტის სტატუსის მიღების შემდეგ, დაახლოებით ერთ წელიწადში, პიროვნებას საქართველოს მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობა ექნება.

სხვადასხვა ქვეყნებში გაბნეული მესხების რაოდენობა, არსებული მონაცემებით, 430 ათასამდე ადამიანს შეადგენს, თუმცა ვარაუდობენ, რომ მათგან საქართველოში 15-20 პროცენტი თუ დაბრუნდება.

როგორც ცნობილი გახდა, ევროსაბჭო საქართველოს ხელისუფლებას, დეპორტირებული მესხების რეპატრიაციის მიზნით, საერთაშორისო ფონდის ჩამოყალიბებაში დაეხმარება, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, ზუსტად რა ოდენობის რა თანხა იქნება გამოყოფილი.

# ქართული ენის გამოცდა დასრულდა

გუშინ ქართულ ენასა და ლიტერატურაში ტესტური გამოცდები დასრულდა. გამოცდებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. გამოცდაზე 8178 აბიტურიენტის ნაცვლად 8010 მივიდა. სულ ქართული ენისა და ლიტერატურის ორდღიან სესიაში მონაწილეობა 15 781 აბიტურიენტმა მიიღო. განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კახა ლომაია კმაყოფილია ჩატარებული გამოცდის შედეგებით და იმედოვნებს, რომ დარჩენილი ტესტური გამოცდებიც მშვიდ ვითარებაში ჩაივლის.

იმ აბიტურიენტებმა, რომლებმაც მონაწილეობა გასული წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებშიაც მიიღეს და სურვილისამებრ ქულებიც შეენახათ, ქართული ენის გამოცდა დანარჩენ აბიტურიენტებთან ერთად ჩააბარეს. ეს აუცილებელი პირობა იყო, რადგან ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტური გამოცდა სრულიად განსხვავდებოდა გასული წლის გამოცდისაგან.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია 67-მა უცხო ქვეყნის მოქალაქემაც გაიარა. შარშან უცხოელ აბიტურიენტთათვის განკუთვნილი კვოტების ფარგლებში, საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების სურვილი გამოთქვა 102-მა მოქალაქემ. აქედან სტუდენტი 94 გახდა. უცხოელი სტუდენტები ძირითადად რუსეთის, აზაერბაიჯანისა და თურქეთის მოქალაქეები იყვნენ.

წელს იმ კატეგორიის აბიტურიენტებს განცხადების შემოტანის ვადა 31 ივლისამდე აქვთ. ჯერჯერობით შემოსულია 222 განცხადება. მათ შორის 119 თურქეთიდან, აქედან 74 ქართულენოვან ფაკულტეტზე სწავლების სურვილს გამოთქვამს. 39 განცხდება რუსეთიდანაა, 20 აზარბაიჯანიდან, 15 პაკისტანიდან.

*24 საათი*

## მოკლედ

### ნინო ბურჯანაძე გაერო-ს ტრიბუნაზე

გუშინ გაერო-ს უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. პარლამენტის სპიკერმა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხზე ისაუბრა. ამასთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას „24 საათი“ ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ. **24 საათი**

### კოვალენკო ჩხიკვიშვილის ნაცვლად

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განკარგულებით, საქართველოში ახალი ელჩი დაინიშნა. ვლადიმერ ჩხიკვიშვილს, საქართველოში რუსეთის ელჩის პოსტზე, ვიაჩესლავ კოვალენკო ჩაანაცვლებს.

ელჩად დანიშვნამდე, ვიაჩესლავ კოვალენკო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, დსთ-ის მეორე დეპარტამენტის დირექტორი იყო.

კოვალენკო 1946 წელს დაიბადა. არის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. მან 1972 წელს მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული აღმოსავლური ენების ინსტიტუტი დაამთავრა, 1999 წელს კი საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლესი დიპლომატიური კურსები გაიარა.

ვლადიმერ ჩხიკვიშვილი საქართველოში რუსეთის ელჩის პოსტს 2002 წლის ნოემბრიდან იკავებდა. **ინტერპრესნიუსი**

### ექიმთა სერტიფიცირების გამოცდები დაიწყო

გუშინ თბილისში ექიმთა სერტიფიცირების გამოცდები დაიწყო. ტესტურ გამოცდებს ის 2300 ექიმი ჩააბარებს, რომელთაც შესაბამის სპეციალობაში დამოუკიდებლად საქმიანობის განხორციელების სერტიფიკატი არ აქვთ.

ექიმთა სერტიფიცირება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით ხორციელდება. ჯანდაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის გადაწყვეტილებით, ექიმთა სერტიფიცირებას უშუალო მეთვალყურეობას სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო გაუწევს.

"ექიმთა სერტიფიცირება 71 სპეციალობაში მიმდინარეობს. ეს პროცესი 2 აგვისტომდე გაგრძელდება. ყოველდღიურად ექიმთა ორი ნაკადი გაივლის ტესტირებას“, - განაცხადა ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსმა გია თვალავაძემ. **მედიანიუსი**

### სასტუმრო „მესხეთიდან“ გამოსახლებულ დევნილთა უმეტესობა დაბინავებულია

აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მამუკა ნაკაშიძის თქმით, სასტუმრო „მესხეთიდან“ გამოსახლებულ დევნილთა უმეტესი ნაწილი დაბინავებულია, ზოგი აჭარაში და ზოგი მის ფარგლებს გარეთ. მხოლოდ ორი ოჯახი - თონთუები და გაგუები, უარს ამბობენ ინვესტორის მიერ გადახდილი თანხით (7 ათასი დოლარი) დაბინავებაზე.

დევნილებმა უარი თქვეს აჭარის ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ ალტერნატიულ ფართზე და სასტუმროდან გამოსახლების სანაცვლოდ მიღებული თანხით ბინები თავად შეიძინეს. ბათუმში ჯერ კიდევ არის შესაძლებლობა, ქალაქის ცენტრში 4-7 - ათას დოლარამდე იგირავო ბინა, ან მის შემოგარენში: მახინჯაურში, ხელვაჩაურში და სხვაგან ამ თანხით შეისყიდო ბინა“, - უთხრა „მედიანიუსს“ მინისტრმა.

აჭარის ჯანდაცვის მინისტრის თქმით, მან არაფერი იცის გავრცელებული ინფორმაციის შესახებ, თითქოს უბინაოდ დარჩენილი დევნილები, პროტესტის ნიშნად, თბილისში ფეხით ჩამოსვლას აპირებენ. **მედიანიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# „ცინიკური დებატები" პატარა ქვეყანაში და დიდი პოლიტიკა

პირველი გვერდიდან



აშშ-ში ვიზიტის შემდეგ ეს სააკაშვილის პირველი ურთიერთობა იყო ქართველ ჟურნალისტებთან.

**„მთავრობა ცოცხალი ორგანიზმია და, ბუნებრივია, ცვლილებები გრძელდება, თუმცა, დრამატული ცვლილებების განხორციელება არ იგეგმება,"** - აღნიშნა სააკაშვილმა. პრეზიდენტის განცხადებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კაბინეტი ხელახლა იქნება დასამტკიცებელი, „დღევანდელი პოლიტიკური გუნდი დარჩება" (იმ შემთხვევაში, თუ პაპუაშვილი მინისტრთა კაბინეტს დატოვებს, ის იქნება მეექვსე ცვლილება 2005 წლის თებერვალში დამტკიცებულ მინისტრთა კაბინეტში. კანონის თანახმად, მთავრობის წევრების ერთი მესამედის შეცვლის შემთხვევაში, მთელი კაბინეტის ფორმირება ხელახლა უნდა მოხდეს - რედ.).

მან ხაზი გაუსვა, რომ ვიდრე იგი ქვეყნის სათავეში იდგება, უცვლელი იქნება ქვეყნის კურსი, პრინციპები და მიმართულებები. **„მაკვირვებს ზოგიერთი პოლიტიკური ერთეულის ისტერიული ტონი. ენა იმისთვის არ არის, რომ ყველაფერი ილაპარაკო და ეს ყოველდღიურად ტელევიზიით შუქდებოდეს,"** - მიაჩნია პრეზიდენტს.

მიხეილ სააკაშვილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ის **„ცინიკური დებატები",** რომლებიც დღეს ქვეყანაში „ბრიყვების" შესრულებით მიმდინარეობს. **„პოლიტიკაში არსებობენ ბრიყვები, რომლებიც ხშირად პიროვნულ შეურაცხყოფაზე გადადიან...**

**დებატები ქვეყანაში უნდა იყოს, მაგრამ არა ეს საზიზღრობა,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ამ „ცინიკური დებატებისა" და „ისტერიული ტონის" ფონზე საქართველოს პრეზიდენტს **„ბრძენი და ტაქტიანი საზოგადოების"** იმედი აქვს, რომელიც ყველაფერს კარგად ხედავს და რომელმაც ყველაფერი კარგად იცის.

პრეზიდენტმა გუშინ ბევრი ისაუბრა დიდ პოლიტიკაზე და აშშ-ში ვიზიტზე. სააკაშვილი „ისტორიულს" უწოდებს ჯორჯ ბუშთან შეხვედრას, რომელიც „ისტორიულ დროს" - „დიდი რვიანის" სამიტის წინ გაიმართა.

**„აშშ-ს პრეზიდენტმა ღიად და ყოველგვარი პირობების გარეშე დააფიქსირა პირდაპირი მხარდაჭერა ნატო-ში გაწევრიანებაზე,"** - განაცხადა სააკაშვილმა.

აქვე იგი რუსეთის პრეზიდენტის სიტყვების ციტირებას ახდენს, სადაც პუტინმა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში „კოსოვოს პრეცედენტზე" ისაუბრა. სააკაშვილმა პუტინისგან მიღებული რჩევაც გაიხსენა და აღნიშნა, რომ **„არ აპირებს თავის ქვეყანაში ისეთი რეფერენდუმის ჩატარებას, რომელსაც 100 ათასი ადამიანის სიცოცხლე და ასი ათასობით სახლ-კარის გადაწვა სჭირდება, როგორც ეს ჩეჩნეთში მოხდა".**

**„მაგრამ აშშ-ს პრეზიდენტის განცხადებები უფრო ღირებულია,"** - დაგვამშვიდა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, სანკტ-პეტერბურგში მსოფლიო ისტორიული სამიტის მოწმე გახდება.

**„დიდი რვიანის" სამიტი განსაზღვრავს, თუ საით წავა მსოფლიო უახლოეს პერიოდში... ამ სამიტზე გაირკვევა, იქნება თუ არა გაგონილი პატარა ქვეყნების ხმა მსოფლიო პოლიტიკაში,"** - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ თავის რუს კოლეგას კიდევ ერთი დიალოგი შესთავაზა. მისი თქმით, საქართველო-რუსეთს შორის კვლავ რჩება ბევრი მოუგვარებელი საკითხი.

**„ამავე დროს ახლოვდება სამშვიდობოებზე გადაწყვეტილებები, ჩვენ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილებები საქართველოს პარლამენტში,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. პრეზიდენტის განცხადებით, კონფლიქტის ზონებში სამშვიდობო ოპერაცია უნდა გაგრძელდეს და **„ამაში ჩვენ აშშ-სა და ევროპელი მეგობრების მხარდაჭერა გვაქვს"**.

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ უპასუხა რუსულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციასაც, სადაც აღნიშნულია, რომ აშშ-ში ვიზიტის დროს სააკაშვილმა ბუშისგან აფხაზეთსა და ოსეთში საომარი მოქმედებების დაწყების ნებართვა მიიღო. სააკაშვილის თქმით, დემოკრატიისა და თავისუფლების მთავარი ხიბლი იმაშია, რომ ნებართვების აღება არავისგან გჭირდება.

**„საქართველო ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ კონფლიქტები მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოაგვაროს, რადგან ყველანაირი სამხედრო კონფრონტაცია ნიშნავს საწყის მდგომარეობაში დაბრუნებას და განვითარებაზე უარის თქმას,"** - აცხადებს პრეზიდენტი.

**„ორფოლოდან (**პოლიგონი, სადაც ამჟამად სამხედრო წრთვნები მიმდინარეობს **-რედ.) ჯარი ცხინვალში არ მიდის,"** - დასძინა საქართველოს პრეზიდენტმა.

აქვე სააკაშვილმა აღნიშნა, რომ **„ჩვენ ამ კონფლიქტებს გადავწყვეტთ, იმედია რუსეთთან ერთად ან რუსეთის გარეშე. არ ვაპირებთ ამის უსაშველოდ გადადებას".**

პრეზიდენტის თქმით, საქართველომ ასევე უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება დსთ-ში ყოფნასთან დაკავშირებითაც.

**„ჩვენ ყველაფერს ვითვლით და არც ერთი ისეთი ნაბიჯი არ იქნება გადადგმული, რომელიც ერთ მეწარმეს მაინც შეუქმნის პრობლემებს,"** - აცხადებს ქვეყნის პირველი პირი.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ უახლოეს თვეებში საქართველოს აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ ჩეინი ეწვევა. სააკაშვილის განცხადებით, ამის შესახებ შეთანხმება მისი აშშ-ში ვიზიტის დროს იქნა მიღწეული.

გუშინვე დაიგეგმა პრეზიდენტის საზაფხულო შვებულებაც. მიხეილ სააკაშვილი მომღერალ ლექსენის კვალს მიჰყვება და კუთვნილ „არდადეგებს" რეზერვისტთა ბანაკში გაატარებს. თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს, რომელიც ასევე ქართული ღვინის პოპულარიზაციის საკითხს კურირებს, ახალი დავალება მიეცა - მან პრეზიდენტს სათანადო ბანაკი უნდა შეურჩიოს.

# კონტრდარტყმა დემოკრატიაზე

პირველი გვერდიდან

გასულ თვეში ლუგარი თავმჯდომარეობდა კომიტეტის სხდომას სახელად - „დემოკრატიის დახმარების წინააღმდეგ კონტრშეტევა". ეს არის „დემოკრატიის ეროვნული ფონდის" (1983 წელს მთელ მსოფლიოში დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის მიზნით, შექმნილი კერძო ორგანიზაცია, რომელიც ფედერალური ბიუჯეტიდან ფინანსდება) მიერ მომზადებული მოხსენების სახელი. ფონდის პრეზიდენტის კარლ გერშმანის თქმით, ეს ორგანიზაცია მივიდა დასკვნამდე, რომ ასეთი კოტრშეტევები იმ ქვეყნებში უფრო მძაფრად ვლინდება, სადაც „ჰიბრიდული რეჟიმები" ბატონობენ: ავტოკრატიები, სადაც ნომინალურად შენარჩუნებულია გარკვეული დემოკრატიული პროცესი, მაგალითად როგორიცაა არჩევნები; და, როგორც წესი, პრეტენზიას აცხადებენ დემოკრატიულობაზე.

1990-იან წლებში ასეთი რეჟიმების დიდი ნაწილი ურიგდებოდა თავისუფლებებისა და ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლი სამოქალაქო ჯგუფების არსებობას. ისინი საშუალებას აძლევდნენ ასეთ ორგანიზაციებს, დახმარება მიეღოთ ამერიკისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნებიდან. მაგრამ მას შემდეგ, რაც „ვარდების რევოლუციამ" ედუარდ შევარდნაძის რეჟიმი დაამხო და მას მოჰყვა უკრაინის „ნარინჯისფერი რევოლუცია", პუტინი და სხვა ხელმძღვანელები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბედის გამოცდა არ ღირდა.

ცოტა ხნის წინ გერშმანი ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ ისინი (ავტოკრატიული ქვეყნები) მივიდნენ გაცილებით ადრე აბრამ ლინკოლნის მიერ სხვა კონტექსტით ნათქვამ სიტყვებამდე: **„სახელმწიფო ვერ აიტანს სანახევროდ მონობას და სანახევროდ თავისუფალებას."** და აქედან გამომდინარე, გააძლიერეს სამოქალაქო ჯგუფების, რადიოსადგურების, პოლიტიკური პარტიებისა და სხვა დამოუკიდებელი ძალების დაშინება. ეს პროცესი აშკარა გახდა თვითნებური დაკავებების, ვიზების გაცემის აკრძალვების, არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წესისა და რეგისტრაციის გართულებისა და ა.შ. შედეგად.

უმეტესწილად ეს რეჟიმები აცხადებენ, რომ მსგავსი ზომები სახელმწიფოს სუვერენიტეტის დასაცავად, ტერორიზმთან საბრძოლველად და ჯაშუშობის წინააღმდეგ არის მიმართული. ცოტა სასაცილოდ ჟღერს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სახელმწიფოთა უმრავლესობა კიდევ ცდილობს, თავიანთ თავს დემოკრატია უწოდოს. სუფთა იდეოლოგიური თვალსაზრისით, ჯერაც არ არსებობს „მეორე მხარე".

მაგრამ ეს კიდევ უფრო ართულებს ამ ზომებთან ბრძოლას. „The W"-ის ჟურნალისტი პიტერ ფინი გასულ კვირაში წერდა იმაზე, რომ კრემლმა რუსული რადიოსადგურების უმრავლესობათა ეთერიდან მოხსნა „რადიო თავისუფლების" გადაცემები. თანაც ისე, რომ ოფიციალურად არ აუკრძალავს გადაცემების გაშვება - დაშინება, ინსინუაციები და ლიცენზიის ჩამორთმევის მუქარა გამოიყენა ამ მიზნით. აი, კარგი მაგალითი.

მთელ მსოფლიოში დიქტატორები ერთამანეთისგან სწავლობენ. იანვარში პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის რეგულირების შესახებ. იგი საშუალებას აძლევს ჩინოვნიკთა 30-ათასიან არმიას, ნებისმიერ პრობლემების შემქმნელ ორგანიზაციას გაუუქმოს ლიცენზია. ამჟამად ასეთივე კანონების მიღებას ცდილობს უგო ჩავესი ვენესუელაში და რობერტ მუგაბე ზიმბაბვეში. არსებობს ინფორმაცია, რომ ჩინეთმა უზბეკეთსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში მკვლევარები გაგზავნა დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილების შესასწავლად. ხოლო ბელარუსის დიქტატორმა ალქსანდრ ლუკაშენკომ, როგორც დემოკრატიის ეროვნული ფონდის მოხსენებაშია აღნიშნული, ჩინეთში თავისი ვიზიტის დროს 2005 წლის დეკემბერში, ინტერნეტის კონტროლის უახლესი მეთოდები შეიძინა.

გასულ კვირას ვაშინგტონში იმყოფებოდა ის ადამიანი, ვინც ამ ყველაფრის პროვოცირება მოახდინა - დემოკრატიული საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და გვაფრთხილებდა, რომ პუტინი და მისთანები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ თავდაცვით - მათ უნდათ დემოკრატიის დამხობა საქართველოში, უკრაინასა და სხვა ადგილებში. როგორც ჩანს, ბუშმა ამ ქართველთან ორსაათიანი საუბრის შემდეგ კარგად გაიგო ნათქვამი.

ფაქტია, რომ პუტინი აქტიურად მუშაობს დემოკრატიულ საქართველოში - რუსეთის სამხრეთის საზღვართან მდებარე 5-მილიონიან ქვეყანაში არსებული ხელისუფლების დამხობაზე. მან აკრძალა ქართული პროდუქციის - ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტი. იგი იყენებს სეპარატისტებს საქართველოს შიგნით. სააკაშვილის წარმატება ეკონომიკური ზრდისა და კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით, შესაძლოა, მეტად სახიფათო იყოს პუტინისათვის.

მიმდინარე კვირის მთავარი საკითხი ისაა, შეძლებენ თუ არა „დიდი შვიდეულის" ლიდერები ღიად განაცხადონ, რომ მეზობელი დემოკრატიებისთვის ძირის გამოთხრა მიუღებელი პოლიტიკაა. საფრანგეთი და გერმანია, სავარაუდოდ, არ მოინდომებენ, რომ პრინციპები წინააღმდეგობაში მოდიოდეს კომერციულ ინტერესებთან. მათი ინტერესები ხომ რუსეთშია და არა ციცქნა სახელმწიფოში. ამიტომ ყველაფერი ბუშზე იქნება დამოკიდებული.

როგორც ჩანს, სწორედ ამ აზრის მიტანა სურდა ამერიკის პრეზიდენტამდე სააკაშვილს, როცა ბუშს საქართველოს ხელისუფლების მიერ „კაგებე"-ს არქივში ნაპოვნი 1936 წლით დათარიღებული წერილი გადასცა. ეს წერილი თავისუფლების მოყვარე, ხევსურეთის მაღალ მთებში მცხოვრები ხალხის მიერაა დაწერილი და მისი ადრესატი „ამერიკის ძლევამოსილი მთავრობაა". მასში გამოხატულია ჩივილი ხევსურეთის ტერიტორიაზე შეჭრილი ბოლშევიკების მიმართ, რომლებიც ადგილობრივ მცხოვრებლებს კოლმეურნეობებში შესვლას აიძულებენ და საკუთარი რელიგიით ცხოვრებას უშლიან.

**„ჩვენ არ დავნებდებით, ვიდრე ხევსურეთში ერთი ქართველიც იქნება ცოცხალი,** - ნათქვამია წერილში, - **ჩვენ ვიბრძოლებთ ხმლებითა და ხანჯლებით... თქვენი დახმარების იმედი გვაქვს. თქვენ ერთადერთი ხართ, ვისაც შეუძლია დაგვეხმაროს..."**

რასაკვირველია, წერილი ადრესატამდე არ მისულა, ხოლო ავტორები „კაგებე"-მ დახვრიტა (მაშინ „ენკავედე" ერქვა.).

მადლობა ღმერთს, დრო შეიცვალა, მაგრამ ეს ამბავი არ დასრულებულა და დემოკრატიის გავრცელებასაც ვერ დააყენებ ავტოპილოტზე.

# უმრავლესობა არ წავიდა ტყუილის გზით

პირველი გვერდიდან

**„ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისართან შეხვედრის დროს თევდორაძესა და ბოკერიას დრო გაჰყავდათ, რადგან სათქმელი ბევრი არაფერი ჰქონდათ. მათ, ძირითადად, იმაზე ისაუბრეს, რომ ციხეებს აშენებენ და გირაოთი გათავისუფლებაზე გადასვლამ დადებითი შედეგი გამოიღო. სამაგიეროდ, ერთხელაც არ ახსენეს ისეთი ფაქტები, რომლებიც ხელს არ აძლევდათ - ლიკვიდაციები, პარლამენტარზე განხორციელებული თავდასხმა და შემდეგ მისი გაძევება პარლამენტიდან,"** - აცხადებს ლევან ბერძენიშვილი.

როგორც „24 საათთან" მისი საუბრიდან ირკვევა, უმრავლესობის წარმომადგენლებს განუცხადებიათ თომას ჰამანბერგისთვის, რომ ახლო მომავალში არ შეუძლიათ მე-5 იზოლატორში არსებული მძიმე მდგომარეობის გამოსწორება, რაზედაც მკვახე პასუხი მიუღიათ, რომ სიტუაცია დღესვე უნდა გამოსწორდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პირველივე საჩივარი ევროსაბჭოში გააჩერებს მე-5 იზოლატორის არსებობას.

ლევან ბერძენიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარმა მოითხოვა ინფორმაცია სინდისის პატიმრებზე - ირაკლი კაკაბაძესა და დანარჩენ დაკავებულებზე. **„სტუმრის აზრით, ისინი უკანონოდ არიან დაპატიმრებულები და დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ,"** - ჰამანბერგის მიერ დახურულ კარს მიღმა ნათქვამს საჯაროს ხდის ოპოზიციონერი დეპუტატი.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად დროის წამობრივი აღრიცხვა
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცენდენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია „საქართველოს ნაციონალური ავიახაზების„ ყველა რეგულარული რეისი სრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის პრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

# სადამსჯელო სანქცია ადვოკატებისთვის

*საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში კიდევ ერთი სარჩელი შევა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი" სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლს არაკონსტიტუციურად მიიჩნევენ და მართლმსაჯულების ახალ ტრადიციაზე კონკრეტული ფაქტებით საუბრობენ. საქმე ისაა, რომ ხსენებული მუხლის საფუძველზე, მოსამართლეებმა სადამსჯელო სანქციების გამოყენება ადვოკატების წინააღმდეგაც დაიწყეს.*

სიღნაღის სასამართლოს მოსამართლემ ხვიჩა კიკილაშვილმა „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატი ონისე მებონია ადმინისტრაციული წესით დასაჯა - „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, მას 30-დღიანი პატიმრობა შეეუფარდა. „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" აღმასრულებელი დირექტორის მანანა კობახიძის ინფორმაციით, ონისე მებონია სიღნაღის რაიონის სასამართლოში განსასჯელებს იცავდა. სასამართლო პროცესის მსვლელობისას მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილმა რამდენჯერმე უხეშად დაარღვია საპროცესო კანონმდებლობა და აშკარად გამოხატა ბრალდების მხარისადმი მიკერძოება, რის გამოც, ადვოკატმა ეთიკური ნორმების ფარგლებში გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება. ადვოკატის ქმედება მოსამართლე კიკილაშვილმა სასამართლოსადმი უპატივცემულობად და წესრიგის დარღვევად მიიჩნია და ადვოკატის დაპატიმრების განკარგულება გასცა.

მსგავსი ფაქტი მოხდა მცხეთის საქალაქო სასამართლოში. ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატმა თამარ გაბისონიამ მოსამართლე ნინო ჭალიძეს სთხოვა, რეაგირება მოეხდინა მოწინააღმდეგე მხარის შეურაცხმყოფელ ქმედებებზე. ადვოკატის მოთხოვნა მოსამართლისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, რის გამოც, ადვოკატ გაბისონიას მან გაფრთხილება მისცა და მსგავსი ქმედების განმეორების შემთხვევაში დაპატიმრებით დაემუქრა.

**„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლეებს შესაძლებლობა მიეცათ, ადვოკატის ნებისმიერი ქცევა შეაფასონ სასამართლოს შეურაცხყოფად და გამოსცენ განკარგულება ადვოკატის დაპატიმრების შესახებ. ადვოკატს კი არ აქვს საშუალება, დაიცვას თავისი უფლებები, რადგან კანონმდებლობა კრძალავს აღნიშნული განკარგულების თუნდაც ერთ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრებას,"** - აცხადებენ ადვოკატები, რომელთა თქმითაც, აღნიშნული მუხლი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე და მე-18 მუხლებს და ლახავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ უფლებებსაც.

მოსამართლის მიერ დასჯილმა ადვოკატმა ონისე მებონიამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. მოსარჩელე მხარე, მისი წარმომადგენელი ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი" და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მოითხოვენ, არაკონსტიტუციურად ცნონ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-6-ე, მე-61 და მეშვიდე პუნქტები საქართველოს კონსტიტუციის 42-ე, მე-18-ე და ევროკონვენციის მე-6 მუხლებთან მიმართებაში, რადგან კანონში არსებული ამ ხარვეზის საფუძველზე უხეშად ირღვევა არა მარტო ადვოკატის, არამედ ნებისმიერი მოქალაქის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები.

208-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე მიმართა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ".

ადვოკატები აცხადებენ, რომ 208-ე მუხლი საფრთხეს უქმნის დაცვის ინსტიტუტის არსებობას, იგი რეპრესიული ნორმაა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსამართლეს, ადვოკატი საქმეს ჩამოაშოროს. მსგავსი პრეცედენტები უკვე სახეზეა. გუშინ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ, მოსამართლე მალხაზ გურულმა ადვოკატ ეკა ბესელიას დაცვის განხორციელების უფლება ჩამოართვა. მალხაზ გურულმა ადვოკატის წინააღმდეგ სწორედ 208-ე მუხლი გამოიყენა. ეკა ბესელია გახმაურებული საქმის - მამა-შვილ დოლიძეების ადვოკატი გახლდათ.

**„მოსამართლე გურულს მთელი პროცესი მიყავდა არაეთიკურად, პროცესის მსვლელობისას მუდმივად ჩაქუჩს ხმარობდა, აგრესიულად, ყვირილით მიმართავდა განსასჯელებს. მოსამართლის არაეთიკურმა ქცევამ კულმინაციას გუშინ მიაღწია. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა შალვა დოლიძემ სასამართლო სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა, რომლის სხდომის ოქმში შეტანაც მოითხოვა, რასაც მოსამართლის გაუგებარი, აგრესიულად გამოხატული პროტესტი მოჰყვა. როგორც ჩანს, მოსამართლე გურულს შუამდგომლობის შინაარსი, რომელიც ბოლომდე არც მოუსმენია, არ მოეწონა და ყვირილი დაიწყო. მე, როგორც დაცვის მხარემ, 437-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარის არაპროფესიონალური, არაეთიკური ქმედების თაობაზე გამოვთქვი პრეტენზია და მისი ოქმში შეტანა მოვითხოვე. ჩემს სამართლებრივ მოთხოვნას მოსამართლის გადაწყვეტილება მოჰყვა - მოსამართლე მალხაზ გურულმა 208-ე მუხლის საფუძველზე დაცვის განხორციელება ამიკრძალა,"** - აცხადებს ადვოკატი ეკა ბესელია, რომელიც მიიჩნევს, რომ მოსამართლეები დაცვის შუამდგომლობებს ახლა აღარც უსმენენ, ადვოკატების იგნორირებას რეპრესიული მეთოდებით ახორციელებენ.

მართლმსაჯულებაში შექმნილ სიტუაციას აპროტესტებენ აჭარაში მოღვაწე ადვოკატებიც - გუშინ მათ პროტესტის ნიშნად პროფესიონალური საქმიანობის შესრულებაზე უარი განაცხადეს. ადვოკატები ბათუმის საქალაქო და რაიონულ სასამართლოებში არსებულ სიტუაციას უპირისპირდებიან და აცხადებენ, რომ მათზე ზეწოლა მიმდინარეობს.

ადვოკატთა განცხადებით, ასეთი მკაცრი ზეწოლის პირობებში ადვოკატის მომსახურებას აზრი არ აქვს. ამასთან დაკავშირებით, აჭარის ადვოკატთა ასოციაციამ მიმართვები გაუგზავნა საქართველოს პარლამენტს, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას" და საქართველოს იუსტიციის საბჭოს.

უკანონოდ მიჩნეული 208-ე მუხლის საფუძველზე დააპატიმრეს „თანასწორობის ინსტიტუტის" წარმომადგენლები, რომელთა მიმართ გამოყენებულ სანქციასაც საერთაშორისო ორგანიზაციები ადამიანის უფლებების დარღვევად თვლიან. საქართველოში ვიზიტად მყოფი ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარი თომას ჰამანბერგი მიიჩნევს, რომ ირაკლი კაკაბაძე და მისი თანამოაზრეები სინდისის პატიმრები არიან და სასჯელს უკანონოდ იხდიან, რადგან, ამ ადამიანების პატიმრობის იურიდიული საფუძველი არ არსებობს. კომისრის განცხადებით, ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილება გასაჩივრებას უნდა ექვემდებარებოდეს, რისი უფლებაც „თანასწორობის ინსტიტუტის" წევრებს არ მიეცათ.

*24 საათი*

## მოკლედ

### კუს ტბაზე მაშველი დაჭრეს

თბილისის მე-9 კლინიკურ საავადმყოფოში გვიან ღამით მიყვანილი მაშველის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ინციდენტი კუს ტბაზე მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, 21 წლის მაშველი, ზურაბ დვალი ხუთმა პიროვნებამ გულის არეში დანით დაჭრა. თვითმხილველთა თქმით, ნასვამი ახალგაზრდები, რომელთა ასაკი 19-29 წელია, საგუშაგოზე მყოფი მაშველისაგან ნავით გასეირნებას და ტბაში ბანაობას მოითხოვდნენ. თუმცა, ზურაბ დვალმა ცუდი ხილვადობის გამო მათ ამის საშუალება არ მისცა.

მაშველი საავადმყოფოში დაცვის თანამშრომლებმა გადაიყვანეს, სადაც მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. ექიმების განცხადებით, საავადმყოფოში მიყვანილ პაციენტს გული გაჩერებული ჰქონდა და წნევა და მაჯა არ ესინჯებოდა. ამ ეტაპზე ზურაბ დვალს წნევა და მაჯის ცემა სტაბილური აქვს. ექიმების თქმით, ახლა მთავარია, ტვინმა გულის 5-წუთიან გაჩერებას გაუძლოს.

დამნაშავეები შემთხვევის ადგილზევე დააკავეს და წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. ისინი ეჭვმიტანილები არიან მკვლელობის მცდელობაში.

*ინტერპრესნიუსი*

### ნარკორეალიზატორობაში ეჭვმიტანილი „სოდ"-ის მაღალჩინოსანი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა ოპერატიულმა დეპარტამენტმა ამავე სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი გია გურგენიძე ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის დააკავა. კოლეგები ეჭვმიტანილს ერთი თვის განმავლობაში უთვალთვალებდნენ, საბოლოოდ კი, დაკავების ოპერაცია ე.წ. მოდულის შენობის წინ ჩატარდა. გია გურგენიძეს დაკავების მომენტში სარეალიზაციოდ გამზადებული ჰეროინი თან ჰქონდა, მისი ავტომანქანის ჩხრეკისას კი პოლიციამ სუბუტექსი ამოიღო.

სოდ-ის თანამშრომელმა საპროცესო გარიგება მოითხოვა და მან მთავარი ნარკორეალიზატორის ვინაობა დაასახელა, რომელიც პოლიციის ყოფილი თანამშრომელი მაიორი დავით სიხარულიძე აღმოჩნდა. დაკავებულია დავით სიხარულიძეც, რომლის ბინიდანაც ამოღებულია ულიცენზიო ცეცხლსასროლი იარაღები და 305 აბი სუბუტექსი. დაკავებულია კიდევ ერთი პირი, რომლის ვინაობაც ჯერჯერობით უცნობია.

*ინტერპრესნიუსი*

# „მე ვამბობ სიმართლეს"

## აცხადებს ლევან ბუხაიძე

*„მხოლოდ სიმართლის თქმას ვაპირებ, მე ვიცი, რა არის სიმართლე. პროკურატურას ჩვენებას მივცემ და იმედი მაქვს, რომ გამოძიება, ამჯერად მაინც, ჩემი ჩვენების შესაბამისად წარიმართება," - ეს იმედიანი განცხადება სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტის ერთ-ერთმა მთავარმა მოწმემ და ამავდროულად, დაზარალებულმა ლევან ბუხაიძემ გუშინ, თბილისის პროკურატურში შესვლის წინ გააკეთა.*

თბილისის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა ლევან ბუხაიძე დამატებითი დაკითხვისთვის სასამართლო პროცესზე გაკეთებული განცხადების საფუძველზე დაიბარა. სასამართლოში მიცემული ჩვენების მიხედვით, ლევან ბუხაიძე დარწმუნებულია, რომ ინციდენტის ღამეს ოქროყანის სასაფლაოზე ბიბილურიძე, რომელსაც მოსამართლემ 7-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა, არ ყოფილა. ლევან ბუხაიძეს ეჭვი არ ეპარება, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ღამეს ოქროყანის სასაფლაოზე ოლეგ მელნიკოვი იმყოფებოდა, რომელიც სისასტიკით სხვებისგან გამოირჩეოდა.

**„პროცესის დაწყების დღიდან ვაკვირდები და ახლა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ განსასჯელის სკამზე მჯდომი ბიბილური იმ ღამეს ოქროყანაში არ მინახავს. ასევე, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ, ისევ ჩემი დაკვირვებიდან გამომდინარე, ხმით, მოძრაობით და სასამართლო პროცესის ჩანაწერების ხელახლა ნახვით, მე აღვიდგინე ოქროყანაში მყოფი მეოთხე ადამიანი. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მეოთხე იყო ოლეგ მელნიკოვი. საერთოდ, ის, რაც ამ პროცესზე ხდება, განსასჯელების ჩვენებებით დაწყებული და სხვადასხვა პროცედურით დასრულებული, დაწერილი სცენარია,"** - ასეთი გახლდათ ლევან ბუხაიძის სასამართლო ჩვენება.


დაზარალებულის დაკითხვა საპროტესტო აქციის ფონზე.

გუშინ, თითქმის ხუთი საათის განმავლობაში ლევან ბუხაიძე თბილისის პროკურორს ჩვენებას აძლევდა და კვლავ დეტალებში იხსენებდა 28 იანვრის ღამეს. ბუხაიძის დაკითხვა დაზარალებულის მხარდამჭერი აქციის ფონზე მიმდინარეობდა. აქციაზე სანდრო გირგვლიანის დედაც იმყოფებოდა. ირინა ენუქიძე „შარდენ ბარის" სუფრის წევრების ხელახლა დაკითხვას კვლავ მოითხოვს. საქმის ძიებაში დაბრუნების მოთხოვნით, მან გენპროკურატურაში განცხადება ლევან ბუხაიძის მიერ სასამართლოში გაკეთებული განცხადების შემდეგ შეიტანა.

**„რა თქმა უნდა, ჩემი შვილის მეგობარი ლევან ბუხაიძე იმას იტყვის, რაც საჭიროა. მაგრამ მთავარია, რომ სუფრის წევრები, ანუ მკვლელობის დამკვეთები ხელახლა დაიკითხონ. მე მათ დასჯას მოვითხოვ,"** - აცხადებს სანდრო გირგვლიანის დედა.

**„ვიდრე მკვლელები არ ჩაჯდებიან ციხეში, ჩვენ საპროტესტო აქციებს არ შევწყვეტთ. იმედს გამოვთქვამთ, რომ ძიება ლევან ბუხაიძის ჩვენების შესაბამისად წარიმართება და მკვლელები დაისჯებიან,"** - აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

*24 საათი*

# საწოლში აღმოჩენილი ხელყუმბარა

*გორის რაიონულმა სასამართლომ კიდევ ერთ ეჭვმიტანილს შეუფარდა ორთვიანი წინასწარი პატიმრობა. ბრალდებულ დავით აბულაძის ახლობლები ამბობენ, რომ სამართალდამცველებმა დაკავებულს ხელყუმბარა საწოლში „ჩაუდეს". სხვათა შორის, გორელ სამართალდამცველთა მხრიდან მსგავსი მეთოდის გამოყენება ბოლო პერიოდში ძალზე გახშირდა.*

თეა თედლიაშვილი
გორიდან

8 ივლისს გორის პოლიციის თანამშრომლებმა დავით აბულაძის სახლში გადაუდებელი ჩხრეკა ჩაატარეს. მათი ინფორმაციით, აბულაძე გორში არსებული უფასო სასადილოს ძარცვაში მონაწილეობდა. სასადილოდან ოთხი ქვაბი და ორი სამარილე დაიკარგა. სამართალდამცველები სწორედ ამ ნივთებს ეძებდნენ, თუმცა აბულაძის სახლში ნაქურდალი ვერ აღმოაჩინეს. მოწმეთა თქმით, აბულაძე მაინც დააკავეს და პოლიციაში წაიყვანეს, ხოლო სახლში დარჩენილმა პოლიციის თანამშრომლებმა ჩხრეკა აბულაძის საძინებელ ოთახში გააგრძელეს. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ქვაბების მაძიებლმა ძალოვანებმა აბულაძის საწოლში, ბალიშის ქვეშ, ხელყუმბარა აღმოაჩინეს.

თვითმხილველი მოწმე ლეილა თედიაშვილი: **„მე დათოს მეზობლად ვცხოვრობ, ხმაური რომ გავიგე, მის სახლში შევედი. დათო პოლიციელებს გამოყავდათ და მანქანაში სვამდნენ. იმის გამო, რომ სახლში პოლიციელები კიდევ იყვნენ, დამაინტერესა, რა ხდებოდა და სახლში შევედი. პოლიციელებმა მითხრეს, ჩხრეკას დაესწარიო და დათოს საძინებელ ოთახში შემიყვანეს, სადაც საწოლიდან ე. წ. „ლიმონკა" ამოიღეს. ჩემთვის არავის განუმარტავს მოწმის უფლებები. უბრალოდ, ჩხრეკის ოქმი დამიდეს წინ და მითხრეს, ხელი მომეწერა, „საქმეს ასე სჭირდებაო".**

მტკიცებულებად მიჩნეული ამ ოქმის საფუძველზე ქარელის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ (რომელიც გორში საქმეებს მოწვევით იხილავს) ზაზა რამიშვილმა ეჭვმიტანილ დავით აბულაძეს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

დავით აბულაძის ადვოკატი (კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის შიდა ქართლის ოფისის ადვოკატი) თემურ მანველიშვილი მიიჩნევს, რომ დაკავების დროს უხეშად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები, რის გამოც, მან სასამართლოს რამდენიმე შუამდგომლობით მიმართა, თუმცა, იმის გამო, რომ პროკურორი გიორგი ხაჩიძე ადვოკატს არ დაეთანხმა, მოსამართლემ შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.

**„ბრალდებული წარსულში ნასამართლევია, მაგრამ ეს არ უნდა იძლეოდეს ადამიანის დაკავების საფუძველს. ეჭვმიტანილი ჯერ დააკავეს და შემდეგ ჩაატარეს ჩხრეკა, რაც კანონდარღვევაა. ჩხრეკის დამსწრეებს არ განუმარტეს მათი უფლებები. ისინი აცხადებენ, რომ სურვილი არ ჰქონდათ, ჩხრეკას დასწრებოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, სამართალდამცველების მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალდატანებას. ვფიქრობთ, რომ ხელყუმბარა აბულაძის საწოლში სამართალდამცველებმა ჩადეს,"** - ამბობს ადვოკატი.

# ინციდენტის ღამე მოწმეთა ჩვენებებით

პირველი გვერდიდან

**„ამირან რობაქიძისგან მე ათ სანტიმეტრში ვიყავი და დავინახე, რომ მას თავიდან სისხლი მოსდიოდა, პატრულს დავუძახე, მკვდარია, მკვლელო-მეთქი, რაზეც საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა თავი დამიჭირა და რობაქიძის თავზე დამარტყმევინა,"** - განაცხადა ლევან დანგაძემ.

დანგაძის თქმით, როდესაც პოლიციელებმა მათი სამმართველოში გადაყვანის პროცესი დაიწყეს, სწორედ ამ დროს დაინახა შემთხვევის ადგილზე მისული „ვიდეოპატრულის" გადამღები ჯგუფი და მათთან ერთად გურამ დონაძეც. მოწმემ ისიც გაიხსენა, რომ შემთხვევის ადგილზე მისული პოლიციელებიდან ერთ-ერთმა, მის მეგობარს - ბარქაიას, ჯიბეში ხელყუმბარა ჩაუდო.

ლევან დანგაძის ანალოგიური ჩვენებები მისცეს სასამართლოს რობაქიძის დანარჩენმა მეგობრებმაც. გიორგი ქურდაძე და კახა აზარიაშვილი, რომლებიც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ, აცხადებენ, რომ მკვლელობაში ბრალდებული გრიგოლ ბაშალეიშვილი ტრაგედიის ღამეს ნასვამი იყო.

მოწმეები აცხადებენ იმასაც, რომ მას შემდეგ, რაც შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიციის დამატებითი ეკიპაჟი და გადაცემა „ვიდეოპატრულის" გადამღები ჯგუფი მივიდა, პროცესებს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის მაშინდელი უფროსი გურამ დონაძე აკონტროლებდა. ამირან რობაქიძის მეგობრები იხსენებენ, თუ როგორ გააჩერა დონაძემ ტაქსის მძღოლი და როგორ ცდილობდა მის ცრუ მოწმედ გამოყენებას, რათა რობაქიძე და მისი მეგობრები ყაჩაღებად გამოეცხადებინა. თუმცა, მძღოლმა ცრუ ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა. პროცესზე დაკითხულმა სამმა მეგობარმა ისიც გაიხსენა, როგორ მიიტანეს სამართალდამცველებმა იარაღი შემთხვევის ადგილზე.

ამირან რობაქიძის მკვლელობის დეტალურ აღწერას გარდაცვლილის მშობლებმა და ახლობლებმა ვერ გაუძლეს და მათ სასამართლოს დარბაზი დატოვეს.

**„უპატიოსნესი შვილი უმიზეზოდ მომიკლეს, შემდეგ ყაჩაღად გამოაცხადეს და დღეს მისი ღირსების აღდგენის საშუალებასაც არ გვაძლევენ,"** - განაცხადა პროცესიდან გამოსულმა რობაქიძის დედამ, რომლის ადვოკატსაც სურდა, მოსამართლისთვის შუამდგომლობით მიემართა და შემდეგ პროცესზე შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის მაშინდელი უფროსის გურამ დონაძის და პატრულის ყოფილი უფროსის ზურაბ მიქაძის დაკითხვა მოეთხოვა. დაზარალებული ოჯახი იმ შეურაცხმყოფელი განცხადებების სამართლებრივ შეფასებას ითხოვს, რომლითაც ამირან რობაქიძეს და მის მეგობრებს „ყაჩაღები", ოპერაციაში მონაწილე სამართალდამცველებს კი „გმირები" ეწოდათ. თუმცა, მოსამართლემ მოულოდნელად სხდომა დასრულებულად გამოაცხადა და პროცესი რამდენიმე დღით გადადო. სამაგიეროდ, ლევან დანგაძის ჩვენებას მაშინვე გამოეხმაურა გურამ დონაძე და ტრაგედიის მეორე დღეს შსს-ს პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა იმ პოლიციელებს დააკისრა, რომლებმაც აღნიშნული მონაცემები მიაწოდეს.

თუმცა, გუშინ დონაძეს არაფერი უთქვამს ამირან რობაქიძის მამიდის განცხადებაზე, რომელიც ამტკიცებს, რომ მან დონაძეს დაურეკა და ტელეფონით სთხოვა - ცრუ ინფორმაციის გავრცელება შეეწყვიტა. ამირან რობაქიძის მამიდის განცხადებით, მისი სატელეფონო ზარის შემდეგ, სახლში პოლიციამ მიაკითხა.

*24 საათი*



# საქართველო მარტო აღარ დარჩება

პირველი გვერდიდან

შეხვედრის დროს ცალსახა იყო, რომ საქართველოს წარმატება განიხილება აშშ-ს ეროვნული ინტერესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად. რეგიონში წარმატებული დემოკრატიის არსებობა, ჩვენი პარტნიორების შეხედულებით, არის უმნიშვნელოვანესი მსოფლიოს ამ ნაწილში დემოკრატიის გავრცელებისათვის.

თუმცა, რაც უფრო წარმატებულები ვართ, მით უფრო იზრდება წინააღმდეგობა ჩვენი არაკეთილისმოსურნეების მხრიდან. თუ საქართველო წარუმატებელი იქნება და დემოკრატია ვერ მიახერხებს, შეუქცევადი მოვლენა გახდეს, მაშინ დომინოს პრინციპით საქართველოსთან ერთად წარუმატებელი აღმოჩნდება ბევრი სხვა ქვეყანა, პირველ რიგში ჩვენი მეზობელი ქვეყნები. აქ იგულისხმება აზერბაიჯანიც და სომხეთიც, რომელიც ამ წუთას არ იზიარებს საქართველოსა და აზერბაიჯანის პროდასავლურ ორიენტაციას, თუმცა მას, საკუთარი ინტერსებიდან გამომდინარე, ამის გაკეთება ადრე თუ გვიან მოუწევს. ჩვენი წარუმატებლობის შემთხვევაში ასევე დაეცემა ბევრი სხვა წარმატების შანსები, მათ შორის უკრაინის, მოლდოვას, და თვით რუსეთისაც.... რუსეთი ამჟამად შიშობს, რომ დემოკრატიული, ე. წ. ფერადი რევოლუცია იქაც არ მოხდეს.

ამდენად, ჩვენი დიდი მეზობელი ყველანაირად ხელს უშლის საქართველოს წარმატებას. ამის მაგალითად შეიძლება ლარსის ინციდენტიც გამოდგეს, როდესაც „შეკეთების" მიზეზით მათ გადაკეტეს ეს ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მაგისტრალი, რამაც გამოიწვია ხალხის მასების აკუმულაცია სამხრეთ ოსეთის მხრიდან, ერგნეთის ტრიტორიიდან. მოკლედ, რაც უფრო წარმატებულია საქართველო, მით უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდება ფინიშის ხაზთან მისვლამდე.

**- როგორ რეაგირებენ აშშ-ში რუსეთის ასეთ ნაბიჯებზე საქართველოს მიმართ?**

- ჩვენ შეხვედრები გვქონდა როგორც მმართველი წრეების მაღალი დონის წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე ჟურნალისტებთან. მათი კითხვების ძირითადი თემა იყო ის, თუ რამდენად მტკიცედ შეუძლია საქართველოს გაუძლოს იმ წნეხს, რომელსაც მასზე ახორციელებს რუსეთი. ჩვენი მხრიდან, რა თქმა უნდა, პასუხი იყო ცალსახა - საქართველო ამას მოელოდა, ის მზად არის და უძლებს ამას. და, შესაბამისად, პასუხიც ყველა შეხვედრაზე იყო არაორაზროვანი - დიახაც, ასეთი წნეხი გადაიტანეს როგორც აღმოსავლეთ ევროპის, ასევე ბალტიისპირეთის ქვეყნებმა. ეს გზა ჩვენც გვაქვს გასავლელი, საქართველომ ამასაც უნდა გაუძლოს.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და პოლიტოლოგებთან შეხვედრაზე ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ევროპელებიც დადგნენ ჩვენს მხარეს. აღინიშნა დასავლეთევროპელი პარტნიორების, კონკრეტულად გერმანიის ამ პროცესში ჩართვის აუცილებლობა. რამდენადაც ვიცით, დასავლეთ ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილი ამ წუთას ენერგეტიკულად საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში იმყოფება.

ისინი დამოკიდებულნი არიან რუსეთის რესურსებზე. და არა მხოლოდ მათი მომხმარებლის პოზიციაში აღმოჩნდნენ, არამედ იძულებულნი არიან, რუსეთს დაეხმარონ ჯერ კიდევ აუთვისებელი რესურსების ექსპლუატირების საქმეში. ევროპელები დებენ ფულს, რომ უფრო მეტი გაზი და ნავთობი იქნეს ტრანსპორტირებული რუსეთიდან. შეიძლება ითქვას, ისინი არსებული სიტუაციის მძევლები არიან.

ამ მდგომარეობაში ყოფნა, რა თქმა უნდა, არ არის მათთვის ხელსაყრელი, რადგან ყველასთვის ცნობილია, რომ რუსეთი იყენებს ენერგეტიკულ ბერკეტს პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად. ამდენად, საქართველოს როლი ამ სიტუაციაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რადგანაც ალტერნატიული ენერგეტიკული დერეფანი, რომლის განვითარება ჩვენი ქვეყნის გავლით არის შესაძლებელი, წარმოადგენს სასიცოცხლო ინტერესს პირველ რიგში დასავლეთევროპული ბაზრებისათვის.

**- იყო თუ არა აშშ-ს ხელისუფლების წარმომადგენლებთან საუბარი საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარებაზე?**

- რაც შეხება კონფლიქტებს და უკონტროლო ტერიტორიებს, აქაც ცალსახა და არაორაზროვანი მხარდაჭერა მივიღეთ. მაგალითად, სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მუშაობდა საქართველოსთან ერთად რამდენიმე პრობლემაზე, რომელიც უკვე წარმატებით მოგვარებულია. მაგალითად მან პანკისის სიტუაცია დაასახელა, რის გამოც რუსეთი საქართველოს ბრალს სდებდა ტერორისტების შეფარებასა და ტერორისტული ბანაკების არსებობის ხელშეწყობაში. ქალბატონმა რაისმა აღნიშნა, რომ პანკისის სიტუაცია ამერიკელებთან ერთად მუშაობის შედეგად წარმატებით დამთავრდა.

ასევე მან მოიყვანა მაგალითად რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესი, სადაც ამერიკამ ცალსახა მხარდაჭერა აღმოუჩინა საქართველოს, და ეს პროცესი წარმატებულად მიმდინარეობს. ზუსტად ამავე ჭრილში განიხილა მან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ე. წ. „გაყინული კონფლიქტების" პრობლემები, და აღნიშნა, რომ თანამშრომლობით ეს პრობლემებიც გადაიჭრება. მეთოდურად, ნაბიჯ-ნაბიჯ... და რომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ გვაქვს სრული მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში.

ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ, ჩვენი პარტნიორების სიტყვებით, კოსოვოს პრეცედენტს არასოდეს ექნება რაიმენაირი მნიშვნელობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების გადაწყვეტის დროს. ანუ, აშშ და დანარჩენი მსოფლიოც ამას არასოდეს დაეთანხმება, რადგან კოსოვო არის უნიკალური შემთხვევა, რომელიც აფხაზეთისა და ოსეთის სიტუაციისგან ფაქტებით განსხვავდება.

კოსოვოში ეთნიკური წმენდის მსხვერპლნი იყვნენ ეთნიკური ალბანელები, განსხვავებით აფხაზეთისაგან, სადაც ეთნიკური წმენდის მსხვერპლი იყო უმრავლესობა, რომელიც დაიჩაგრა უმცირესობის მიერ. იქ სიტუაცია არის რადიკალურად განსხვავებული კოსოვოსაგან. თანაც, კოსოვოში რვა წელზე მეტია, საერთაშორისო ძალები არიან წარმოდგენილნი, და გადაწყვეტილება კოსოვოს შესახებ იქნება მიღებული არა სიტუაციაზე ერთი რომელიმე მხარის მონოპოლიის შედეგად, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.

ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენთვის, ვინაიდან რუსეთი ცდილობს კოსოვოს პრეცედენტის ზოგადი აპლიკაცია გააკეთოს და თქვას, რომ, რადგან შეიძლება კოსოვოს რესპუბლიკა ჩამოყალიბდეს სერბეთის სახელმწიფოს მიღმა, რატომ არ შეიძლება იგივე მოახდინოს აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა.

**- რამდენად შეძლებს აშშ საქართველოს ინტერესების ბოლომდე დაცვას უამრავი სხვა გლობალური პრობლემის პირობებში?**

- აშშ არასოდეს ივაჭრებს საკუთარი ფასეულობებით არანაირი სხვა საკითხების, თუნდაც ირანის ან ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის, მოსაგვარებლად. საქართველო მიტოვებული არ აღმოჩნდება. საქართველო რუსეთთან მიმართებაში მარტო არ იქნება, და უფრო მეტ მხარდაჭერას უნდა ელოდოს აშშ-ს მხრიდან, რადგან აშშ-ს საკუთარ სტრატეგიულ ინტერესად მიაჩნია წარმატებული დემოკრატიების არსებობა. იმდენად, რამდენადაც დემოკრატიული ქვეყნები წარმოადგენენ მშვიდობის გარანტს, ისინი ომს არ აცხადებენ, არიან პროგნოზირებადი პარტნიორები და სტაბილურობის გარანტები. ასეთად, საბედნიეროდ, მოიაზრება საქართველოც.

**- აშშ-ში გამართულ შეხვედრებზე თუ იყო დეტალური საუბარი დემოკრატიის ხარისხზე საქართველოში? თანაც, Human Rights Watch-ის განცხადება საქართველოში ადამიანის უფლებების შელახვის შეასახებ სწორედ საქართველოსა და აშშ-ს პრეზიდენტების შეხვედრის წინ გაკეთდა.**

- რა თქმა უნდა, იყო. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს განცხადება მიღებულია აშშ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, ის არ განხილულა. ერთადერთი, რა რჩევაც მივიღეთ ჩვენი შიდა მდგომარეობის თაობაზე, ის იყო, რომ რეფორმირებას საჭიროებს ჩვენი სასამართლო სისტემა. ამაში ჩვენი პარტნიორები მზად არიან, აღმოგვიჩინონ დახმარება. რაზეც მათ მიიღეს პასუხი, რომ არსებული მდგომარეობით არც ჩვენ ვართ კმაყოფილნი, მაგრამ სასამართლო სისტემა, ჩემი აზრით, იგივე ბრძანა პრეზიდენტმაც, არის ტრადიციებზე დაფუძნებული ინსტიტუტი, რომელშიც ერთი თაობა ვერ ცვლის მდგომარეობას.

საბჭოთა კავშირის დროს სასამართლო იყო რეპრესიული ორგანო, და ყოველთვის აღმასრულებული ხელისუფლების დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ეს იყო ორგანო, რომელიც თავისუფლად ვერ წყვეტდა საკუთარ საქმეებს. ეს ტრადიცია ინერციით დღემდე გრძელდება. უნდა აღიზარდოს მოსამართლეების ახალი თაობა, ვისაც შეგნებული ექნება საკუთარი როლი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. გარდა ამისა, ისინი ადეკვატურად უნდა იყვნენ მომზადებული მათ წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად. შარშან 40-ზე მეტ იურისტს, რომლებიც მიიღეს ევროპისა და ამერიკის სამართალმცოდნეობის სკოლებში სხვადასხვა უნივერსიტეტებში, პრეზიდენტთან არსებულმა რეფორმებისა და განვითარების ფონდმა მთლიანად გადაუხადა სწავლის საფასური.

ეს ადამიანები საქართველოში დაბრუნების პირობით იღებენ სახელმწიფოსაგან დახმარებას, და, ალბათ, ბევრი მათგანი დაიკავებს მოსამართლის საპატიო ადგილს. ჩვენ ვაპირებთ ამ პროგრამის გაგრძელებას და კიდევ ბევრი სტუდენტის გაშვებას, რადგან ჩვენი განათლების სისტემა, ჯერჯერობით, მიმდინარე რეფორმის მიუხედავად, ვერ უზრუნველყოფს ისეთი მოსამართლის მომზადებას, ვინც თავის ფუნქციას ადეკვატურად შეასრულებს.

სასამართლო სისტემა ეფუძნება ტრადიციას, და ჩვენ ეს ტრადიცია უნდა შევქმნათ. ამას წინ ვერაფერი დაუდგება - არსებობს იმის პოლიტიკური ნება, რომ ჩვენთან იყოს დამოუკიდებელი, არაკორუმპირებული და კომპეტენტური სასამართლო სისტემა.

**- პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ შესაძლებელია თუ არა რაიმე ახალი პროგნოზის გაკეთება საქართველოს ნატოში გაწევრიანების ვადებთან დაკავშირებით?**

- ნატო-ში გაწევრიანება არის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი, და ამ მიმართულებითაც ცალსახა მხარდაჭერა მივიღეთ აშშ-ს პრეზიდენტისაგან.

პრეზიდენტი ბუში თვლის, რომ ნატო-ში გაწევრიანებით მოიგებს არა მხოლოდ საქართველო, ეს სასარგებლო იქნება თვით ნატო-სთვისაც. ნატო არის არა მხოლოდ კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაცია, არამედ ორგანიზაცია, რომელიც ამკვიდრებს ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა კანონის უზენაესობა, ინდივიდუალური თავისუფლება, და ზოგადად დემოკრატიული მმართველობა.

პრეზიდენტი ბუში არის ძალიან ძლიერი ლიდერი, რომელმაც ღიად განაცხადა, რომ იგი იზიარებს ფასეულობებს, რომლებსაც იზიარებს და ცხოვრებაში ატარებს დღეს საქართველო და მისი პრეზიდენტი. პრეზიდენტმა ბუშმა ძალიან ცალსახად აღნიშნა, რომ ის არ გააკეთებს არჩევანს პოპულარობასა და იმას შორის, რაც მას მიაჩნია მართებულად. ანუ ის არ იქნება ადამიანი, რომელიც ისე მოიქცევა, როგორც მისგან ელიან, არამედ მოიქცევა ისე, როგორც თვლის საჭიროდ და არ უღალატებს საკუთარ ფასეულობებს.

მან მადლობა გამოგვიცხადა იმ 850 ჯარისკაცისათვის, რომლებიც მონაწილეობენ ანტიტერორისტულ კოალიციაში ერაყში. თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა თქვა, რომ ქართველი ჯარისკაცები გამოირჩევიან დისციპლინით, სიმამაცით, და, რაც ჩემთვისაც უცნაური იყო, ადაპტირების უნარით. ისინი ძალიან კარგ ურთიერთობაში არიან ადგილობრივ მოსახლეობათან, ბევრმა მათგანმა ისწავლა ადგილობრივი ენა და ისინი წარმოადგენენ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს იმ ძალებში, ვინც არიან ერაყში.

ნატო-ში ჩვენ გვაქვს ორსაფეხურიანი ამოცანა. პირველ ადგილზე არის ინტენსიური დიალოგი, რომელიც, ჩემი აზრით, ადრეულ შემოდგომაზე უნდა მივიღოთ. რისი შემდეგი ნაბიჯიც იქნება წევრობის სამოქმედო გეგმა (MAP), რაც წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ალიანსს გადაწყვეტილი აქვს ამა თუ იმ ქვეყნის მიღება საკუთარ რიგებში.

პირდაპირ MAP-ს ჩვენ ვერ მივიღებთ, ინტენსიური დიალოგი სტანდარტია, რომელსაც ვერ გადავახტებით. ჩვენ ამ საფეხურზე უნდა ავიდეთ. ამდენად, ინტენსიური დიალოგი არის გადამწყვეტი იმისთვის, რომ MAP-ი მივიღოთ. ჩვენ მივიღეთ პირობა, რომ აშშ მაქსიმალურად გამოიყენებს თავის ბერკეტებს იმისთვის, რათა ჩვენ რაც შეიძლება მალე მოგვცენ ინტენსიური დიალოგი. ამის შესახებ პრეზიდენტმა ბუშმა ღიად, პრესაში განაცხადა, და ამას აუცილებლად გააკეთებს.

ზოგადი შთაბეჭდილება, რაც შეხვედრებიდან დაგვრჩა, იყო ის, რომ საქართველო მარტო არ დარჩება საკუთარი მომავლის შენების პროცესში.

ეს იყო ძალიან პოზიტიური და მნიშვნელოვანი ვიზიტი. საქართველოს პრეზიდენტი დელეგაციასთან ერთად შეხვდა აშშ-ს პრეზიდენტს, სახელმწიფო მდივანს, თავდაცვის მინისტრს, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს პოლ ვულფოვიცს, ძალიან გავლენიან პოლიტოლოგთა წრეს. იყო შეხვედრა ასევე პიროვნებასთან, ვინც კურირებს უშიშროების საკითხებს, ბატონ ნეგროპონტესთან. ასევე შეხვედრა გვქონდა ენერგეტიკის მინისტრ ბოდმანთან. იყო გამოსვლა „ამერიკენ ენტერპრაიზ ინსტიტუტში". ის სამი დღე იყო ძალიან ინტენსიური და დატვირთული. პირადად მე ვარ ამაყი, რომ ჩემს ქვეყანას ჰყავს პრეზიდენტი, რომელიც ყოველი ქართველის ინტერესებს ასე თავდადებით იცავს.

შეიძლება ითქვას, ეს ვიზიტი საეტაპო მნიშვნელობის იყო, მან საქართველო-აშშ-ს ურთიერთობები ერთი ნაბიჯით წინ გადაწია. აღსანიშნავია ვიზიტის მომენტი და პოლიტიკური კონტექსტი - „დიდი რვიანის" წინ ამ შეხვედრით ამერიკა ხაზს უსვამს კიდევ ერთხელ, რომ იგი არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, და არანაირ კონკურენტულ საკითხს არ შეუძლია საქართველოს მხარდაჭერა, და ზოგადად დემოკრატიის მხარდაჭერა, უკანა პლანზე გადაწიოს. ეს იყო მკაფიო, ღია მესიჯი, რომელიც აშშ-ს ხელისუფლებამ გაუგზავნა მთელ მსოფლიოს და პირველ რიგში რუსეთს.


ზაფხულის 5 საღამო
მაგთისგან
მოზრძანდით და ისიამოვნეთ
თანამედროვე ქართული მუსიკით !
დასწრება უფასოა



გეპატიჟებით ყველას მცხეთის "თეატრონში"
პარასკევს, 14 ივლისს, 18:30-ზე,
String, The Young Georgian Lolitaz
და ბაკურ ბურდულის
კონცერტზე
25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge
მაგთი MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი


## საზოგადოებრივი მოძრაობის "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის" განცხადება

უმთავრესი და გადამწყვეტი დამოუკიდებელი დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე არის სწორედ მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება და საქართველოს იურისდიქციის გავრცელება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს ყოფილი ხელისუფლებისა და რუსეთის დანაშაულებრივი პოლიტიკის გამო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა აღმოჩნდა ჩათრეული საომარ მოქმედებებში, რომლის შედეგად იქიდან გამოდევნილი ქართველები, უკვე თითქმის 15 წელია, ვერ ბრუნდებიან მშობლიურ ადგილებში, სადაც მათ ელოდებათ წინაპართა უმეთვალყურეოდ მიტოვებული საფლავები.

ამ ურთულესი პრობლემის მოგვარების გზაზე მისასალმებელია საქართველოს ხელისუფლების მიერ განსაკუთრებით ბოლო დროს გადადგმული ნაბიჯები საერთაშორისო არენაზე.

ამასთან, უეჭველია, რომ დევნილი მოსახლეობა სწორედ ის ხალხია, ვინც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ ქართველთა და აფხაზთა, ქართველთა და ოსთა მომავალში თანაცხოვრების ერთადერთი გარანტი უნდა გახდეს, ამიტომ მათი ფიზიკური გადარჩენა სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი უნდა იყოს.

სამწუხაროა, რომ საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს ეს არა აქვს კარგად გათვითცნობიერებული.

დევნილთა მოთხოვნებისა და წინადადებების ბევრ შემთხვევაში იგნორირებამ და ინვესტორების ინტერესების მათ ინტერესებზე მაღლა დაყენებამ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საგრძნობლად განსხვავებული იპრინციპით ფულადი კომპენსაციის გაცემამ გამოიწვია დევნილთა სამართლიანი უკმაყოფილება, რასაც აჭარაში ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოჰყვა კომპაქტური ცენტრებიდან დევნილთა გამოსახლების ყოვლად აღმაშფოთებელი ფაქტი.

ამ ფინალურმა აქციამ გამოიწვია დევნილებში დიდი გულგატეხილობა, ახალი ფსიქოლოგიური სტრესი, რაც მეორედ დევნილობის ტოლფასია. ბუნებრივია, რომ აფექტურ მდგომარეობაში მყოფმა, ღია ცის ქვეშ დარჩენილმა ზოგიერთმა სასოწარკვეთილების ზღვრამდე მისულმა დევნილმა გააკეთა არასწორი განცხადება.

ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია სახელმწიფოს მაღალი ეშელონების წარმომადგენლების მხრიდან გაკეთებული საპასუხო არაადეკვატური განცხადებები.

ჩვენ მოვუწოდებთ ხელისუფლების ყველა შტოს, ცენტრალური ხელისუფლებიდან ადგილობრივ ხელისუფლებამდე, მაქსიმალურად გულთან ახლოს მიიტანონ დევნილი მოსახლეობის კანონიერი უფლებები, იქონიონ ცხოვრების ელემენტარული პირობები, და არ დაუშვან, რომ ისინი ადრე გადატანილი, რუსეთის აგრესიული ძალის ფიზიკური დევნის შემდეგ მეორედ აღმოჩნდნენ უკვე სოციალური და ეკონომიკური დევნის პირობებში.

დევნილ საზოგადოებაში მაღალია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური კურსის საღი აღქმა, რაც ასევე იმაზე მიუთითებს, რომ წლების განმავლობაში სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიერ დევნილებით მანიპულირება წარსულს შეუქცევადად ჩაბარდა.

ამავე დროს, დევნილთა უმრავლესობას კარგად ახსოვს ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც 2003 წლის ნოემბრის გადამწყვეტ დღეებში ზურგს უმაგრებდა და საპარლამენტო ქვორუმს უქმნიდა ყოფილ პრეზიდენტს.

დევნილებისათვის კატეგორიულად მიუღებელია ოპოზიციის ის ნაწილი, რომლებიც სარგებლობენ დევნილთა მართლაც გაუსაძლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და "გამოსავალს" რუსეთის "ყურმოჭრილ" მონობაში ხედავენ.

აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში დაღუპულ მეომართა და მშვიდობიანი მოსახლეობის ხსოვნის მიმართ დიდი მკრეხელობაა გარკვეული პოლიტიკური ძალების მხრიდან ცალსახა ორიენტაცია რუსეთზე, რომლის გადამწყვეტი წილი დევს ჩვენ თავზე დატრიალებულ ტრაგედიაში და რომელმაც სამას ათასამდე ადამიანი აქცია დევნილად თავისივე სამშობლოში.

დღეისათვის დევნილი საზოგადოების პოლიტიკური კულტურა საგრძნობლად გაიზარდა და ის უკვე აცნობიერებს, რომ ის უდიდესი პოტენციალი, რომელიც მას გააჩნია, მიმართული უნდა იყოს კონფლიქტების მოგვარების სამართლებრივი და პოლიტიკური გზების ძიებისაკენ. ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ იმაში, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური მდგრადობისათვის აუცილებელია, მკაცრად დაისაჯოს ყველა სამართალდამრღვევი, მიუხედავად თავისი თანამდებობრივი თუ სოციალური მდგომარეობისა.

ჩვენ, დევნილი მოსახლეობა, რომელმაც ყველაზე მეტად საქართველოში იგრძნო თავის თავზე ყველანაირი ომის უბედურება, მზად ვართ შევასრულოთ საქართველოს ყველა ჯანსაღი ძალის ერთად დადგომის მშვიდობიანი მისია, რათა გადავწყვიტოთ საქართველოს მთავარი ამოცანა - მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

ფოსტა

## ღია წერილი საქართველოს პარლამენტს

როგორც საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი, 2006 წელს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებაში მონაწილე სამოქალაქო პირთათვის (გამონაკლისია სამოქალაქო ავიაციის მფრინავები) სოციალური დაცვის კანონის (№812 17.10.1995 წ.) შეჩერებისა და გაუქმების შესახებ.

მართალია, სამოქალაქო ავიაციის მფრინავებმა დიდი როლი შეასრულეს აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო ქმედებებში, თუმცა არანაკლები მნიშვნელობისაა სხვა სპეციალისტების თავდადებული შრომაც.

ვინაიდან დღევანდელი მთავრობისა და პარლამენტის წევრი უშუალო მონაწილე იყო ამ საბრძოლო ქმედების, ამიტომ დაწვრილებითი ანალიზისაგან თავს შევიკავებ. როგორც ცნობილია, ბრძოლის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჯარის არა მარტო საბრძოლო ტექნიკით აღჭურვასა და მის პროფესიონალიზმს, რაც ძლიერ მოიკოჭლებდა ამ ომში, არამედ სანიტარული დანაკარგის მკვეთრ შემცირებას. იმ პერიოდში, ჩვენდა სავალალოდ, ქვეყანას არ გააჩნდა საკმაო შეიარაღებული ჯარი და, ცხადია, არც სამედიცინო პერსონალით იყო სრულყოფილად დაკომპლექტებული. განსაკუთრებით მცირერიცხოვანი იყო ქირურგთა რაოდენობა, მით უფრო, ვიწრო სპეციალისტების (ნეიროქირურგი, ანგიოლოგი, ტრავმატოლოგი, პულმონოლოგი, რეანიმატოლოგი და სხვ.). ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტი როლი ითამაშა რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებულმა ერთობლივმა ბრძანებამ (№ 415 და № 536/ო, 23.12.1992 წ.), რომლის თანახმად გადაწყდა ექიმთა (ძირითადად, ქირურგთა) სპეციალური ბრიგადების მივლინება აფხაზეთის რეგიონში, საომარი მოქმედების დროს.

კურიოზია, თუმცა ფაქტია, რომ სოხუმთან ბრძოლების დროს სამხედრო ჰოსპიტალი განთავსებული იყო გულრიფშში, ხოლო თბილისიდან მივლინებული სამოქალაქო სპეციალისტები პირველ და კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას მეომრებს უწევდნენ ფრონტისწინა ხაზზე - გუმისთის მისადგომებთან (სოხუმის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო). ექიმთა აღნიშნულმა ბრიგადებმა პირდაპირ ფრონტის ხაზზე (სოხუმი, ოჩამჩირე), ექსტრემალურ სიტუაციაში, თითქმის შეუძლებელი გააკეთეს, მრავალ დაჭრილ მებრძოლს დროული ოპერაციული ჩარევით შეუნარჩუნეს სიცოცხლე და ბრძოლისუნარიანობა. მათ პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა და ამით მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე. ამის დაუნახაობა შეუძლებელია და ნეგატიური შეფასება მკრეხელობად მიგვაჩნია.

იმ პერიოდში სახელმწიფომ სათანადოდ დააფასა ექიმ-სპეციალისტთა ღვაწლი და № 370-ე ბრძანებულების საფუძველზე ბევრი მათგანი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით. მათ შორის მეც მივიღე მედალი "მხედრული მამაცობისათვის". ამავე მიზნით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი (№812, 17.10. 1995 წ.), რომელიც ითვალისწინებს ომის მონაწილე ვეტერანთა გარკვეული სოციალური პირობების დაცვას, გარკვეულ სოციალურ შეღავათებს, რასაც ვღებულობდით დღემდე.

თაობები და მთავრობები იცვლება, ცხოვრება და სიცოცხლე გრძელდება, სამშობლოს სიყვარული, პატრიოტული გრძნობა რჩება. ამიტომ ჩვენი წმიდა ვალია, გავუფრთხილდეთ რუდუნებით მოპოვებულ ღირსშესანიშნავ ტრადიციებს. ერი, ხალხი უნდა გრძნობდეს თავისი მთავრობის სიყვარულს მათდამი, რომ ადამიანები საზღვარგარეთ კი არ უნდა ეძებდნენ თავშესაფარს, არამედ, პირიქით, მოილტვოდნენ თავიანთ სამშობლოში. დღეს კი, საუბედუროდ, გახშირდა მთავრობის მხრიდან ნეგატიური მოვლენები. ამ ფონზე ნაკლებ დამაჯერებლად, რიტორიკულად ჟღერს ლოზუნგი - "გახსოვდეთ აფხაზეთი" (იგი გაკრულია გმირთა მოედანზე, სამშობლოს თავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალთან). ეს ბევრის მაუწყებელია.

*ღრმა პატივისცემით*
*საქართველოს*
*დამოუკიდებლობის,*
*ტერიტორიული მთლიანობისა და*
*თავისუფლებისათვის მებრძოლი,*
*ომის "ყოფილი" ვეტერანი,*
*მედიცინის მეცნიერებათა*
*კანდიდატი, დოცენტი რ. მესხიშვილი*


პროექტის მხარდამჭერი conciliation resources


## ნამცეცებზე ვიმუშაოთ

ზაზა ფაჩუაშვილი

*ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების ფონი დაიძაბა და ამას ის ადამიანები ამბობენ, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში არიან ჩართული სამოქალაქო დიალოგში აფხაზურ მხარესთან და, ხშირად, ქართულ-აფხაზური შეხვედრების ორგანიზატორებად თავადვე გვევლინებიან. მათი თქმით, ბოლო შეხვედრაზე აფხაზური მხარე ჯიუტად მოითხოვდა მათი დამოუკიდებლობის აღიარებას და აცხადებდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მოლაპარაკებებს აზრი არ ექნებოდა. ამგვარი ვითარების მიზეზებისა და გამოსავლის შესახებ გვესაუბრება კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი.*



პაატა ზაქარეიშვილი.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

**პაატა ზაქარეიშვილი:** "ერთბაშად სამი სერიოზული ქართულ-აფხაზური დიალოგი შედგა. მაისის ბოლოს ქართულ-აფხაზური ჯგუფი იმყოფებოდა ვაშინგტონში და ნიუ იორკში (აშშ-ში ვიზიტი მოეწყო ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსებისა" და "ბიოლის ფონდის" ხელშეწყობით). აფხაზური მხრიდან იყო ვიცე-პრემიერი ლეონიდ ლაკერბაია და საინტერესო პოლიტოლოგი ლიანა ქვარჩელია. ქართულ მხარეს წარმოვადგენდით მე და დავით დარჩიაშვილი. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამერიკელები აშკარად აქტიურდებიან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმართებაში და ისინი მხოლოდ ქართული მხარის პოზიციას იცნობენ, ჩვენი მიზანი იყო, ამერიკელებისთვის მიგვეწოდებინა აფხაზური მხარის პოზიციაც. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ამერიკელების მხრიდან თუ იარსებებს რაიმე სტრატეგია აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, იყოს შექმნილი ორმხრივი, მაქსიმალური ინფორმაციის საფუძველზე.

შეხვედრები გვქონდა სახელმწიფო დეპარტამენტში, მსოფლიო ბანკში, გაეროში, სხვადასხვა საექსპერტო ჯგუფებთან.

ამას მიება შლაინინგის პროცესი ავსტრიაში, მე-18 ქართულ-აფხაზური შეხვედრა. მოგეხსენებათ, ეს არის ქართველი და აფხაზი პოლიტიკოსების დახურული შეხვედრა. სამწუხაროდ, უკვე მერამდენედ ვაცხადებ, რომ ამ ტიპის შეხვედრებზე ისევ უარს ამბობენ ქართველი წამყვანი პოლიტიკოსები. არადა, ეს არის ერთადერთი არაფორმალური შეხვედრის ფორმატი. სხვა ყველა შეხვედრაზე ქართველებთან და აფხაზებთან ერთად მონაწილეობენ რუსული მხარის, გაეროსა თუ მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლები, სადაც მხარეები იძულებულნი არიან, ოფიციალურად ილაპარაკონ. აფხაზები კი დაინტერესებულები არიან არაფორმალური შეხვედრებით და ამ დროს ქართველების მიერ ამ ფორმატის უგულებელყოფა დამაფიქრებელია. გამოდის, რომ ჩვენ აფხაზებთან დიალოგი არ გვაინტერესებს და ურთიერთობა რუსებთან და უცხოელებთან გვირჩევნია.

ამას მოჰყვა სტამბულში კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის, პოლა გარბის მიერ ორგანიზებული მე-13, ღია ქართულ-აფხაზური შეხვედრა. შლაინინგის პროცესისგან განსხვავებით, ამ შეხვედრაზე მონაწილე მხარეები ყველაფერს იწერენ და შემდეგ აქვეყნებენ."

**- რა მოგვცა ამ სამმა შეხვედრამ?**

- ერთბაშად ამ სამმა შეხვედრამ საკმაოდ სერიოზული ანალიზის საშუალება მოგვცა. რამდენიმე ხნის წინათ თქვენთან დაიბეჭდა ჩემი ინტერვიუ სათაურით - "ფრთხილად, კარები იკეტება!" - სადაც ვამბობდი, რომ აფხაზები ნელ-ნელა ხურავენ ერთადერთ სარკმელს ჩვენს მხარეს. სამწუხაროდ, ამ შეხვედრებზე ეს ტენდენცია კიდევ უფრო საგრძნობი გახდა. ადრე რა ხდებოდა, სანამ შევარდნაძე იყო: ჩვენ ვეუბნებოდით აფხაზებს, რომ ის იყო უნიათო პოლიტიკოსი, რომელიც საქართველოში არაფერს აკეთებს და რომელსაც არ ძალუძს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარება. აქედან მათ ვაიმედებდით, რომ შევარდნაძის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვლებოდა, მათ შორის, აფხაზეთის მიმართაც. გავიდა ხანი, მოვიდა ახალი ხელისუფლება და აფხაზები ხედავენ, რომ არაფერი იცვლება. პირიქით, გაათკეცდა შევარდნაძის პოლიტიკა. თუ შევარდნაძეს ჰქონდა მკვდარი პოლიტიკა, სააკაშვილს აქვს შევარდნაძის ცოცხალი პოლიტიკა - საერთაშორისო სტრუქტურებზე ზემოქმედება, მაგრამ აფხაზებთან არანაირი კონტაქტი. მეტიც, შევარდნაძის დროს აფხაზებთან კონტაქტს ფორმალური ხასიათი მაინც ჰქონდა, როცა ქართულ-აფხაზურ შეხვედრებს ესწრებოდნენ მისი მრჩევლები, რომლებიც მას ანგარიშს უწერდნენ. ახლა ესეც აღარ ხდება. აფხაზები მიხვდნენ, რომ ოფიციალურ ქართველებს მათთან საუბარი არ სურთ.

**- თუმცა, ამას ვერ იტყოდნენ ირაკლი ალასანიას მისამართით.**

- ირაკლი ალასანიას სახით საქართველოს ხელისუფლებაში გამოჩნდა ერთადერთი ადამიანი, რომელიც კარგად მიხვდა ქართულ-აფხაზური უშუალო დიალოგის პოტენციალს. ცხადია, ძალიან სერიოზული ფაქტორია გიორგი ხაინდრავას მუშაობა, მაგრამ ის გადართულია ოსეთზე და არა აქვს საშუალება, მთელი ძალისხმევა აფხაზეთზე დახარჯოს. ალასანია კი მხოლოდ აფხაზეთზე მუშაობდა. მან კარგად დაინახა ქართულ-აფხაზური დიალოგის პოტენციალი და მისი მაქსიმალურად გამოყენებით რუსეთის ფაქტორის განეიტრალების შესაძლებლობა. მან მართლაც მოიპოვა აფხაზებში ნდობა და პოპულარობა. ორჯერ მიიღეს აფხაზეთში. მისი დამსახურებაა 2001 წელს შეწყვეტილი ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს სხდომების განახლება. მან ძალიან მოკლე დროში ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება მოასწრო.

**- რას უნდა ნიშნავდეს მისი გაშვება გაეროში ელჩად?**

- ეს მართლაც ძალიან დამაფიქრებელია იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ საერთაშორისო კომპონენტში ისედაც ძლიერები ვართ. მართალია, ალასანიას შეუნარჩუნდა აფხაზეთის საკითხში საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის სტატუსი, მაგრამ ეს სტატუსი ექნება არა თბილისში, არამედ ნიუ იორკში. მას აფხაზებთან კონტაქტი არ ექნება. გამოდის, ალასანია გადაისროლეს რუსეთთან საბრძოლველად, მაგრამ გაეროში რუსეთს ვერ მოვერევით იმიტომ, რომ რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს წევრია და ალასანიას ისევე ჩაუვარდება იქ პოლიტიკა, როგორც ადამიას. ადამია ცუდი დიპლომატი კი არ იყო. გაერო ის მოედანი არ არის, სადაც რუსეთთან ჭიდაობა შეიძლება. რუსეთს შეიძლება სოხუმში ეჭიდავო. ალასანიამ ეს კარგად იცოდა და მანვე გაჭრა ეს არხი. ამ დროს კი ალასანია აქედან ამოძირკვეს და გაუშვეს იქ, სადაც ისედაც ძალიან ბევრი ადამიანი მუშაობს. არ ვიცი, ეს ეჭვიანობის ნიადაგზე მოხდა, თუ სხვა რამის გამო. აფხაზებმა ეს უცებ დააფიქსირეს და თურქეთში გვითხრეს კიდეც, რომ ქართველებს აფხაზებთან დიალოგი არ გინდათო. ასეთი გარემოება ხელს უწყობს აფხაზების გაუცხოებას.

**- რას ელოდებიან აფხაზები ჩვენგან?**

- ცხადია, ისინი ჩვენგან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას არ ელოდებიან. ეს სასაცილო მოლოდინი იქნებოდა. ისინი ქართველებისგან ელოდებიან იმ ნაბიჯის გადადგმას, რის შემდეგაც გამოჩნდება, რამდენად მზად არის ქართული მხარე, გაითვალისწინოს აფხაზური მხარის ინტერესები კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისას. ეს არის მათთვის მთავარი. სამწუხაროდ, აფხაზებმა დღემდე ვერ დააფიქსირეს ქართული მხარის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ზედიზედ ორი-სამი ნაბიჯი. ალასანიას ფაქტორი იყო ერთი კარგი ნაბიჯი, რომელიც ცოტა ხანში ისევ უკან გადაიდგა.

**- და აფხაზური მხარის რეაქციამაც არ დააყოვნა სტამბულში?**

- სტამბულში თემა იყო "შავი ზღვის ინტეგრაციის პროცესები და აფხაზეთის პერსპექტივები". კონფერენციას უნდა ეჩვენებინა აფხაზებისთვის, თუ რა პერსპექტივები აქვთ მომავალში. ნახეთ, რა ხდება: შავი ზღვა სულ მალე გადაიქცევა ევროპის ტბად. ბულგარეთი, რუმინეთი და თურქეთი არიან ნატო-ს წევრები. ამავე დროს, ბულგარეთი და რუმინეთი ხდებიან ევროკავშირის წევრები, თურქეთთან მიმდინარეობს შესაბამისი მოლაპარაკება. საქართველო და უკრაინა მიიწევენ ნატო-სკენ (იმედია, მალე გაწევრიანდებიან) და შავიზღვისპირეთში უაზროდ რჩება მარტო რუსეთის პატარა ზოლი და აფხაზეთი. ამიტომ, ჩვენ გვინდოდა, აფხაზებისთვის გვეჩვენებინა, რაოდენ დიდი სხვაობაა ნატო-ევროკავშირსა და რუსეთს შორის.

კონფერენციას მრავალი სპეციალისტი დაესწრო, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი დიპლომატის, კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პიტერ სემნების მონაწილეობა. როგორც წესი, ასეთი დონის პოლიტიკოსები კონფერენციებს ცოტა ხნით ესწრებიან, სადილობენ და მიდიან. პიტერ სემნები კი მთელი ორი დღე იჯდა და თავისი პოზიციაც გამოხატა. აშკარაა, რომ აფხაზების მოულოდნელი აგრესიულობა გამოწვეული იყო ასეთი დიპლომატის წინაშე თავის გამოჩენის სურვილით, მაგრამ ამით საქმე გააფუჭეს.

**- კონკრეტულად, რაში გამოიხატებოდა აფხაზების აგრესია?**

- ისინი ამბობდნენ, ნუ შეეხებით ჩვენს დამოუკიდებლობასო. კითხვაზე, რაში გჭირდებათ დამოუკიდებლობა, პასუხს არ იძლეოდნენ და მხოლოდ ბრაზდებოდნენ. მათი ასეთი ემოციურობა არაკომპეტენტურობის ბრალია და ეს საერთაშორისო ექსპერტებმაც კარგად დაინახეს.

ერთი სიტყვით, მრავალმა ფაქტორმა განაპირობა ის, რომ აფხაზები ჩაიკეტნენ. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ამის მოგვარება შეიძლება, თუ, მაგალითად, ირაკლი ალასანიას მსგავსი ადამიანი გამოჩნდება. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, მე ასეთ ადამიანს ვერ ვხედავ.

**- რაც შეეხება აფხაზეთის დამოუკიდებლობას, ადრეც ვწერდით, ამის წარმოდგენა რომ შეიძლებოდეს, აფხაზი ხალხი ამით მართლაც ვერაფერს მიიღებს. დამოუკიდებლობის აღიარების სანაცვლოდ მას მოსთხოვენ დევნილების დაბრუნებას და ისინი უმცირესობაში აღმოჩნდებიან, რისიც ძალიან ეშინიათ. ამასთან, კრემლი აფხაზეთს მთლიანად ჩაყლაპავს. ახლაც, თითქმის, მთელი აფხაზეთი ნაყიდი აქვს.**

- ამიტომაც არა აქვთ მათ პასუხი კითხვაზე, რაში სჭირდებათ დამოუკიდებლობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ დამოუკიდებლობა კი არა, პირველ რიგში, უსაფრთხოება სჭირდებათ. ამიტომ, კეთილი ვინებოთ და ნუ გავლიზიანდებით მათი მხრიდან დამოუკიდებლობის მოთხოვნის გამო. შევუქმნათ მათ უსაფრთხოების განწყობა.

იგივე "მომავლის გასაღებში" დამოუკიდებლობა ბოლოში წერია. ასეთი ფრაზაა - შემდეგი ეტაპი შეიძლება იყოს დამოუკიდებლობაო. ანუ, ისინი მზად არიან წინა ეტაპებისთვის.

აფხაზეთთან მიმართებაში ყველაზე საშიში, იცით, რა არის? - აფხაზეთმა არ მიბაძოს ყარაბაღს, სადაც პირველი მოთხოვნა დამოუკიდებლობაა და მასზეა მიბმული დანარჩენი ყველაფერი. ღმერთის მადლით, აფხაზები ამას არ ითხოვენ.

დარწმუნებული ვარ, რომ თუ აფხაზებთან ურთიერთობის სხვა კომპონენტებზე (დამოუკიდებლობის გარდა) შევთანხმდებით, მათი დამოუკიდებლობა სულ სხვა სახეს მიიღებს. ეს აფხაზებისთვისაც მითქვამს და მათ გართულება არ ჰქონიათ. ამიტომ, ჩემი აზრით, ჩვენ დროზე უნდა გავაკეთოთ რეაგირება "მომავლის გასაღებზე". მართალია, ეს არის ზედაპირული დოკუმენტი, მაგრამ ბევრ რაციონალურ მარცვალსაც შეიცავს. კეთილი ვინებოთ, ამოვკრიბოთ ისინი მარცვალ-მარცვალ და ვიმუშავოთ ნამცეცებზე. ასე გადავარჩენთ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას. თუ ამას არ გავაკეთებთ, აფხაზები კიდევ უფრო გაგვიუცხოვდებიან.

**- შამბას ცნობილი განცხადებაა, ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების გაგრძელება იმისთვის გვჭირდება, რომ დრო მოვიგოთ და ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდეთო. ამის გათვალისწინებით მოლაპარაკებებს აზრი ხომ არ ეკარგება?**

- აფხაზეთს დამოუკიდებლობის შანსი არა აქვს. ჩვენ თუ ეს არ ვიცით და აფხაზეთის დამოუკიდებლობის გვეშინია, სახელმწიფო არ ვყოფილვართ. ამასთან, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ რაც უფრო მეტ ნაბიჯს გადავდგამთ აფხაზებისკენ, მით უფრო გავაქარწყლებთ მათ ილუზორულ დამოუკიდებლობას.

რაც შეეხება ქართულ-აფხაზურ დიალოგს, მოლაპარაკებების ჩაშლას უშედეგო შეხვედრები სჯობს. სულ ცოტა, ყოველი შეხვედრის დროს ვიგებთ აფხაზების განწყობილებას, ცვლილებებს მათ პოზიციებში და ესეც შედეგია.

ბოლო შეხვედრები კი საერთაშორისო ორგანიზაციების მოწყობილია. ისინი ჩვენ გვთავაზობენ სუფთა ჭურჭელს, რომელსაც, როგორც გვინდა, ისე ავავსებთ. ამიტომ შეხვედრებს აზრი ყოველთვის აქვს.

**- რამდენიმე დღის წინ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ტელევიზიით გააკეთა განცხადება, რომლის თანახმად, მას მაინცდამაინც არავის აზრი არ აინტერესებს, როცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღსადგენია და ეს მოხდა საქართველოს პრეზიდენტის აშშ-ში ვიზიტის წინ.**

- აქ რამდენიმე სავარაუდო მომენტია. პირველი - ოქრუაშვილი აფიქსირებს, რომ ის ბოლომდე არ არის სახელისუფლებო გუნდის წევრი და ცალკე მუშაობს თავის ამომრჩეველზე (სააკაშვილის გარემოცვაში სამი მკაფიოდ გამოკვეთილი სტრუქტურირებული გუნდია: პრეზიდენტის გუნდი, თავისუფლების ინსტიტუტის გუნდი და ოქრუაშვილის გუნდი). ამიტომაც აკეთებს ოქრუაშვილი ასეთ განცხადებას.

მეორე - პრორუსული ძალები ცდილობენ, რომ საქართველოში სუფევდეს ანტიდასავლური განწყობა. ოქრუაშვილი თავისი განცხადებებით ცდილობს, რომ პრორუსული ძალების მხარდამჭერები საქართველოს ხელისუფლების ორბიტაზე დატოვოს.

მესამე მომენტი ის არის, რომ ოქრუაშვილმა მართლაც გააკეთოს დასავლეთის სრული იგნორირება და საკუთარი წარმოსახვით, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე განახორციელოს გარკვეული ძალისმიერი მოქმედება. ცხადია, ეს იქნება კატასტროფა. რუსეთს სწორედ ეს სჭირდება.

კიდევ ერთი ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ ოქრუაშვილმა ეს განცხადება გააკეთა სააკაშვილის აშშ-ში ვიზიტის წინ. ამით მან კოზირი მისცა სააკაშვილს, რომელსაც შეეძლო მიეთითებინა ოქრუაშვილისკენ, როგორც საშიშროებისკენ და უფრო მეტი მხარდაჭერა ეთხოვა. ასე რომ, შეიძლება, ოქრუაშვილის განცხადება დაგეგმილიც ყოფილიყო. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ეს უფრო მისაღები იქნებოდა.

**- რა უნდა გაკეთდეს, რომ აფხაზები კიდევ უფრო არ გაგვიუცხოვდნენ?**

- შერიგებისკენ ნაბიჯები უნდა გადაიდგას და ეს ქართულმა მხარემ უნდა გააკეთოს. სწორედ ქართულმა მხარემ უნდა დააყენოს აფხაზები შერიგების ფაქტის წინაშე. აფხაზებს არ უნდა ვათქმევინოთ, რა გვინდა ასეთ სახელმწიფოშიო. დღეს რა ხდება? - პოლიციის მაღალი ჩინები კლავენ ადამიანს და შემდეგ სახელმწიფო სამარცხვინო სასამართლო პროცესს ატარებს. დემოკრატიული ინსტიტუტები გაპარტახებულია. ხელისუფლება ოპოზიციას არ ელაპარაკება და ა.შ. ასეთ პირობებში აფხაზები რითი უნდა მოვხიბლოთ?

პირველ რიგში, ხელი უნდა მოეწეროს ომის განუახლებლობას, რაც აფხაზებისთვის უსაფრთხოების გარანტია იქნება. შემდეგ უნდა მოიხსნას ეკონომიკური სანქციები, რომელიც ისედაც არ მუშაობს და მხოლოდ ნეგატიურ ფონს ქმნის. შემდეგ უნდა დაიწყოს ერთობლივი ეკონომიკური პროექტები და ამუშავდეს რკინიგზა. თუ ამ სამ-ოთხ ნაბიჯს გადავდგამთ, აფხაზური მხარე ფაქტის წინაშე აღმოჩნდება და უკან დასახევი გზა აღარ ექნება. შემდეგ მომდევნო პოზიტიური ნაბიჯები კიდევ უფრო ადვილი გადასადგმელი იქნება.

**P.S.** "თქვენი აფხაზეთის" შემდეგ ნომერში ქართული საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანთ აფხაზურ დოკუმენტს - "მომავლის გასაღები".

## არჩევანი დიდი რვიანის სამიტის წინ

*დიდი რვიანის სამიტს საქართველოში იმედით ხვდებიან - პრეზიდენტების, სააკაშვილისა და ბუშის 20-წუთიანი შეხვედრა და შეხვედრის დეტალების შესახებ ოვალური კაბინეტიდან გამოჟონილი მწირი ინფორმაცია ცხადყოფს, რომ აშშ და სამხრეთ კავკასიის პატარა ქვეყანა - საქართველო კვლავინდებურად დიდ მეგობრებად რჩებიან.*

დემნა ბარათაშვილი

პრეზიდენტ სააკაშვილის იმედიანი ფრაზა - **ქართველი მოსახლეობა უახლოეს მომავალში იგრძნობს შეხვედრის შედეგებს**; სტივენ სესტანოვიჩის დაპირება, რომ ტერიტორიული მთლიანობა მალე აღდგება და სხვა ექსპერტთა მოსაზრებები ადასტურებენ, რომ ერთგვარი დამაჩქარებელი კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირების პროცესში ამოქმედებულია და თუ ამ ვაქცინას რუსეთმა შემაბრკოლებელი საშუალებები არ დაუპირისპირა, ქართულ-აფხაზური ნდობის აღდგენის, პირდაპირი დიალოგის, ტერიტორიული მოწყობის წვრილმანზე სალაპარაკოს მეტი, პროცესში, მოულოდნელად და უცებ, აღარაფერი დარჩება.

აქვე აღსანიშნავია რუსეთის პრეზიდენტის არცთუ ორაზროვანი კომენტარი აფხაზეთში რეფერენდუმის ჩატარების აუცილებლობის შესახებ. პუტინმა ამით 1999 წლის აფხაზეთში ჩატარებული რეფერენდუმის კანონიერება და, აქედან გამომდინარე, აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხი ეჭვქვეშ დააყენა. და, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალი არ იცნობს სტატუსით დევნილების რეფერენდუმში მონაწილეობის პრაქტიკას, ქართულ მხარეს შესანიშნავად შეუძლია ამ საკითხის წამოწევა - რეფერენდუმის ჩატარების ინიცირება პირობით ორ ტერიტორიაზე - აფხაზეთში და საკუთრივ დევნილებში ენგურგამოღმა. შედეგი - აფხაზეთის რუსეთის ტერიტორიასთან მიერთების მსურველთათვის სავალალო, ხოლო ერთიანი ქართული სახელმწიფოს მომხრეთათვის სასარგებლო იქნება.

ამ ფონზე მნიშვნელოვანია ნინო ბურჯანაძის ვიზიტი აშშ-ში - უშიშროების საბჭო პირველად როდი მასპინძლობს ესოდენ მაღალი თანამდებობის პირს, მაგრამ გუშინ ბურჯანაძის სიტყვა მწვავე და საქმიანი იყო. მუდმივი წევრების ნაწილს, ისედაც არ ესიმპათიურებოდათ ქართველი რკინის ლედი, სპიჩის შემდეგ კი მას, ალბათ, სამუდამოდ მოიძულებენ.

ამ ფონზე ცოტა უცნაურად ჩანს კონფლიქტების დარეგულირების საკითხში სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას ოპოზიციური წიაღსვლები და პრეზიდენტის მრჩევლის ირაკლი ალასანიას გადაყვანა გაეროში.

ექსპერტები ამბობენ, რომ ალასანია-ხაინდრავას მოცილებით პრეზიდენტმა სააკაშვილმა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირების გზას უგანა და უფრო პარამილიტარისტული კურსი აილო.

თუმცა, არსებობს არანაკლებ საფუძვლიანი ვარაუდიც იმის თაობაზე, რომ აშშ-ში ვიზიტისა და ბუშთან საუბრის შემდეგ, სააკაშვილი საკუთარ გადაწყვეტილებას იოლად შეცვლის და ალასანიას უკვე თბილისში შესთავაზებს ახალ პოსტს, ხოლო ხაინდრავას თანამდებობიდან, უბრალოდ, არ გაათავისუფლებს (მსგავსი პრაქტიკა არსებობს - ვალერი ჩეჩელაშვილი, პრაქტიკულად, დანიშნული იყო შვეიცარიაში საქართველოს ელჩად, როდესაც საგარეო უწყება გელა ბეჟუაშვილმა ჩაიბარა და ჩეჩელაშვილი საკუთარ მოადგილედ დანიშნა). მოვლენათა ასეთი განვითარება იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ საზოგადოებრივი მოთხოვნა - თანამდებობიდან გადადგეს მერაბიშვილი, სხვადასხვა ინსინუაციით დაკმაყოფილდება და ოპოზიციის სურვილიც, უფრო დემოკრატიული გახდეს ქვეყანა, რეალურ კონტურებს შეიძენს.

სხვათა შორის, კანცელარიიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, კვარტეტის - ბოკერიას, არველაძის, ნადირაძის და კალანდაძის - ბრიფინგი პრეზიდენტთან შეთანხმებული სულაც არ ყოფილა და აღნიშნულ საჯარო პირთა ინიციატივა უფრო იყო.

ცხელი ზაფხულის აგრილება მაშინაა მოსალოდნელი, თუ რეკომენდაციები, რომლებიც პრეზიდენტმა აშშ-ში მიიღო, დიდხანს გაჭრის, ანუ მილიტარისტებს (საჯარო პირს, რომელიც პრეზიდენტის აშშ-ში ვიზიტის დროს ხსნის სამხედრო ბაზას და აცხადებს, რომ ევროპელების აზრი არ აინტერესებს, სხვანაირად ვერც ვუწოდებთ), ადამიანის უფლებათა დამრღვევებს და სხვა, დასავლური ღირებულებების გამაუფასურებლებს მინიმუმ ფრთები შეეკვეცებათ.

ოპოზიცია ამ შემთხვევაში დაიხევს უკან, ხოლო ნახსენები აფხაზებისთვის და ოსებისთვის (იგულისხმებიან საზოგადოებები და არა ბაგაფში ან კოკოითი) დანარჩენი საქართველო ერთადერთ, თან, პერსპექტიულ ალტერნატივად იქცევა.

# „დაკარგულები“ თბილისში

სოფიო პეტრიაშვილი

პროგრესისა და ტექნიკური წინსვლის XX საუკუნემ თავის დროზე დიდი კრიზისი განიცადა კულტურისა და ხელოვნების სფეროში. პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია. ამერიკელმა მწერალმა გერტრუდა სტაინმა ახალგაზრდა ერნესტ ჰემინგუეისთან საუბრისას მას და მის თანამედროვეებს დაკარგული თაობა უწოდა. პარადოქსია მაგრამ სწორედ ამ დაკარგულმა თაობამ დაუტოვა მსოფლიოს უდიდესი ქმნილებები, რომლებიც საბოლოოდ მაინც ადამიანის უძლეველობასა და სულის გაუტეხელობას უმღერიან. იქნებ ეს იყო პასუხი ამ ერთგვარ გამოწვევაზე? ან დასტური იმისა, რომ დაკარგულობა უმეტესწილად მხოლოდ სულიერი ან ფიზიკური მდგომარეობაა და არა საბოლოო განაჩენი?!...

ქართული კულტურისათვის დაკარგულობისა და დაკარგულების პრობლემა არ არის ახალი. ჩვენ ყოველთვის რაღაცას ვკარგავდით, რაც წამსვე აისახებოდა ხოლმე ჩვენსავე ყოფასა და ცხოვრებაზე. დრო კი გადიოდა და მასთან ერთად იცვლებოდა ის ღირებულებები, რომლებიც ასევე მუდმივად გვეცლებოდნენ ხელიდან. ერთ-ერთი პირველ და მნიშვნელოვან დანაკარგად ალბათ ოქროს საწმისი შეიძლება ჩაითვალოს. სიმღერა, „სულიკო“ რომლითაც მთელი მსოფლიო გვიცნობს პირველსავე სტროფში გვატყობინებს: „საყვარლის საფლავს ვეძებდი ვერ ვნახე დაკარგულიყო“... თავად ქართულმა სამხატვრო ხელოვნებამ დაკარგა ნიკო ფიროსმანი (თვითონ ფიროსმანი და არა მისი ნამუშევრები, რომელთა დიდი ნაწილის ქრონოლოგია დღემდე დაუდგენელია, რომლის ცხოვრბის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი, არავინ იცის, თუ სად არის მისი საფლავიც და ეს მაშინ, როდესაც ჯერ ასი წელიც კი არ გასულა მისი გარდაცვალებიდან... ჩვენი დიდი და სამწუხარო ტრადიცია მუდმივი კარგვისა და დანაკარგებისა დღემდე გრძელდება, თუმცა ბევრნი ამას არად დაგიდევენ და იწყება იგნორირება რწმენის, იმედის, მონატრების იმის მიმართ ვინც, ან რაც ოდესმე დაგიკარგავს...

ერთ კვირაზე მეტია, რაც გალერეა „უნივერსი“ „ფიგურატიული ხელოვნების სახელოსნოს“ წარმომადგენლებს ლევან მინდიაშვილს, ტატო ახალკაციშვილს, მალხაზ დათაშვილსა და ირაკლი ბუგიანს მასპინძლობდა. მათ მიერ წარმოდგენილი გამოფენა-პროექტი „დაკარგულები“ დამოუკიდებელი კურატორის, სოფო კილასონიას ავტორობითა და ორგანიზებით განხორციელდა. გამოფენის ხასიათიცა და მიზნებიც მკვეთრად განსხვავებულია ბოლო წლებში თბილისში ჩატერებული სხვადასხვა სახის გამოფენებისგან. ოთხი ახალგაზრდა მხატვრის მიერ წარმოდგენილი ნამუშევრები, რომლებიც ქართულ რეალობას ასახავენ ფერწერაში, ფოტოში, ტექსტში, ვიდეო-არტსა და ქანდაკებაშია წარმოდგენილი. მათი მთავარი ძალა შინაგანი სიმართლე, უშუალობა, ექსპრესიულობა, და მკაფიოდ გამოკვეთილი ხასიათია. ისინი აღადგენენ არა მარტო ადამიანების მივიწყებულ ფიქრებსა და განცდებს, არამედ გარკვეულწილად მათ არაცნობიერ სამყაროსაც, მოგვიწოდებენ მუდამ გვახსოვდეს და აღარასოდეს აღარ დავკარგოთ ერთმანეთი. ამჯერად, გამოფენის კურატორი სოფო კილასონია და „ფიგურატიული ხელოვნების სახელოსნოს“ ერთ-ერთი წარმომადგენელი ლევან მინდიაშვილი აღნიშნული პროექტის და მომავალი გეგმების შესახებ გვესაუბრებიან.

**- სოფო, გამოფენა-პროექტი „დაკარგულები“ თქვენი, როგორც კურატორის პირველი განაცხადია?**

- პროფესიით ხელოვნებათმცოდნე გახლავართ, მაგრამ საკურატორო საქმე, რომელსაც თავად ერთგვარ შემოქმედებადაც განვიხილავ, უფრო მიზიდავს, რადგანაც ამ საქმეში მეტი პრაქტიკული სამუშაოა საწარმოებელი. პირველი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გამოფენა დამოუკიდებლად დაახლოებით სამი წლის წინ მოვაწყვე. ის ეხებოდა რელიგიურ სურათს ქართულ მხატვრობაში. პრესასთან ურთიერთობა დამეხმარა მხატვრებთან დიალოგსა და საკუთარი თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელებაში. როგორც ჟურნალისტს ხშირი ურთიერთობა მაქვს თბილისის გალერეებთან, მუდმივად ვაშუქებ იქ არსებულ გამოფენებს და სხვათა შორის, არა ერთხელ აღმინიშნავს, რომ ხშირ შემთხვევაში ეს არ არის ის, რასაც უნდა წარმოადგენდეს რეალურად თანამედროვე ხელოვნება და თავად საგალერეო საქმე. დღევანდელ დღეს, ქართული სახვითი ხელოვნება „ჩარჩოებშია“ მოქცეული და ძირითადად განყენებული, ეფემერული ხასიათისაა და სინამდვილეს მთლიანადაა მოწყვეტილი. ამას გარდა, გაჩნდა პროტესტი გალერეების ხელმძღვანელთა თუ მეპატრონეთა მიმართაც, რომელთა უმრავლესობას აზრადაც არ მოსდის, მხარი დაუჭიროს თანამედროვე ხელოვნებას (მის პროპაგანდაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია). არ ვიცი, შეიძლება პროფესიაა მიზეზი ჩემი მიდრეკილებისა კრიტიკისკენ, თუმცა ფაქტია, რომ ინტერესი - თავადაც მომეწყო გამოფენა სწორედ აქედან გამომდინარეობს. ვიფიქრე, მოდი ვცდი, რეალურად განვახორციელო ის, რაც წამიკითხავს, მისწავლია, განმიცდია, მაწუხებს და რაც საერთოდ დღესდღეობით მნიშვნელოვანია, რადგან თუკი ერთხელ მაინც ნამდვილი, შინაგანი პროტესტის გრძნობა გაგიჩნდა, აუცილებლად ადგები და შეეცდები რაღაცა უკეთესად გააკეთო. ჩემი პროექტი კი მიზნად ისახავდა თანამედროვე ხელოვნებაში გამეშალა ის აქტუალური საკითხები, რომლებიც ჩვენ გვერდით მყოფ თითოეულ ადამიანს აფიქრებს. ამიტომაც ავირჩიე „დაკარგულების“ თემატიკა, რომელიც დიდი ხანია ჩემში ყალიბდებოდა. ვგრძნობდი, ის აუცილებლად უნდა შემექმნა იმ ახალგაზრდა და საინტერესო მხატვართა ჯგუფთან ერთად, რომელთან თანამშრომლობა მეც, როგორც პროექტის კურატორს კიდევ უფრო მეტ გამოცდილებას შემძენდა. მოხარული ვარ, რომ „ფიგურატიული ხელოვნების სახელოსნომ“ ბოლომდე გაიზიარა ჩემი იდეები და დამეხმარა მათი სიღრმე-სირთულე დახვეწილი და



მეტყველი ენით წარმომეჩინა. ჩვენ ერთობლივ სამუშაო პროცესს გამუდმებით ვაკვირდებოდი არა მარტო როგორც ორგანიზატორი ან ერთ-ერთი მონაწილე, არამედ როგორც კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტი, სულ ვფიქრობდი, როდესაც გამოფენა გაიხსნება და დამთვალიერებელი მოვა, რას იტყვის და რა შენიშვნები შეიძლება გაუჩნდეს მეთქი?...

„დაკარგულები“ აღსანიშნავია იმითაც, რომ იგი კურატორული პროექტის ხასიათისაა, რაც თბილისში იშვიათობას წარმოადგენს. ჩვენთან კურატორის ფუნქციები და მისი მნიშვნელობა განა დაიკარგა, არა, მას უბრალოდ არც არასოდეს უარსებია... გამოფენაზე ექსპონატის სახე აქვს ტექსტს, სწორედ ეს უკანასკნელია პროექტის მთავარი იდეისა და მიზნების გამომხატველი. ფოტო-მოთხრობა ყველაზე მკაფიოდ და „უცერემონიოდ“ გამოხატავს როგორც პროტესტს, ისე პოზიციას...

**- ლევან, რამდენი ხანია, რაც „ფიგურატიული ხელოვნების სახელოსნო“ არსებობს და როგორ მოხვდით ამ პროექტში?**

- „ფიგურატიული ხელოვნების სახელოსნო“ ოთხ ახალგაზრდა მხატვარს გვაერთიანებს. მათგან ორს, ტატო ახალკაციშვილს (ფერმწერი) და მალხაზ დათაშვილს (მოქანდაკე) ჯერ კიდევ სამხატვრო სკოლიდან ვიცნობ. ჩვენი ჯგუფის მეოთხე წევრი - ირაკლი ბუგიანი კი შედარებით გვიან, 1998 წელს სანკტ-პეტერბურგში გავიცანით, სადაც სამხატვრო აკადემიიდან პრაქტიკებზე ვიყავით წარგზავნილი. ამჟამად ის გერმანიაში, კარლსრუეს სამხატვრო აკადემიაში სწავლობს. ასე დაიწყო ჩვენი გაერთიანება და საბოლოოდ ერთ გუნდად შეკვრა. იდეა, რომ გავერთიანებულიყავით და საკუთარი ჯგუფი დაგვეარსებინა, თავიდანვე მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი და ვცდილობდით, გამოფენებიც ერთად მოგვეწყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ გვინდოდა ერთმანეთი რაიმე ოფიციალურ საზღვრებში მოგვექცია, პირიქით, ჩვენი მისწრაფება ის გახლდათ, რომ როგორც შემოქმედები, რაც შეიძლება გახსნილები, ლაღები და თვისუფლები ვყოფილიყავით. ყოველივე თავისთავად მოხდა. 2003 წელს გერმანიაში ჩვენი პირველი ერთობლივი გამოფენა მოეწყო, რომელსაც უამრავი ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთი გამოეხმაურა, მათში ყველაზე ხშირად ჟღერდა სიტყვა - „ფიგურატივიზმი“. გადავწყვიტეთ ეს მრავლის მომცველი ტერმინი, რომელიც ზედმიწევნით შეესაბამებოდა ჩვენს ძიებებსა და მიმართულებებს, გვეწოდებინა ჩვენი გაერთიანებისთვის. თუმცა მინდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ 2004 წელს გალერეა „უნივერსში“ ჩვენი პირველი პრეზენტაციის დროს ამ სახელწოდებამ დიდი გაუგებრობა გამოიწვია. თავიდან ვერავინ გაიგო, თუ რას ნიშნავდა და რატომ ვინათლებოდით ამ სახელით. თუმცა, საბედნიეროდ მხარდამჭერებიც გამოგვიჩნდნენ. მაგალითად, გალერეა „უნივერსმა“ თავიდანვე დახმარების ხელი გამოგვიწოდა და აბსულუტურად უსასყიდლოდ დაგვითმო საკუთარი საგამოფენო სივრცე. მათვე შემოგვთავაზეს სამხატვრო სახელოსნოც, რომელიც გალერეის ეზოშივე მდებარეობს და სადაც ჩვენი ჯგუფი უკვე ორი წელია მუშაობს. „უნივერსი“ მუდამ გვაძლევს საშუალებას ნებისმიერი საინტერესო, შემოქმედებითი იდეისა თუ პროექტის განსახორციელებლად. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც.

**- სოფო გამოფენას ლამაზი, მაგრამ სევდიანი სახელი უწოდეთ - „დაკარგულები“, რამ განაპირობა თქვენი ეს არჩევანი?**

- თავიდანვე მინდოდა, რომ გამოფენას აესახა საქართველოში არსებული მძაფრი სოციალური ან ის სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ახლობელი და თან უცხო იქნებოდა ჩვენი საზოგადოებისათვის. მინდოდა ექსპოზიცია მაქსიმალურად ცოცხალი ყოფილიყო და ეს სიცოცხლე თავად მუშაობის პროცესს უნდა შეეტანა მასში, რათა საბოლოო ნამუშევარი ზედმიწევნით სრულყოფილი გამოსულიყო. სათაურს რაც შეეხება, ჯერ თვითონ სიტყვა „დაკარგულები“ გაჩნდა ჩემში და მხოლოდ ამის შემდეგ გაიშალა ის მთელ სიუჟეტებად. საერთოდ, რაც იქმნება ყველაფერი პირადიდან მოდის და მერე ხდება საზოგადო, თუ საერთოდ ხდება... დაკარგულობის მომენტი კი ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში მეტად გამოკვეთილი და შესამჩნევია. ყოველი პატარა ამბავი, რომელიც ექსპოზიციის თითოეული სერიის მთავარი თემა გახდა. რეალურია და ასეთი ამბები ჩვენს გარშემო მუდამ ხდება, უბრალოდ მეტი ყურადღება და მახვილი თვალია საჭირო. ჩვენ იმ საზოგადოებას ვეკუთვნით, სადაც უპატრონო ბავშვებისთვის გამოყოფილი „პამპერსებითა“ და საკვებით ხალხი მდიდრდება. ჩვენ უბრალოდ აღვნიშნეთ ის, რისთვისაც სხვა მხატვარსა თუ მწერალს ყურადღებაც არ მიუქცევია. ლამაზ და ნათელ საგამოფენო სივრცეში მოვიწვიეთ სტუმრები და უბრალოდ, შეფუთული მხატვრული ნამუშევრების გარდა დავახვედრეთ ის რეალობა, რომელი ყველას გარს გვაკრავს, რომლიც მონაწილენიც ვხდებით.

**- ლევან, გამოფენაზე გამოტანილი ნამუშევრები ნამდვილად მწვავე პრობლემებს ეხმაურება, თუმცა არ არის აგრესიული ან მძიმე, ის უფრო მკაცრი და სათუთია. როგორ შეძელით ამდენი სიმძიმის შემსუბუქება?**

- როდესაც საზოგადოება მოდის გამოფენაზე ის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დატვირთო უარყოფითი ენერგიით, რადგან, რას წარმოადგენს რეალობა, ყველამ კარგად იცის. მხატვარმა კი საკუთარი პოზიციის ან პრობლემის დაფიქსირების გარდა დამთვალიერებელს რაღაც ალტერნატივაც უნდა შესთავაზოს, მისცეს სტიმული, სიცოცხლისა და საერთოდ სამყაროს მშვენიერება შეახსენოს და ამ ქვეყნად თითოეული ჩვენგანის მნიშვნელობას გაუსვას ხაზი. „დაკარგულებისთვის“ თავდაპირველად მამაკაცების სერია „ოდა ადამიანს“ შევქმენი, რაც განაპირობა იმ ფაქტმა რომ დაახლოებით ბოლო 15 წელია მამაკაცის როლი ჩვენ საზოგადოებაში როგორც ოჯახის საფუძვლისა და ბურჯის, საგრძნობლად დაკნინდა. პარალელურად მოხდა ქალის გააქტიურება იმ მხრივ, რომ როლები შეიცვალა და ფუნქცია ოჯახის საყრდენისა თითქმის მთლიანად ქალებს დააწვათ მხრებზე. ქალები ჩვენს ქვეყანაში გარდა იმისა, რომ სახლში ორი კაპიკი შეიტანონ, ველარაფერზე ფიქრობენ და ამასობაში თვითონვე ავიწყდებათ, რომ მშვენიერი არსებები არიან. „ოდა ადამიანს“ კი გახლავთ სწორედ ის ნამუშევარი, რომელსაც თითოეული მამაკაცი როგორც გამოწვევას, ისე მიიღებდა. მასში ასევე ვეცადე ზოგადად ადამიანების ერთმანეთისაგან გათიშულობა, ინდივიდუალიზმის უკიდურესი კრიზისი ამესახა, უარი არათუ სხვის, არამედ საკუთარი თავის სიყვარულზე, რომელსაც როგორც მძიმე ტვირთს, ისე დაატარებენ. რაც შეეხება „ბავშვთა სახლის მკვიდრთა“ და „ლტოლვილების“ ყოფის ამსახველ ფოტო-მოთხრობებს ისინი მალხაზ დათაშვილმა გადაიღო, ტექსტი სოფოს ეკუთვნის. მათი დახმარებით ჩვენ გვინდოდა დიალოგში შევსულიყავით არა იმდენად მათთან, ლტოლვილებთან და ბავშვებთან, რამდენადაც ჩვენ საზოგადოებასთან, რომელიც ხშირ შემთხვევაში ცალკე დგას და არაფერი აინტერესებს. მათი ტკივილი ჩვენც გვეხება. აფხაზეთი საქართველოს ნაწილია და ის მიტოვებული ბავშვებიც მუდამ პატარებად არ დარჩებიან, გაიზრდებიან და მათგან არაფერი იქნება გასაკვირი. ამ გამოფენა-აქციით ჩვენ გვინდოდა გამოგვეხატა თანადგომა და მუდმივი მზადყოფნა მათ დასახმარებლად, ეს ასევე გახლდათ გზავნილი ხელისუფლებისადმი, თუმცა რამდენად მიაღწია მან ადრესატამდე ვერ გეტყვით, რადგან მათ დიდი ხანია დაავიწყდათ, რომ სახელმწიფო თითოეული ადამიანით იწყება. ამ ფოტომოთხრობებს ერთგვარად „არბილებენ“ მალხაზ დათაშვილის ქანდაკებები, ტატო ახალკაციშვილის ფერწერული ნამუშევრები და ასევე ჩემ მიერ შექმნილი სურათები იგივე სათაურით.

გამოფენაზე, არც ერთ ნამუშევარზე არ იყო აღნიშნული ავტორის ვინაობა, ასე განზრახ მოვიქეცით, რადგან ამ შემთხვევაში მთავარი იყო იქ არსებული ექსპონატების ერთობლიობა და ამ მთლიანობის შესაქმნელად ყველანი ერთმანეთს ვეხმარებოდით, რათა კიდევ ერთხელ ხაზი გაგვესვა უმთავრესი იდეისათვის.

**- სოფო, გალერეა „უნივერსის“ გარდა თქვენს პროექტს მხარი ვინ დაუჭირა და რამდენად შესაძლებელია კერძო სტრუქტურები ასეთი სახის პროექტებით დააინტერესო?**

- გალერეა „უნივერსის“ ხელმძღვანელმა ქალბატონმა ლალი ღოღელიანმა საკუთარი სივრცე უსასყიდლოდ დაგვითმო, რისთვისაც მისი მადლიერნი ვართ, მაგრამ მიუხედავად დიდი მიზანდასახულობისა და ენთუზიაზმისა, გამოფენა მაინც ვერ გაიხსნებოდა რომ არა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტისა და მინისტრის მოადგილის, ქალბატონი თამარ ქვარიანის მხარდაჭერა. სწორედ მათ დააფინანსეს ჩვენი პროექტი, როგორც ვიცი, ქალბატონ თამარს ჩვენთან დაკავშირებით გარკვეული სამომავლო გეგმებიც გაუჩნდა, რაც სასიამოვნო და მნიშვნელოვანია ჩვენთვის. თავიდან დიდ სირთულეებს წავაწყდით. რაც შეეხება კერძო სტრუქტურებს, მათ ჯერ სამწუხაროდ არ ესმით ბოლომდე, თუ რატომ უნდა დაინტერესდნენ თანამედროვე, ოღონდაც ნამდვილი ხელოვნებით. ახლებური პროექტებით, რომლებიც ძირითადად სახვით, თუ ვიზუალურ ენაზე მეტყველებს. ქართული ბიზნესისთვის ამგვარი სფეროები ჯერ ვერ არის მთალად ცხადი.

**- სოფო, საქართველოში გარკვეული მიზეზების გამო თითქოს დრო გაჩერდა, ყოველ შემთხვევაში წინსვლა დიდად არაფერში არ შეიმჩნევა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ჩვენი თაობები შეიძლება გარკვეულწილად დაკარგულად ჩაითვალოს?**

- ნამდვილდ არ ვთვლი, რომ დავიკარგეთ, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, რომ დავიკარგოთ არჩევანის გაკეთებისას და პირადად ჩვენი მცდელობა, რომ ეს არ მოხდეს, სწორედ ეს გამოფენა გახლდათ, სადაც შევეცადეთ, ჩვენებური დეფინიცია მოგვეხდინა ჩვენი და ჩვენი მშობლების თაობისა, ქალების მიგრაციისა შტატებში და ახალგაზრდების „მოგზაურობისა“ უცხო ქვეყნების ციხეებში. როგორც უკვე გითხარით, თავიდან ყოველივე ჩვენი პირადი პატარ-პატარა ამბებით დაიწყო და შემდგომ განზოგადდა. ფაქტია, რომ ადამიანები ერთმანეთს ვეღარ ვგრძნობთ. ამ გულგრილობას დროს და ხშირად ხელისუფალთ ვაბრალებთ, პრობლემა ხშირად ჩვენშია. არც ერთი ქართველი ხელოვანი არ ალაპარაკებულა აქამდე იმ ენაზე, რომელიც საზოგადოებას ესმის.

**- როგორც ცნობილი გახდა „დაკარგულებით“ წარდგენას ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც აპირებთ...**

- დიახ, გვაქვს ასეთი გეგმები, თუმცა ჯერჯერობით ამაზე საუბარი ცოტანაადრევია. ამჯერად ვფიქრობთ იმაზე, თუ რა სახით გავაგრძელოთ ამ პროექტზე მუშაობა. მინდა „დაკარგულებმა“ მეტი აქციური სახე მიიღოს, სხვა არტისტებიც ჩაერთონ, სხვა კუთხითა და მიმართულებით განივრცოს, შეიძლება მეტი კონკრეტულობა შეემატოს ან მასშტაბი, რადგანაც თავად თემა ამოუწურავია. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ საბოლოოდ პროექტმა ის სახე მიიღო, რასაც ჩანაფიქრი წარმოადგენდა. დღეს უფრო კარგად დავინახე, რა იყო პროექტში მთავარი, რამ იმოქმედა ყველაზე მეტად და რა კუთხით უნდა გავაგრძელოთ მუშაობა. ვნახოთ... არა და როცა ყველაფერი მოვამზადეთ, ვთქვი, როგორც იქნა, მოვრჩით-მეთქი ყველაფერს. როდესაც გამოფენა გაიხსნა, მივხვდი, არაფერი არ დაგვიმთავრებია, პირიქით, ყოველივე მხოლოდ ახლა იწყება.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. მცხეთის რაიონის გამგეობა ს/კ 236033234; ბანკი "სახალხო ბანკის" მცხეთის ფილიალი, კოდი: 220101415; ა/ა 33030001, მისამართი: ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის 73, ატარებს ტენდერს ქ. მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ცენტრალური და შიდა გზების მოასფალტების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 6 თვისა.

3. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 1 აგვისტოს 12-დან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის 73.

4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ).

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (იჯარის შემთხვევაში - საიჯარო ხელშეკრულება).

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის გადახდის შემდგომ (დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 12 ივლისის 12 საათიდან 31 ივლისის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის 73.

7. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი პაპაშვილი. ტელ.: (8 273) 2 27 27.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს ქ. ლაგოდეხში და ქ. დუშეთში სპორტული ობიექტების კაპიტალური მშენებლობის შესყიდვისათვის.**

**შესასყიდი ობიექტები დაყოფილია 2 (ორი) ლოტად, შემდეგი სახით:**

| ლოტი | რაიონი | ობიექტი | მისამართი |
|---|---|---|---|
| № 1 | ლაგოდეხი | სპორტული დარბაზი | ზაქათალისა და 26 მაისის ქუჩების კუთხის ტერიტორია |
| № 2 | დუშეთი | სპორტული დარბაზი | მწითურის ქუჩა №3 |

**ობიექტების მოკლე აღწერილობა:**

**ლოტზე N1 და ლოტზე N2** პროექტით გათვალისწინებულია სპორტული დარბაზის კაპიტალური მშენებლობა, 500-ს მაყურებელზე (ხელბურთის მინი ფეხბურთის, კალათბურთის, ფრემბურთის და ყველა სპორტული სახეობების და ა.შ.) მშენებლობისათვის არქიტექტურული კონსტრუქციული სანტეხნიკური ელექტრობა, გათბობა, ვენტილაცია და ა.შ.)

- დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარის წარმოდგენის შემდეგ, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N49/ა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სატენდერო კომისიის აპარატში.

- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ 2 აგვისტოს 17.00 საათამდე.

**- სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:**

*მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში*

*სახაზინო კოდი - 302003000*

ანგ. N200122900 საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი.

- პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტით არაუგვიანეს **2006 წლის 3 აგვისტოს 17.00 საათამდე**, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

**- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**- იურიდიული პირისათვის:**

- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება (ცნობას სასამართლოდან)

**- ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობას ქმედითუნარიანობის შესახებ (ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან)
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.

**- როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილების მსურველი პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.
- ინფორმაციას ბოლო 2 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ, ლარებში დღგ-ს ჩათვლით.
- საკვალიფიკაციო მონაცემების მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც.
- თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
- შესყიდვების პროცესში, კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების ურზუნველყოფის გარანტირების მექანიზმი.
- ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.
- ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
- სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2006 წლის 4 აგვისტოს 17:00 საათზე.**
- სატენდერო წინადადებების შეფასება მოხდება **3 აგვისტოს 17.00 საათზე.**

**- ტენდერი ითვალისწინებს მრავალწლიან შესყიდვას კერძოდ (2006-2007) წლებში.**

- სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრება: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლისათვის მთლიანი სამუშაოს 40%-ის შესრულებით, ხოლო ობიექტების ჩაბარების სააბოლოო ვადაა 2007 წლის 1 სექტემბრამდე.

**- დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ:**

**ირაკლი სამყურაშვილი- 899 77-71-03**

**თენგიზ ღურწკაია - 899 22-92-80**

**სატენდერო კომისია**

მოკლედ

### თეატრი „მეტეხი"

ქართული ნაციონალური ბალეტის თეატრი „მეტეხი" ისრაელში გაემგზავრება.

თეატრი მონაწილეობას მიიღებს ქართველ-ებრაელთა მსოფლიო ფორუმის ფარგლებში დაგეგმილ შოუ-პროგრამაში. როგორც ქართული ნაციონალური ბალეტის თეატრის „მეტეხის" დირექტორმა გელოდი ფოცხიშვილმა განაცხადა, სპეციალურად ამ ფორუმისთვის თეატრის შემოქმედებით ჯგუფს ებრაულმა მხარემ რამდენიმე ფოლკლორული ცეკვის ნიმუში გამოუგზავნა. „ფოლკლორული ცეკვების მიხედვით შევქმენით „ძველი ქალაქური (თელ ავივი) ცეკვა-პოპური", რომელიც პირველად ფორუმის შოუ-პროგრამაზე შესრულდება. ქართველი მოცეკვავეები 35 ათასი მაყურებლის წინაშე წარდგებიან. უზარმაზარი დარბაზი სპეციალურად ამ ფორუმისთვის მომზადდა", - განმარტა გელოდი ფოცხიშვილმა.

ქართულ-ებრაული მსოფლიო ფორუმზე მიწვეულნი არიან საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების წარმომადგენლები. რამდენიმედღიანი ფორუმი ისრაელის პრეზიდენტის მოშე კაცავის პატრონაჟით გაიმართება **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველოს კინოცენტრი

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი 3 ახალგაზრდა რეჟისორს დააფინანსებს. დებიუტანტი რეჟისორები თავიანთ პირველ მოკლემეტრაჟიან მხატვრულ ფილმებს გადაიღებენ.

რეჟისორების გამოსავლენად ჩატარებულ კონკურსში მარიამ ქაცარავამ, დავით აფხაიძემ და ნიკოლოზ ბეჟანიშვილმა გაიმარჯვეს. კინოცენტრისგან გამოყოფილი თანხის საერთო რაოდენობა 20 522 ლარს შეადგენს. გამარჯვებულებს შორის თანხა ასე გადანაწილდა: მარიამ ქაცარავა; 6 522 ლარი (ფილმისთვის „16+") დავით აფხაიძე - 7 ათასი ლარი (ფილმისთვის „ის არის") და ნიკოლოზ ბეჟანიშვილი - 7 ათასი ლარი (ფილმისთვის „მკვლელობა"). **ჯი-ეიჩ-ენი**

### ვენეციის 63-ე კინოფესტივალი

ვენეციის 63-ე კინოფესტივალს ცნობილი რეჟისორის დუგლას მაკგრატის ფილმი გახსნის, რომელიც ამერიკელი მწერლის ტრუმენ კეპოტეს ნაწარმოების „ცივსისხლიანის" მიხედვით შეიქმნა. ფილმში მთავარ როლებს მსახიობები სანდრა ბალოკი, გვინეტ პელტროუ, იზაბელა როსელინი, ჯევ დენიელსი და დანიელ კრეიგი ასრულებენ.

ვენეციის კინოფესტივალის დირექტორის - მარკო მიულერის გადაწყვეტილებით, დაჯილდოებას ფრანგი მსახიობი კატრინ დენევი უხელმძღვანელებს.

ფესტივალის მთავარი ჯილდო ოქროს ლომი შემდეგ კატეგორიებში გადანაწილდება: საუკეთესო რეჟისორი, საუკეთესო კინოსცენარი, საუკეთესო მსახიობი მამაკაცი და საუკეთესო მსახიობი ქალი. ფესტივალი 1932 წლის ივლისიდან ყოველ წელს ტარდება, ამჯერად 30 აგვისტოს გაიხსნება და 9 სექტემბერს დასრულდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ყველაზე ლამაზი ქალები

ბრიტანული ჟურნალის Eva-ს მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ მსოფლიოს ულამაზესი მსახიობი ქალბატონები გამოავლინა.

რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ანჯელინა ჯოლი ათეულის ბოლოში მოექცა, მაშინ როდესაც ის მსგავს გამოკითხვებში ყოველთვის მოწინავე პოზიციებს იკავებდა. გამოკითხულთა უმრავლესობამ ყველაზე ლამაზი ქალბატონის ტიტული მსახიობ კრისტიან დევისს მიანიჭა, რომელსაც დიდი აღიარება მოუტანა სერიალმა „სექსი დიდ ქალაქში". პოზიციები შემდეგი თანმიმდევრობით გადანაწილდა: კეტრინ ზეტა ჯონსი, ჰოლი ბერი, შარლიზ თერონი, ქეით ბეკინსეილი, ქეით ვინსლეტი, ევა ლონგორია, ჯენიფერ ენისტონი და ანჯელინა ჯოლი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რუსულის მასწავლებელი

რეჟისორ ალეკო ცაბაძის ფილმის „რუსულის მასწავლებლის" გადაღება დასასრულს უახლოვდება. ფილმის პრემიერა სექტემბერში თბილისში, ბათუმში, მოსკოვსა და კიევში გაიმართება.

როგორც ფილმის პროდიუსერმა ლევან კორინთელმა თქვა, „რუსულის მასწავლებელი" ფსიქო-სოციალური დრამაა და ამასთანავე, კრიმინალური დეტექტივიც.

ფილმის გადაღება კინოსტუდია „რემკამ" აპრილიდან დაიწყო. ფილმში მთავარ როლს რუსული კინოს ვარსკვლავი კონსტანტინ ხაბენსკი ასრულებს. პროდიუსერის ინფორმაციით, ფილმი მარტოხელა შურისმაძიებელს ეხება, რომელიც ჩეჩნეთის ომიდან ახალი დაბრუნებულია. ფილმის ძირითადი ნაწილი კიევში გადაიღეს, ამჟამად ბოლო კადრების გადაღება თბილისში, ბოტანიკურ ბაღში მიმდინარეობს. **მედიანიუსი**

**სააქციო საზოგადოება ფირმა "კოლხეთის" მიერ ამა წლის 3 ივლისს გამოცხადებული აუქციონი გადატანილია. ჩატარების თარიღი დამატებით იქნება გამოცხადებული.**


## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

### სრულმეტრაჟიანი მხატვრული, სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტის შესაქმნელად

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 18 000 ლარით. კონკურსის საერთო ბიუჯეტია 36 000 ლ.

კომისია არ განიხილავს ეროვნული კინოცენტრის კონკურსებში გამარჯვებულ პროექტებს და იმ პროექტებს, რომლებსაც მიღებული აქვთ დაფინანსება სხვა წყაროებიდან პროექტის განვითარებისთვის.

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 31 ივლისი, 17:00 სთ.

კონკურსების პირობების გაცნობა შესაძლებელია ეროვნულ კინოცენტრში ან ეროვნული კინოცენტრის ვებგვერდზე. კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს, 12 საათზე.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,
ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail o www.filmcenter.ge




დედა ნაირა (მაიკო) დაუშვილი, მამა გოჩა მაჩაიძე, ძმა მამუკა მაჩაიძე, ბიძა მანუჩარ მაჩაიძე, დეიდა ირინა დაუშვილი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მეგობრები იუწყებიან რომ გარდაიცვალა

## დიმიტრი (დიტო) მაჩაიძე

**პანაშვიდი: 11-12 ივლისი, 17 საათი**
**გამოსვენება: საბურთალოს სასაფლაო, ამაღლების ეკლესია, 13 ივლისი 15 საათი.**
**მის: ნაძალადევის რაიონი, წრომის ქ.15**

ტელეკრიტიკა

# ვარიაციები თემაზე - ხოფერია გადადგა!



ნინია კაკაბაძე

ქართული ტელევიზიის ერთ-ერთი რეიტინგული ტელეკომპანიის პოპულარული ტოქშოუს პოპულარული წამყვანი ეკა ხოფერია პირდაპირ ეთერში პროტესტის ნიშნად ტოვებს გადაცემას და არხს. სიახლე ყველასთვის საკვირველი და მოულოდნელი იყო. ემოციურად დატვირთული დღის კულმინაციად სწორედ ხოფერიას გადაწყვეტილება იქცა. მისი, ასე ვთქვათ, გადადგომიდან რამდენიმე წუთში დაიწყო ბჭობა: რა გახდა ამის მიზეზი?! ვიდრე სავარაუდო მიზეზებზე პუნქტობრივად ვისაუბრებდეთ, შევაფასოთ მოვლენა. ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ეთერში, ვარდების რევოლუციის შემდეგ, ეს უკანასკნელი ყველაზე სკანდალურ ფაქტად იქცა. ავტორიტეტშელახული კომპანიისა და მისი საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის ქმედება, რამდენად დავარდნილიც არ უნდა იყოს მაყურებლის ნდობა მის მიმართ, მაინც პოზიტიურ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ; არასდროს არ არის გვიან გამოვხატოთ პროტესტი, ვთქვათ სიმართლე და ვიყოთ პასუხისმგებლები საკუთარ ქმედებაზე, მოვინანიოთ შეცდომები და ამ გზით მოვახერხოთ საკუთარი თავისა და ავტორიტეტის რეაბილიტაცია. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ ამა თუ იმ ჟურნალისტის პროფესიონალურ კვალიფიკაციაზე, უნდა ვაღიაროთ, რომ ოთხმილიონიანი აუდიტორიისთვის ტელევიზიის პოპულარული სახე ყველა შემთხვევაში სამაგალითო და ავტორიტეტულია. წამყვანი - ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მოსახლეობის, ჩვენი ცნობიერების მართვის მექანიზმებში. აქედან გამომდინარე, ეკა ხოფერიას გადაწყვეტილება ქებას იმსახურებს. ეს იყო პროტესტი, რომელიც პირდაპირ ეთერში ტოქშოუს წამყვანმა გამოხატა.

ახლა კი იმ სავარაუდო მიზეზების შესახებ, რომელსაც საზოგადოება აქტიურად ავრცელებს; შეფასებები, მიზეზები, მოთხოვნები, სავარაუდო შედეგები...

შეფასებები, რომელიც არ გამართლდა. **1.** ეს სკანდალური სცენა ბოკერიას დაგეგმილი იყო! მიზანი - ამ კონკრეტულ კონტექსტში მერაბიშვილის გადაყენება. **2.** ე.წ. ტელეფონისტი, ყურში მოკარნახე ბოკერია იყო! დამეთანხმებით, ბოკერიასთან დაკავშირებით გამოთქმული ამ ორი ვარაუდიდან მეორე გაცილებით ლოგიკური და ბუნებრივია. **3.** ეს არ იყო ხოფერიას მიერ ექსპრომტად მიღებული გადაწყვეტილება. ეს წინასწარ დაგეგმილი, კარგად გააზრებული ნაბიჯი იყო! ვფიქრობ, როგორ და რა სიტუაციაშიც არ უნდა ყოფილიყო მიღებული გადაწყვეტილება, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ გადაწყვეტილება მიღებულია და ეს გადაწყვეტილება ეფექტური აღმოჩნდა. **4.** ხოფერიას სექტემბრიდან ხსნიდნენ (ქიბარ ხალვაში აპირებდა მის გათავისუფლებას), ამიტომ გაგდებას საკუთარი ნებით წასვლა არჩია. არც ამ შემთხვევაში ვიქნები ზედმეტად კატეგორიული: რასაკვირველია, თუ გხსნიან და ამ მოხსნამდე შეგიძლია ერთი სწორი ნაბიჯი გადადგა, რატომაც არა?! ესეც სრულიად გასაგები და ადამიანურია. **5.** კიდევ ერთი შეფასება: ეკა ხოფერია ძალიან სუსტი, არაპროფესიონალი ჟურნალისტი გახლდათ. მთავარი შეცდომა მისი ტოქშოუს წამყვანად დანიშვნა იყო. ნება მომეცით, დავეთანხმო კრიტიკოსს, თუმცა აქვე უნდა ვთქვა, რომ ხელისუფლებისთვის მომგებიან ფორმატში მუშაობასაც პროფესიონალიზმის ცოტაოდენი რესურსი სჭირდება. ეს რესურსი ეკა ხოფერიამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მაქსიმალურად გამოიყენა. და, საერთოდ, ცნობილია, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2" მისი დაარსების დღიდან მეტ-ნაკლებად ასრულებდა პოლიტიკურ დაკვეთებს. უკანასკნელი წლების განმავლობაში ხოფერია საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი გახლდათ. შეასრულო პოლიტიკური დაკვეთა და ყოველთვის ტოვებდე დამოუკიდებელი ტელევიზიის შთაბეჭდილებას - ამას ნამდვილად სჭირდება დიპლომატია, რომელიც, შესაძლოა, ჟურნალისტისთვის აუცილებელი თვისება არ არის, მაგრამ მის უნიჭობას სრულიად გამორიცხავს. იგივე კრიტიკოსი ხოფერიას ბრძოლის ველზე ფარ-ხმალის დაყრაში ადანაშაულებს. მოდით, ასე ვთქვათ: თუ წამყვანი ძალიან სუსტია, მაშინ რას გვარგებს მისი ბრძოლა? ან რა საშუალება აქვს, რომ იბრძოლოს? არაპროფესიონალიზმი და არაკვალიფიციურობა, განსაკუთრებით დღევანდელი ქართული მედიის პირობებში, ბრძოლის ეფექტურ ფორმებს გამორიცხავს. პროფესიულ ბრძოლას გამორიცხავს ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ში არსებული მდგომარეობაც. მაგალითად, კრიტიკული ნიშის დაკავებას ცდილობდა ნათია ზამბახიძე თავის საავტორო გადაცემაში „კვირა". ხოფერიამ, ხელისუფლებისა და არხის ხელმძღვანელობის დაჟინებული მოთხოვნით, ეს გადაცემა დახურა! არხის ხელმძღვანელობისა და ხელისუფლების დაჟინებული მოთხოვნით ეთერში არ გადის გადაცემა „60 წუთი", თუმცა ერთი წლის წინ ექვსი გადაცემა უკვე მზად იყო ეთერში გასასვლელად. დღეს აკაკი გოგიჩაიშვილი Liveshow-ებს ხელმძღვანელობს, ნათია ზამბახიძე კი შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოში მოღვაწეობს. თუ გნებავთ იყოთ კრიტიკული და სამართლიანი, შედეგები ასეთია. აქედან გამომდინარე, გაუმართლებელი პროფესიული პუნქტების მიუხედავად, ეკა ხოფერიას ნაბიჯი უფრო მისაღები და გაბედული ჩანს, ვიდრე ზემოხსენებულთა გადაწყვეტილებები. თუმცა, ალბათ, მათი დღევანდელი სტატუსი და მდგომარეობა ერთგვარი გამოსავალია არსებულ გამოუვალ სიტუაციაში. მაგრამ ვფიქრობ, მაშინ, როდესაც ეკრანიდან გაქრობა გვიწევს, უმჯობესია საზოგადოებას ჩვენი „გაქრობის" მიზეზები შევატყობინოთ. მიზანი ერთადერთია: ხალხმა დაიმსახურა იცოდეს სიმართლე. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვამბობ: თუ ეკა ხოფერიასთვის, შესაძლოა, დაგვიანებით, მაგრამ მაინც, მიუღებელი აღმოჩნდა ხელისუფლების თამაშის წესები, მისი ნაბიჯი ყველაზე გამართლებული და ოპტიმალური იყო. დღეს საზოგადოებამ იცის, რატომ არ გავა „თავისუფალი თემა" ეთერში და არ იცის, რატომ არ გადის „60 წუთი" ან „კვირის კურიერი".

დაბოლოს. ვარაუდები ხოფერიას გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ურიცხვია. ყველაზე დამაჯერებელი ერთ-ერთი მათგანია. დამაჯერებელი მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში. **6.** ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ სჭირდება ტელევიზია, რომელიც სარგებლობს ხალხის ნდობით და აქვს რეიტინგი. ასეთია საზოგადოებრივი არხი, რომელსაც არ ჰყავს მაყურებელი. ამიტომ ამ ტელეკომპანიაზე აქცენტის გაკეთება აზრს მოკლებული იქნებოდა. მეორეა „რუსთავი 2", რომელიც ინერციით ჯერ კიდევ რეიტინგულია, მაგრამ მაყურებლის ნდობას ყოველდღიურად კარგავს. თუ საზოგადოებრივი არხის რეიტინგს ორსამ თვეში ვერ ავწევთ, აბსოლუტურად შესაძლებელია ერთ დღეში დავაბრუნოთ და აღვადგინოთ ნდობა „რუსთავი 2"-ის მიმართ. ერთ-ერთი ვერსია ასეთი იყო: ხოფერიას ეფექტური განცხადების შემდეგ გადადგებოდა ვანო მერაბიშვილი, გამოვიდოდნენ ტელეკომპანიის დანარჩენი ჟურნალისტები და საჯაროდ განაცხადებდნენ, რომ ამ პირობებში მუშაობას აღარ აპირებენ და მხარს უჭერენ თავიანთი კოლეგის გადაწყვეტილებას. ბუნებრივია, ტელევიზია ერთ დღეში ვერ დაიხურებოდა, ყველა მათგანი მიბრუნდებოდა თავის სამუშაო ადგილზე და ახლა უკვე ხალხის ნდობის პირობებში, უკვე „ნამდვილად" დამოუკიდებელი ტელევიზიის სტატუსით და გაცილებით ჭკვიანურად გააგრძელებდა წინაასაარჩევნო კამპანიას ხელისუფლების სასარგებლოდ. ეს ნამდვილად იქნებოდა ძალიან მომგებიანი და დიპლომატიური ნაბიჯი, რაც მათ სასიკეთოდ იმუშავებდა და არა ჩვენი, ხალხის სასარგებლოდ. მაგრამ „რუსთავი 2" განაგრძობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანყოფილების სტატუსით მუშაობას.

ყველაზე გულდასაწყვეტი კი ის გახლავთ, რომ ხოფერიას კოლეგებიდან ვერც ერთმა ვერ გაბედა მისი საჯაროდ მხარდაჭერა. სწორედ ეს გახლავთ ყველაზე მნიშვნელოვანი - ჟურნალისტები არ ერთიანდებიან! ყოველი მათგანი საკუთარ მაღალ ანაზღაურებაზე ზრუნავს და არა პროფესიულ პასუხისმგებლობაზე. მათ ხმა არ აიმაღლეს, როდესაც დაიხურა ირაკლი იმნაიშვილის საავტორო გადაცემა „ზღვარზე" და ნათია ზამბახიძის გადაცემა „კვირა". „რუსთავი 2-ის ბრენდი" - ამ სიტყვებს თავად ხოფერია ძალიან ხშირად ამაყად ახსენებდა. სამწუხაროდ, ბრენდი არა მხოლოდ მუშათა კოლექტივს, არამედ ერთიანობას ნიშნავს, სადაც კოლეგები ერთმანეთის უფლებებს იცავენ. საქართველოში კორპორაციული აზროვნება მხოლოდ ერთად, ერთხმად საკუთარი კეთილდღეობის დაცვას ნიშნავს. საკუთარი კოლეგის, პროფესიისა და ღირსების დაცვა კი დღეს ჟურნალისტებს არ შეუძლიათ. ეს მათ კონფორმიზმსა და უღირსობაზე მეტყველებს. ისინი დღეს არა ხელისუფლებისა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს, არამედ საკუთარი ხელფასისა და სტატუსის მძევლები არიან, ყოველი თვის ბოლოს კარგი ხელფასის მოლოდინში სიამოვნებით რომ ასრულებენ სამთავრობო დაკვეთებს.

აქედან გამომდინარე, ხელისუფლება ღიად და დაუფარავად ებრძვის არხს, რომელიც მის დაკვეთებს არ ასრულებს. ებრძვის, რადგან კარგად იცის, რომ რამდენად კეთილგანწყობილიც არ უნდა იყოს მაყურებელი დღევანდელი საქართველოს მიმართ, მას კრიტიკული პოზიციის, განსხვავებული აზრის მოსმენა უფრო აინტერესებს, ვიდრე იმ სარეკლამო რგოლების ყურება, რომლითაც აივსო ტელემედია. 6 ივლისს, მაშინ, როდესაც „ტელეიმედის" რეიტინგმა 65 პროცენტს მიაღწია, გულდამწვარმა და შეშფოთებულმა ოთხეულმა ყალბად გაბედნიერებული გამომეტყველებით შეუტია „იმედს". საინტერესოა, რა უფლებით აკეთებს ამას ხელისუფლება. ვინ ეკითხება მას, რამდენად კმაყოფილნი არიან ამა თუ იმ ტელევიზიის მუშაობით და ერთხელ და სამუდამოდ დაიჯერონ, რომ ჟურნალისტმა საზოგადოებისთვის, ხალხისთვის უნდა იმუშაოს და არა მაღალჩინოსნების გულის მოსაგებად. ამიტომ საკუთარი მოსაზრებებიც ხალხს ვკითხოთ და არა „უკმაყოფილო ჩინოვნიკებს". მათი აზრი საინტერესო არ არის!

**P.S.** თუ ეკა ხოფერიას საპროტესტო განცხადების მიღმა მზაკვრული მიზნები იმალება, ეს მომავალში ისევ მისი ქმედებიდან გამოჩნდება. თუ სიმართლე სხვაგანაა და არა მის განცხადებაში, არც ეს დაიმალება. მაგრამ ახლა მე მხოლოდ ერთს ვხედავ: „თავისუფალი თემის" წამყვანმა გაბედული ნაბიჯი გადადგა, გამოხატა პროტესტი სახალხოდ და ამ ერთი ნაბიჯით პატივი სცა საკუთარ პროფესიულ ღირსებას.


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

### ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge









## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**



## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე:** **893 60 30 06**
**893 65 38 39**

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:




## ჰენრი პოლსონი ამერიკის ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შესრულებას შეუდგა

სამოცი წლის ჰენრი პოლსონი ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შესრულებას უკვე ოფიციალურად იწყებს. თავის გამოსვლაში მან განაცხადა, რომ თავისი წინამორბედის, ჯონ სნოუს მიერ დაწყებულ საქმეებს გააგრძელებს. ახალი მინისტრი დარწმუნებულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა მოქნილობასა და გამჭვირვალობას აუცილებლად შეინარჩუნებს. პოლსონი იმედოვნებს, რომ ამერიკის ეკონომიკა მსოფლიოში ეტალონის სტატუსს აუცილებლად შეინარჩუნებს.

ამერიკის ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა ჯონ სნოუმ თანამდებობა 30 ივნისს დატოვა. პოლსონის დანიშვნამდე კი ქვეყნის ფინანსთა მინისტრის მოვალეობას მინისტრის მოადგილე რობერტ კიმიტი ასრულებდა. უწყების ახალი ხელმძღვანელის თქმით, ახალ თანამდებობაზე მუშაობისას მისთვის მთავარი პრიორიტეტი ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებში მჭიდრო სამუშაო ურთიერთობების შემუშავება იქნება.

ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნამდე ჰენრი პოლსონი კომპანია Goldman Sachs-ს ხელმძღვანელობდა. შეგახსენებთ, რომ პოლსონი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში რიგით 74-ე ფინანსთა მინისტრია. ამერიკის სენატმა ფინანსთა მინისტრის პოსტზე წარდგენილი პოლსონის კანდიდატურას ერთხმად დაუჭირა მხარი. სენატის წინაშე გამოსვლისას პოლსონმა განაცხადა, რომ აუცილებლად დაუჭერს მხარს გადასახადების შემცირების საკითხს. "ჩემთვის ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ეროვნულმა ვალუტამ ჩინური ვალუტის მსგავსად, მოქნილობას მიაღწიოს. ეს ის კურსია, რომელზეც ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო ბალანსია დამოკიდებული," - აცხადებს პოლსონი.

## საქართველოში ახალი ტიპის გზის საფარის დაგება იწყება

B2

## TOYOTA GM-Renault-ს ეწინააღმდეგება

B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3316 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9821 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4822 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7710 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8262 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1596 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3040 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3085 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2676 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4494 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3406 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1426 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1560 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2767 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1936 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2349 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4039 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5842 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,2200 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,5554 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3346 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2850 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5589 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5950 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0659 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1262 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4237 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5372 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4457 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5332 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8076 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1263 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1499 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4424 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2482 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4482 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0799 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2218 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2279 |




# ბანკებს სადეპოზიტო თანხების მოზიდვა უჭირთ

### მთავრობამ დეპოზიტების დაზღვევის შესახებ არსებული კანონი არ განიხილა

ნინო ნატროშვილი

*საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მოსახლეობის ანაბრების მიხედვით, საბანკო სექტორში სს "თიბისი ბანკი" ლიდერობს. 2006 წლის აპრილის მდგომარეობით მოსახლეობის ანაბრებმა ეროვნულ ვალუტაში 204 585 ათასი ლარი შეადგინა. ბანკში განთავსებული ანაბრების 97,5 პროცენტი უცხოურ ვალუტაზე მოდის. ანაბრების მიხედვით, მეორე ადგილზეა სს "საქართველოს ბანკი", მესამეზე კი - სს "პროკრედიტ ბანკი". ამ ბანკების ანაბრებშიც 95 პროცენტს უცხოურ ვალუტაში განთავსებული ანაბრები შეადგენს.*

**საქართველოში საბანკო დეპოზიტების დაზღვევის მარეგულირებელი კანონმდებლობის შექმნის მცდელობა ჯერჯერობით მარცხით დასრულდა. იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ამ კანონმდებლობის შექმნას გერმანიის საკრედიტო ბანკი უჭერდა მხარს და ამ პროექტის დასაფინანსებლად 3,5 მილიონი ევროს გაღებას აპირებდა, ხელისუფლებამ დეპოზიტების დაზღვევის კანონმდებლობის შექმნას მხარი არ დაუჭირა.**



B2

თვალსაზრისი

# აქციათა სავალდებულო მიყიდვის ფორმა ქართულ კორპორაციულ სამართალში

ქეთი ქოქრაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი

*საქართველოში არსებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის, ასევე ფულად და ფისკალურ პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით, სააქციო საზოგადოებას, როგორც სამეწარმეო საქმიანობის განმხორციელებელ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, ინტენსიური და დინამიკური განვითარების შესაძლებლობა სწორედ მისი სამართლებრივი ბაზის სრულყოფის შედეგად ეძლევა.*

- **"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53.3 მუხლის თანახმად, თუ აქციების შეძენის შედეგად აქციონერს საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 95%-ზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს უფლება აქვს გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები სამართლიან ფასად.**
- **მინორიტარული აქციის მფლობელთა ინტერესების დამცველი დებულებები "მსხვერპლად ეწირება" უფრო წონად საჯარო ინტერესს.**

B4

# მსოფლიო ავიაციის ლიდერი

### Boeing-ის პირველობისაკენ ფრენა

გოჩა ქიმუცაძე

*ავიამშენებელ კომპანიათა შორის ამერიკული Boeing-ი უპირობო ლიდერია. კორპორაციას, რომლის საბაზრო კაპიტალიზაცია გასული წლის მონაცემების 59,58 მილიარდ დოლარს შეადგენს, კონკურენტები გვარიანად ჩამორჩებიან. 2005 წლის განმავლობაში Boeing-მა 54,85 მილიარდი დოლარის ოდენობის მოგება მიიღო, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კი კომპანიის შემოსავალმა 14,3 მილიარდ დოლარს მიაღწია.*

**Boeing-მა პირველობა დაიბრუნა და ამჟამადაც ჯიმ მაკნირის თავკაცობით მსოფლიო სამოქალაქო ავიაციის უპირობო ლიდერია. წელს კომპანიამ ახალი, 747-8 მარკის ავიალაინერი გამოუშვა, NASA-სთან ერთად ახალი, მომავლის თვითმფრინავის მშენებლობაზე მუშაობს, Avial Inc-ის ყიდვას აპირებს, რომელიც McDonnellDouglas-ის შემდეგ უმსხვილესი შენაძენი იქნება. მოკლედ, Boeing-ი კვლავინდებურად ვითარდება და პირველობის არავისათვის დათმობას არ აპირებს.**






B3

## საგადასახადო შემოსავლები მშპ-ს 21 პროცენტი იქნება

საქართველოს მთავრობის 2007-2010 წლების ფისკალური პოლიტიკის ამოცანებში საგადასახადო შემოსავლების მდგრადობა ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად სახელდება. მთავრობის გეგმით, 2010 წლისათვის საგადასახადო შემოსავლებმა, სავარაუდოდ, მთლიანი შიდა პროდუქტის 21 პროცენტი უნდა შეადგინოს;

აღნიშნულისთვის ფინანსთა სამინისტრომ საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების რეფორმა უნდა განახორციელოს; ასევე აუცილებელია, სახელმწიფო ხარჯების მენეჯმენტის სრულყოფა.

სამინისტროს ინფორმაციით, საგადასახადო შემოსავლების სახით 2005 წელს მობილიზებულ იქნა 2 288.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელზე 5.6 პროცენტით მეტია. შარშანდელთან შედარებით, საგადასახადო შემოსავლების მოცულობამ 26.4 პროცენტით მოიმატა, ხოლო მშპ-ს მიმართ მისი წილი 1.5 პროცენტით გაიზარდა და 19.7 პროცენტი შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აჭარაში ინფრასტრუქტურის განვითარება მთავრობის პრიორიტეტია

ბათუმში გამართულ საქართველო-სომხეთის მთავრობათშორისო ეკონომიკური კომისიის სხდომაზე ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროში თანამშრომლობაზე საუბრისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ აჭარაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. ამის განხორციელების ერთ-ერთ აუცილებლობად პრემიერ-მინისტრი ახალი სარკინიგზო მარშრუტების ამოქმედებას მიიჩნევს.

ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, ახალი სარკინიგზო ხაზის ამუშავება ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ტვირთბრუნვის ზრდასა და ინვესტიციების მოზიდვას.

სომხეთის პრემიერ-მინისტრის ანდრანიკ მარგარიანის თქმით, აჭარა ინვესტიციების ჩასადებად მომგებიანი რეგიონია და ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად სომეხი ბიზნესმენები აჭარაში ისევ ჩამოვლენ. მისივე თქმით, დაახლოებით ერთ თვეში ხელვაჩაურში რძის გადამამუშავებელი ქარხანა ამოქმედდება.

აჭარაში არსებული ინფრასტრუქტურის გაცნობის მიზნით, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ბათუმის აეროპორტში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაათვალიერა. მოინახულა გემთსაშენი ქარხანა, სარფის საბაჟო, ბათუმი-სარფის სანაპირო ზოლი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ზღვისპირა პარკი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ლუკოილი" თურქეთში ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას აშენებს

ნავთობკომპანია "ლუკოილი" თურქეთის პორტ ზანგულდაკში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენებას აპირებს. ქარხანა ყოველწლიურად 8-10 მილიონ ტონა ნედლ ნავთობს გადაამუშავებს. მის ასაშენებლად კი 2-2,5 მილიარდი დოლარი დაიხარჯება. ქარხანა რუსულ და ყაზახურ ნავთობს გადაამუშავებს. როგორც თურქეთის ენერგეტიკის რეგულირების ეროვნული კომიტეტში აცხადებენ, "ლუკოილი" ერთ-ერთი მსხვილი კომპანიაა და მისი თურქულ ბაზარზე შესვლა მომგებიანი იქნება ორივე მხარისთვის. ამ აზრს ეთანხმება თავად "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტი ნიკოლაი ჩერნი, რომლის ანკარაში ვიზიტისას გადაწყდა "ლუკოილის" გადამამუშავებელი ქარხნის თურქეთში აშენება.

მისივე ინფორმაციით, "ლუკოილი" სიმძლავრით მსოფლიოში მეორე კერძო კომპანიაა, რომლის წილი ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობაში 1,3 პროცენტია. ნავთობის მოპოვების მხრივ კი მასზე გადამუშავებელი ნავთობის 2,1 პროცენტი მოდის. "ლუკოილი" წარმატებით საქმიანობს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, მათ შორის - საქართველოში, აზერბაიჯანსა და უკრაინაში. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.770 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დღეს გამართული ვაჭრობის შედეგად საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.770 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა. როგორც "ინტერპრესსნიუსს" საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი - 1.7710 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ 20 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 2 500 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით - 1 აშშ დოლარი - 1.770 ლარი. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 11 ივლისს მონაწილეობა მიიღო ხუთმა კომერციულმა ბანკმა (ოთხმა გამყიდველის და ერთმა მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (მყიდველის სტატუსით). დაიდო ხუთი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 1 800 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1 780 000 აშშ დოლარი შეისყიდა.

## სუამის ქვეყნების ტურიზმის მინისტრების შეხვედრა ბათუმში გაიმართება

ბათუმში, დღეს სუამის ქვეყნების ტურიზმის მინისტრების შეხვედრა გაიმართება, რომელზეც ტურიზმის სფეროში ამ ქვეყნების თანამშრომლობის სტრატეგია განიხილება. მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოში უმნიშვნელოვანესი ფორუმი - გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) ტურიზმის კომუნიკაციების რეგიონული კონფერენცია "ტურკომი" (TOURCOM) გაიმართება. მას მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პრეზიდენტი, ფრანჩესკო ფრანჯიალი დაესწრება. მონაწილეთა შორის იქნებიან მსოფლიოს წამყვანი ტელეარხების - BBC-ს, Travel Channel-ის, Discovery-ს ჟურნალისტები, რომლებიც სამოგზაურო ფილმებზე და გადაცემებზე მუშაობენ. ორდღიან კონფერენციაზე სიტყვით გამოვლენ ცნობილი ექსპერტები ტურიზმის კომუნიკაციების, მარკეტინგის და ბრენდინგის სფეროებში.




# ბანკებს სადეპოზიტო თანხების მოზიდვა უჭირთ

პირველი გვერდიდან

საგულისხმოა, რომ მთლიან საბანკო სექტორში ფიზიკური პირების დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 13,4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 6,8 პროცენტით. ამ მაჩვენებლების მიუხედავად, ექსპერტების შეფასებით, ბანკები მოსახლეობის ფულადი რეზერვების დეპოზიტებზე მოზიდვას სრულად ვერ ახერხებენ. ამიტომ მოსახლეობა, ძირითადად, ფულად სახსრებს უძრავ ქონებაში აბანდებს, რაც ამ ეტაპზე მისთვის უფრო მომგებიანია.

ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის გენერალური დირექტორის მოადგილის ვახტანგ ხომიზურაშვილის განმარტებით, დეპოზიტებზე მცირე ფულადი სახსრების მოზიდვის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ქვეყანაში საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სისტემა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა არ არსებობს.

"განვითარებულ ქვეყნებში ყველგან არსებობს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რადგან, პირველ რიგში, ეს ხელს უწყობს კაპიტალის გადადინებას საბანკო არხებში. ეს განსაკუთრებით საჭიროა განვითარებადი ქვეყნებისათვის, რადგან მოხდება საბანკო სექტორის ამ სეგმენტის განვითარება. დღეს საქართველოში სადეპოზიტო ბაზა ბანკებს არ აქვთ ათვისებული, ანუ - რა თანხის მოზიდვაც არის რეალურად შესაძლებელი, არ არის მოზიდული. ამის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ნდობის ფაქტორი დაბალია, რადგან თვითონ ბანკები ვერ წარმოადგენენ საგარანტიო სუბიექტებს. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა კი ამას უზრუნველყოფს, იარსებებს თანხის დაცვის გარანტია და საბანკო არხებში სულ უფრო მეტი ფული მოექცევა," - განუცხადა "24 საათს" ვახტანგ ხომიზურაშვილმა.

ექსპერტის ინფორმაციით, დეპოზიტების დაზღვევას უცხოეთის ქვეყნებში სადაზღვევეო კომპანიებიც ახორციელებენ. თუმცა ეს ჩვეულებრივი სადაზღვევო პროდუქტი არ არის. ამიტომ არსებობს სპეციალური სახელმწიფო პროგრამა და კანონმდებლობა, რომელიც ამ სფეროს არეგულირებს.

საქართველოში საბანკო დეპოზიტების დაზღვევის მარეგულირებელი კანონმდებლობის შექმნის მცდელობა, ჯერჯერობით, მარცხით დასრულდა. იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ამ კანონმდებლობის შექმნას გერმანიის საკრედიტო ბანკი უჭერდა მხარს და ამ პროექტის დასაფინანსებლად 3,5 მილიონი ევროს გაღებას აპირებდა, ხელისუფლებამ დეპოზიტების დაზღვევის კანონმდებლობის შექმნას მხარი არ დაუჭირა. უფრო მეტიც, კანცელარიაში აღნიშნული კანონპროექტი არც კი განიხილეს.

"ფიზიკური პირების დეპოზიტების დაზღვევის აუცილებლობის საკითხი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა დასვა. მომზადდა შესაბამისი კანონპროექტი, რომელიც ამას ითვალისწინებს, მაგრამ მის განხილვაზე მთავრობამ უარი თქვა იმ მოტივით, რომ მისი სარეზერვო ფონდის დაფინანსებას ვერ შეძლებდა. თუმცა იმედი მაქვს, რომ წლის ბოლომდე ამ პროექტს მთავრობა განიხილავს," - განუცხადა "24 საათს" პარლამენტის საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძემ.

საგულისხმოა, რომ საქართველო ევროპის ქვეყნებიდან ერთადერთია, სადაც საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სისტემა და კანონმდებლობა არ არსებობს, ამ კანონის შექმნა კი ევროკავშირის ერთ-ერთი დირექტივაა. ექსპერტების შეფასებით, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნა საბანკო სექტორის განვითარებას ხელს შეუწყობს.

# საქართველოში ახალი ტიპის გზის საფარის დაგება იწყება

### პირველი ჩქაროსნული გზატკეცილი ორ თვეში გვექნება

*თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ნატახტარი-აღაიანის მონაკვეთზე, საქართველოში პირველად, გუშინ ცემენტო-ბეტონის გზის საფარის დაგება დაიწყო. სამუშაოების დაწყებას, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან რომან დალაქიშვილთან ერთად, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელიც ესწრებოდა.*



ცემენტო-ბეტონის საფარი აპრობირებულია ძალიან ბევრ განვითარებულ სახელმწიფოში. გზის ამ ტიპის საფარი განსაკუთრებული სიმტკიცით და ეკოლოგიური სისუფთავით გამოირჩევა. ის, ექსპლუატაციის პერიოდში, რეაბილიტაციას, სულ მცირე, 30 წლის განმავლობაში არ საჭიროებს. რაც ყველაზე მთავარია, აღნიშნული ტიპის გზის საფარზე მოძრაობისას ავტომობილი 10-15 პროცენტით ნაკლებ საწვავს მოიხმარს.

საავტომობილო გზის აღნიშნულ მონაკვეთზე ცემენტო-ბეტონის გზის საფარი გერმანული წარმოების მექანიზმებით და გერმანელი ინსტრუქტორების დახმარებით იგება. ცემენტო-ბეტონის საწარმოებლად საჭირო მინი-ქარხანა ქსანში ამ რამდენიმე კვირის წინ დამონტაჟდა.

გზის საფარის დაგების პროცედურების დასრულება სექტემბრის თვეშია ნავარაუდევი.

წელს გზის აღნიშნული მონაკვეთის ერთი მხარე (დასავლეთის მიმართულებით) ახალი ტექნოლოგიით ცემენტო-ბეტონის საფარის გამოყენებით აშენდება. გაისად, პარალელური გზის (დღეს არსებული გზა აღმოსავლეთის მიმართულებით) რეკონსტრუქცია, ასევე, ახალი ტექნოლოგიით განხორციელდება.

შეგახსენებთ, რომ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ნატახტარი-აღაიანის მონაკვეთზე საქართველოში პირველი ჩქაროსნული გზატკეცილის, იგივე ავტობანის მშენებლობა მიმდინარეობს.

სამშენებლო სამუშაოები აქ მიმდინარე წლის მარტში დაიწყო და, გრაფიკის თანახმად, სექტემბრის ბოლოს უნდა დასრულდეს.

სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს "ზიმო" და მისი ორი ქვეკონტრაქტორი შპს "კავკასუს როუდ პროჯექტი" და შპს "გზამშენი-4" ასრულებენ.

გზატკეცილის აღნიშნული მონაკვეთის სიგრძე 16 კმ იქნება, სიგანე - 11.50 მეტრი, ცემენტო-ბეტონის მთლიანი საფარი კი 176 ათას კვადრატულ მეტრს მოიცავს.

ნატახტარი-აღაიანის 16 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის მთლიანი ღირებულება 47 მილიონ ლარს შეადგენს, რასაც მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს.

გზატკეცილის მშენებლობა 3 მონაკვეთად არის დაყოფილი (27-30 კმ, 30-37 კმ და 37-43 კმ), სადაც სამუშაოები პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს.

ნატახტართან და აღაიანთან შენდება სატრანსპორტო კვანძები, რომლებიც უზრუნველყოფენ გზატკეცილზე ავტომობილების შეუფერხებლად და უსაფრთხო გადაადგილებას ორივე მიმართულებით. გარდა ამისა, სატრანსპორტო კვანძით მოხდება ადგილობრივი მნიშვნელობის (გადამკვეთი) გზების ჩქაროსნულ გზატკეცილთან დაკავშირება.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია 2 ხიდის მშენებლობა (202-მეტრიანი ხიდი მდინარე ქსანზე და 18-მეტრიანი ხიდი მდინარე ნარეკვავზე). ამავე მონაკვეთზე აშენდება სულ (250 მეტრი) 5 გზაგამტარი (გზატკეცილის ორ დონეში (ქვეშ და ზევით)) გამავალი გასასვლელი - სოფლებთან: ნატახტარი, გოროვანი, ქანდა და აღაიანი.

ამ დროისათვის სამივე მონაკვეთზე დასრულების სტადიაშია მიწის ვაკისისა და წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები, ასევე გზაგამტარებისა და ხიდების ბურჯების მშენებლობა. **24 საათი**

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობის დასრულების საზეიმო ღონისძიება მოახლოვდა

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დასრულება ჯეიჰანში 13 ივლისს საზეიმოდ აღინიშნება. ღონისძიებაში მონაწილეობას საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის პრეზიდენტები მიიღებენ.

ჯეიჰანის ტერმინალი ნავთობსადენის ბოლო ეტაპია, რომლის მშენებლობაც ამ დროისთვის დასრულდა და პირველი ნავთობი ჩაიტვირთა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომლის მშენებლობაც 2002 წელს დაიწყო, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით ენერგომატარებლების ტრანსპორტირებას ახორციელებს. საქართველოს მთავრობაში მიიჩნევენ, რომ ნავთობსადენის ექსპლუატაცია საქართველოს ყოველწლიურად საშუალოდ 62 მლნ. დოლარს მოუტანს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ექსპლუატაციაში გაშვება წელიწადში 50 მლნ ბარელი ნედლი ნავთობის ექსპორტის შესაძლებლობას იძლევა. ნავთობსადენის აზერბაიჯანის მონაკვეთის სიგრძე 442 კმ-ია, საქართველოს მონაკვეთის სიგრძე - 248 კმ და თურქეთის - 1070 კმ. **ინტერპრესნიუსი**

## ცერემონიალი 3,5 მილიონი ამერიკული დოლარი ჯდება

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გახსნის ოფიციალური ცერემონიალი, თურქეთის ისტორიაში, შესაძლოა, ყველაზე "ძვირადღირებულ" ღონისძიებად ჩაითვალოს. ადგილობრივი მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ცერემონიალი სავარაუდოდ, 3,5 მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდება.

ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ასეთი ხარჯები არ გაამართლებს იმ მოლოდინს, რასაც თურქეთის მთავრობა ელოდება. კერძოდ, ცერემონიალზე დასწრების შესახებ ოფიციალური განცხადება მოწვეული 16 ქვეყნის პირველ პირთაგან, ჯერ მხოლოდ ორი ქვეყნის - საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა გააკეთეს. გარდა ამისა, ღონისძიებას 30-დან მხოლოდ ერთი პრემიერ-მინისტრი გამოეხმაურა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გზის გაგრძელების ნებართვას მესამე დღეა, ელოდებიან

კეხვი-ჯავის მონაკვეთზე მგზავრების გადაადგილება კვლავაც შეზღუდულია. რუსეთიდან საქართველოში მომავალი 400-მდე ადამიანი, მათ შორი სომხეთისა და რუსეთის მოქალაქეები, გზის გაგრძელების ნებართვას მესამე დღეა, ელოდებიან.

რუსეთის მიერ "ლარსის" საგუშაგოს გადაკეტვის გამო მგზავრები საქართველოში შემოსვლას როკის გვირაბის გავლით ცდილობენ. ცხინვალის ტერიტორიიდან გადაადგილება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირებს შეუძლიათ, თუმცა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 14 ივლისამდე რუსეთის მხრიდან როკის გვირაბით შემოსულ მოქალაქეებს გადაადგილებაში დაბრკოლება არ უნდა შეექმნათ. **ინტერპრესნიუსი**

## ხელშეკრულება თბილისი-ერევნის ავიარეისის გახსნის შესახებ

ბათუმში გამართულ საქართველო-სომხეთის მთავრობათშორისო ეკონომიკური კომისიის სხდომა დასრულდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე სომხეთსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერება ახალ ხელშეკრულებას თბილისი-ერევნის ავიარეისის გახსნის შესახებ

მისივე თქმით, გადაწყდა, რომ ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქციის დასრულების შემდეგ ამოქმედდეს ბათუმი-ერევნის საჰაერო ხაზი.

სხდომას საქართველოსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრები ზურაბ ნოღაიდელი და ანდრანიკ მარგარიანი ხელმძღვანელობდნენ.

საქართველო-სომხეთის მთავრობათშორისო ეკონომიკური კომისიის სხდომამ მუშაობა 7 ივლისს დაიწყო დაიწყო და 10 ივლისს დაასრულა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## Nintendo ჯორჯ ბუშს ტვინის სავარჯიშოს ჩუქნის

კომპანია Nintendo-მ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს Nintendo DS Lite-ის სათამაშო კონსოლი აჩუქა.

საჩუქარს თან წერილიც ახლდა, სადაც ნათქვამია, რომ პრეზიდენტისთვის, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებულია, აუცილებელია თავისუფალი დროის გამონახვა. კომპანიის წარმომადგენლები ჯორჯ ბუშს კომპიუტერული თამაშებით გართობისთვის დღეში 15 წუთის გამოყოფას ურჩევენ.

კომპანია Nintendo-ს წარმომადგენლები ამერიკის პრეზიდენტს არწმუნებენ, რომ Nintendo DS-ის სათამაშო კონსოლის ათვისება იმ ადამიანებისთვისაც კი ძალიან ადვილია, ვისაც ცხოვრებაში არ ჰქონია შეხება ვიდეო-თამაშებთან.

თამაშებში Brain Age-სა და Train Your Brain in MinuteS-ში მათემატიკური დავალებებია ჩართული, რომელიც მეხსიერებისა და აზროვნების სისწრაფის გავარჯიშებას უწყობს ხელს. ამასთან, სათამაშო კომპლექტში 100-მდე თავსატეხიც არის დამონტაჟებული. ეს ყოველივე, Nintendo-ს დამაარსებლების თვალსაზრისით, არა მარტო ამერიკის პრეზიდენტის ინტელექტუალური ხარისხის გაუმჯობესებაში, არამედ ხანგრძლივი ფრენების დროს, დროის ნაყოფიერად გატარებაშიც დაეხმარება.

სათამაშო კონსოლი Nintendo DS ბაზარზე პირველად 2004 წელს გამოვიდა. მოწყობილობას ორი ეკრანი აქვს, აქედან ერთ-ერთი სენსორია. ამ მომენტში აღნიშნული კომპანიის თამაშებზე ისეთი მსხვილი კომპანიები მუშაობენ, როგორიცაა Konami, Square Enix, Capcom და კიდევ სხვა მრავალი. ეს სათამაშო კონსოლები კანადის, იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატები, ევროპის, ავსტრალიისა და ჩინეთის ბაზარზე ძალიან დიდი წარმატებით იყიდება.

## ამერიკაში ინტერნეტ-კაზინოებს აკრძალავენ



ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობითი პალატა ახალ კანონპროექტს განიხილავს, რომლის მიხედვითაც ამერიკაში ინტერნეტ-კაზინოები საერთოდ გაუქმდება. შეგახსენებთ, რომ კაზინოებში თამაში ბარათებით გადახდის სისტემაზე მუშაობენ.

ამასთან ერთად, კანონპროექტი ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას ინტერნეტ-პროვაიდერებთან თანამშრომლობასაც ავალდებულებს. პროვაიდერებს, პირველ რიგში, ინტერნეტ-კაზინოების დაბლოკვა ევალებათ. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტი აცხადებს, რომ 1961 წელს მიღებული კანონი, რომელიც ტელეფონიდან გარიგების დადებას კრძალავს, დღეიდან უკვე ინტერნეტზეც გავრცელდება. ასე რომ, კანონპოროექტის ძალაში შესვლისთანავე, ინტერნეტიკაზინოები ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე უკვე არალეგალურ ბიზნესად ჩაითვლება. ონლაინურ სათამაშო ინდუსტრიას, ძირითადად, ის კომპანიები აწარმოებენ, რომლებიც ამერიკის ფარგლებს გარეთ მოღვაწეობენ. ინტერნეტ-კაზინოების მომხმარებლების ნახევარზე მეტი კი ამერიკის მოქალაქეები არიან.

2005 წელს საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის სააპელაციო კომისიამ კანონიერად ცნო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ კარიბის ზღვის სახელმწიფოების ანტიგუასა და ბარბუდას მიმართ დაწესებული შეზღუდვები. ეს ის სახელმწიფოები გახლავთ, სადაც ინტერნეტ-კაზინოების დიდი ნაწილია თავმოყრილი. ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც სათამაშო ბიზნესის მომსახურების პოტენციური მომხმარებელი ხელს უშლის საკუთარ ტერიტორიაზე ოფშორულ კაზინოებს, საკუთარი ეკონომიკის ზარალად ეთვლება. კანონპროექტის კრიტიკოსები ირწმუნებიან, რომ მისი ძალაში შესვლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტი ყოველწლიურად 3,3 მილიარდ დოლარს დაკარგავს. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ-პოკერის მოგებიდან შემოსული გადასახადები წელიწადში 2,5 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

# მსოფლიო ავიაციის ლიდერი

პირველი გვერდიდან







### მეტყევის ოცნება

1903 წელს აშშ-ში მსოფლიო ავიაციისათვის ერთნაირად მნიშვნელოვანი ორი მოვლენა მოხდა: ჩრდილოეთ კაროლინას კიტი-ჰოკის პლაჟზე ძმები რაიტების აეროპლანმა ისტორიაში პირველი გაფრენა განახორციელა, კონექტიკუტის შტატის ქალაქ ნიუ ჰევენში კი კორპორაცია Boeing-ის მომავალმა დამაარსებელმა, 22 წლის უილიამ ბოინგმა იელის უნივერსიტეტი დაამთავრა და ბიზნესის წამოწყება გადაწყვიტა.

ბოინგმა ხელი ხე-ტყის გადამუშავებას მოჰკიდა, რაც იმ პერიოდში ძალიან მომგებიანი საქმე იყო. ბილმა ბიზნესი მშვენივრადააწყო და რამდენიმე წელში სიეტლის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და პატივცემული მოქალაქე გახდა.

მის ცხოვრებაში გადამწყვეტი 1909 წელი აღმოჩნდა, როცა სიეტლში გამართულ ალიასკა-იუკონ-წყნარი ოკეანის სავაჭრო გამოფენაზე მან პირველად იხილა მფრინავი აპარატი - პატარა დირიჟაბლი. ჰოდა, ბოინგი მიხვდა, რომ მისი გული ავიაციას ეკუთვნოდა. იგი მეზობლად მდებარე ჯორჯთაუნში გაემართა და

ამერიკული ავიციის პიონერის, განთქმული ჩარლზ ჰამილტონის ფრენა იხილა. მიუხედავად იმისა, რომ 1910 წლის 13 მარტს ჰამილტონს ავარია შეემთხვა, მისი აეროპლანი დაილეწა, ხოლო თავად მფრინავი სასწაულით გადარჩა, ბოინგს ავიაციისადმი ლტოლვა მაინც არ გაუნელდა და რამდენიმე წელი გულმოდგინედ ეძებდა ავიატორს, რომელიც ფრენისას იახლებდა.

მისი ოცნება მხოლოდ 1915 წელს ახდა, როცა ბოინგი თანამოაზრეებს - ფრენის ენთუზიასტ ფლოტის ლეიტენანტ კონრად უესტერველტს და მფრინავ ტირო მარონის შეხვდა. როცა ორადგილიანი აეროპლანით ფრენის შემდეგ ბოინგმა ფეხი მიწას დაადგა, მტკიცედ იცოდა, რომ საკუთარი თვითმფრინავი სურდა. მან ლოს ანჯელესს მიაშურა, სადაც ფრენას იმ დროის ავტორიტეტ გლენ მარტინთან სწავლობდა და უკან საკუთარი ჰიდროპლანით დაბრუნდა.

ტბა იუნიონის ნაპირას ნავის ძველი ანგარი თვითმფრინავისათვის გადააკეთა და Pacific Aero Club-ი დააარსა, სადაც ყველა მსურველს მცირე თანხის სანაცვლოდ აეროპლანით გასეირნება შეეძლო. მაგრამ უილიამს მარტინის ჰიდროპლანის კონსტრუქცია არ მოსწონდა და სურდა, საკუთარი თვითმფრინავი შეექმნა. მან და უესტერველმა თვითნასწავლი ინჟინერი ჰერბ მანტერი იპოვნეს, რომელმაც ახალი ჰიდროპლანი B&W, რომელსაც ასე დამკვეთების გვარების პირველი ასოების მიხედვით დაარქვეს, დააპროექტა და ააგო.

1916 წლის 15 ივლისს ბოინგმა თავისი თვითმფრინავით პირველად იფრინა, ერთი თვის შემდეგ კი კორპორაცია Pacific Aero Products Co დაარეგისტრირა, რომელსაც აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის ჰიდროპლანები უნდა ეშენებინა. ამ კომპანიაში ბოინგმა იმ დროისათვის გაუგონარი თანხა - 100 ათასი დოლარი ჩადო.

მაგრამ ამერიკელ სამხედროებს B&W არ მოეწონათ და მათთვის აგებული ორი ჰიდროპლანი ახალ ზელანდიაში გაიყიდა, სადაც ისინი ქვეყნის საფოსტო სამსახურის პირველი აეროპლანები გახდნენ. ამით B&W-ს სერიამ არსებობა შეწყვიტა. მალე ლეიტენანტი უესტერველტი სამხედრო სამსახურისათვის სხვაგან გადაიყვანეს და ბოინგი თანამოაზრის გარეშე დარჩა. 1917 წლის დასაწყისში მან ჩინური წარმოშობის ინჟინერი ვონგი დაიქირავა.

1917 წლის აპრილში აშშ პირველ მსოფლიო ომში ჩაება, 9 მაისს კი ბოინგმა თავის კომპანიას Boeing Airplane Co დაარქვა და სამხედრო თვითმფრინავების აგება გადაწყვიტა. უკვე ზაფხულის დასაწყისში მან წარმოადგინა ახალი მოდელის ჰიდროპლანი, რომელიც იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალებმა უმალ 50 თვითმფრინავის მიწოდებაზე 116 ათასი დოლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა.

ეს შეკვეთა დიუემიშის კუნძულზე მდებარე ამწყობი საამქროს შესაძლებლობებს ათჯერ აღემატებოდა. მაგრამ ბოინგმა თავის დისშვილ ედგარ გოტთან ერთად, რომელიც კომპანიის ვიცე-პრეზიდენტად დანიშნა, უმოკლეს დროში მოახერხა დიდი წარმოების ორგანიზება, რომელშიც 400-მდე ადამიანი მუშაობდა.

ასე რომ, ბოინგი პირველ კონტრაქტს გაუმკლავდა, მაგრამ 1918 წლის 11 ნოემბრის ზავმა კომპანიის კეთილდღეობას პრობლემები შეუქმნა. Boeing Airplane იძულებული გახდა სამოქალაქო პროდუქციაზე გადართულიყო. მისმა ქარხანამ ავეჯის და სწრაფმავალი კატერების გამოშვება დაიწყო. ეს კატერები კონტრაბანდისტთა შორის ძალიან პოპულარული იყო და კომპანიისათვის კარგი შემოსავალი მოჰქონდა. მიუხედავად ამისა, 1919 წელს კომპანია გაბანკროტების პირას აღმოჩნდა და მხოლოდ თავდაცვის სამინისტროსაგან ბიპლან DH-4-ის მოდერნიზებაზე მიღებულმა შეკვეთამ გადაარჩინა.

### წერილებით სავსე პირველი ტომარა

Boeing Airplane-ს მხსნელი ავიაფოსტის განვითარების მომხრე, განთქმული მფრინავი ედი ჰაბარდი გახლდათ. 1919 წლის მარტში იგი ბოინგს შეხვდა და სამოქალაქო ავიაციის პერსპექტივებზე ესაუბრა. რამდენიმე დღის შემდეგ მათ ერთად განახორციელეს ვანკუვერიდან სიეტლში გადაფრენა აშშ-ს ისტორიაში პირველი ავიაფოსტის ტომრით, რომელშიც 60 წერილი იდო. ორი თვის შემდეგ US Post Office-მა ახალი სერვისის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა.

თავდაპირველად ეროვნული საფოსტო სერვისი სახელმწიფოს განკარგულებაში იყო. ჰაბარდმა მხოლოდ ერთი, ვიქტორია-სიეტლის ხაზის მომსახურების უფლების მოპოვება შეძლო, რისთვისაც ბოინგის ახალ თვითმფრინავ B-1-ს იყენებდა. 1925 წლიდან US Post Office-მ შიდა რეისებზე კერძო კომპანიები დაუშვა. ამ დროისათვის ბოინგმა ახალი თვითმფრინავის, Boeing Model 40-ის მშენებლობა დაასრულა, შვილობილი კომპანია Boeing Air Transport Corporation-ი დააარსა და სან ფრანცისკო-ჩიკაგოს ხაზის ტენდერში მომსახურების ყველაზე დაბალი ფასების შეთავაზების წყალობით გაიმარჯვა. ამის შემდეგ ამ ხაზს Boeing 40 მარკის ოცი თვითმფრინავი ემსახურებოდა.

1926 წლიდან კომპანიებს მგზავრების გადაყვანის უფლებაც მისცეს, რამაც ამერიკის სამოქალაქო ავიაციის აყვავებას ხელი შეუწყო. მალე Boeing-ის ინჟინრებმა ააგეს ახალი, სამმოტორიანი, დახურული ფიუზელაჟის მქონე თვითმფრინავი, რომელსაც 18 მგზავრის და მომსახურე პერსონალის - მსოფლიოში პირველი სტიუარდესების გადაყვანა შეეძლო. ამ თვითმფრინავებმა კომპანიას ისეთი წარმატება მოუტანა, რომ ტენდერებს ერთი-მეორის მიყოლებით იგებდა.

1927 წელს უილიამ ბოინგმა პირველი სერიოზული კორპორაციული შთანთქმა განახორციელა. მან თავისი მთავარი კონკურენტი Gorst's Pacific Air Transports-ი შეიძინა და სიეტლთან უზარმაზარი ქარხნის მშენებლობა დაიწყო.

### იმპერიის მშენებლობა

ეკონომიკურმა წარმატებამ Boeing-ს ახალი მოდელების შექმნის საშუალება მისცა. 20-იანი წლების ბოლოს ბაზარზე გამოჩნდა ისეთი რევოლუციური მოდელები, როგორებიც იყო პატარა, სწრაფი Monomail-ი, გამანადგურებელი Peashooter-ი და ორმოტორიანი ბომბდამშენი B-9.

ამავდროულად ბოინგი თავისი სატრანსპორტო იმპერიის მშენებლობას აგრძელებდა. 1929 წელს მან კორპორაცია Pratt & Whitney-ს თავკაც ფრედ რენტშლერთან კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც შეიქმნა იმ დროისათვის გიგანტური, მილიონი დოლარის საწესდებო კაპიტალის მქონე კორპორაცია United Aircraft and Transport-ი. ეს კომპანია აშშ-ს ტერიტორიაზე არსებულ ყველა მარშრუტზე მონოპოლისტი გახდა, რისთვისაც, ცხადია, Boeing-ის თვითმფრინავები გამოიყენებოდა.

United Aircraft and Transport-ის თითქმის შეუზღუდავმა ფინანსურმა შესაძლებლობამ მალე ბოინგს თავისი იმპერიისათვის ავიასატრანსპორტო კომპანიების Hamilton and Standard-ის და Chance-Vought-ის, ვერტმფრენების მშენებელი Sikorsky-ის და კომპანია Stearman-ის, რომლის ბაზაზეც კანზასის შტატში Boeing-ის ახალი დიდი საწარმო შექმნა, შეერთების საშუალება მისცა.

შედეგად, კომპანიამ დიდი დეპრესიის პერიოდი იოლად გადალახა, 1931 წელს კი ავიაკომპანია United Air Lines-ი შექმნა. მის განრიგში აშშ-ს ორ სანაპიროს შორის რეისების განხორციელება შედიოდა, რისთვისაც Boeing-მა ახალი, 247-ე მოდელი შექმნა, რომელსაც სპეციალისტებმა მსოფლიო ავიაციაში პირველი ჭეშმარიტად სამგზავრო თვითმფრინავი უწოდეს. მას ნიუ იორკიდან სან ფრანცისკომდე 10 მგზავრის გადაყვანა 20 საათში შეეძლო.

ამ მომენტში ბოინგს საქმიანმა ალღომ უმტყუნა და მთავარი კონკურენტი თავად შექმნა. კომპანია TWA კარგა ხანს უშედეგოდ ცდილობდა Boeing 247 მარკის თვითმფრინავების ყიდვას და როცა საბოლოო უარი მიიღო, დონალდ დუგლასი დააფინანსა და ლეგენდარული მოდელი Douglas DC-3 შექმნა, რომელიც Boeing-ის თვითმფრინავებს ყოველმხრივ სჯობდა. ამ წარმატებამ საფუძველი ჩაუყარა კომპანია McDonell-Doeglas-ს რომელიც წლების მანძილზე Boeing-ის მთავარი კონკურენტი იყო.

### Boeing-ი ბოინგის შემდეგ

როცა 1932 წლის ნოემბერში პრეზიდენტმა ჰერბერტ გუვერმა ფრანკლინ რუზველტთან არჩევნები წააგო და თეთრ სახლში მოსულმა დემოკრატებმა წინა ადმინისტრაციის საქმიანობის გამოძიება დაიწყეს, Boeing-ს პრობლემები შეექმნა. უილიამ ბოინგი ე.წ. "ფოსტის საქმეზე" ჯერ მოწმედ გამოიძახეს, შემდეგ კი ბიზნესის მონოპოლიურ წარმოებაში დაადანაშაულეს. ყველაფერ ამას დიდი სკანდალი მოჰყვა და 1934 წელს პრეზიდენტმა საფოსტო გადაზიდვები სამხედრო ავიაციას გადასცა. მაგრამ ამ უკანასკნელის მდგომარეობა იმდენად სავალალო იყო, რომ პირველსავე კვირაში ათი თვითმფრინავი ჩამოვარდა.

ცხადია, ამას ახალი სკანდალი მოჰყვა და საფოსტო მომსახურება კვლავ კერძო კომპანიებს გადასცეს, მაგრამ კანონში შეიტანეს ცვლილება, რომლითაც სამოქალაქო გადაზიდვების უფლების თვითმფრინავმშენებელ კომპანიებზე გაცემა იკრძალებოდა. ამით United Aircraft and Transport-ის, როგორც ერთიანი კორპორაციის არსებობა დასრულდა და Boeing Airplane Co და United Air Lines-ი დამოუკიდებელ კომპანიებად იქცნენ. უილიამმა ეს სრულ მარცხად აღიქვა, მის მფლობელობაში არსებული United Aircraft and Transport-ის აქციები გაყიდა და საბოლოოდ ჩამოშორდა კომპანიას, რომელიც დღემდე მის სახელს ატარებს. 1956 წელს გარდაცვალებამდე მან ხელი სხვადასხვაგვარ, მხოლოდ ავიაციასთან კავშირში არმყოფ ბიზნესს მოკიდა და სახელი დიდებული ცხენსაშენით გაითქვა.

Boeing-ის ახალმა ხელმძღვანელობამ აქცენტი ახალი მოდელების შექმნაზე გააკეთა. მეორე მსოფლიო ომის დროს კი კომპანია მსოფლიოში სამხედრო ავიატექნიკის უმსხვილეს მწარმოებლად იქცა. 1944 წელი კომპანიის ისტორიაში შევიდა როგორც "ბრძოლა კანზასთან". ამ წლის განმავლობაში უიჩიტში მდებარე Boeing-ის ქარხანაში დღეში 16 თვითმფრინავი იწყობოდა. ეს რეკორდი დღემდე არ განმეორებულა.

ომის შემდეგ კომპანიას მძიმე პერიოდი დაუდგა და სიტუაციის გამოსასწორებლად მისმა გენერალურმა დირექტორმა უილიამ ალენმა ახალი მოდელის სამოქალაქო და სამხედრო თვითმფრინავებთან ერთად ბალისტიკური და "მიწა-ჰაერის" ტიპის რაკეტების გამოშვება გადაწყვიტა.

1960 წელს Boeing-მა კოსმოსური მიმართულებით განვითარება დაიწყო. შეიქმნა ორბიტალური სადგურის Dyna-Soar-ის და პროგრამა Apollo-სათვის განკუთვნილი გადამზიდი რაკეტა Saturn V-ს პროექტები. 3 წლის შემდეგ NASA-მ მთვარის ზედაპირის ახლოდან გადაღების პროგრამისათვის პარტნიორად Boeing-ი აირჩია. ეს პროგრამა 1966 წელს განხორციელდა, 1966 წელს კი გადამზიდი რაკეტა Saturn-ის მიერ ორბიტაზე გაყვანილმა Apollo 11-მა მთვარეზე ასტრონავტი დასვა.

შემდგომი კრიზისი 70-იანი წლების დასაწყისში პროგრამა Apollo-ს დახურვას და მოგვიანებით ნავთობის გაძვირებას მოჰყვა. სიტუაცია "შავი ოქროს" ფასების დარეგულირების და კომპანიის სათავეში ფილიპ კონდიტის მოსვლის შემდეგ გამოსწორდა. სწორედ მის მიერ გატარებული რეფორმების შემდეგ გახდა Boeing-ი მსოფლიო ავიამშენებლობის უპირობო ლიდერი. კონდიტის ხელმძღვანელობით Boeing-მა 1996 წელს კოპანია Rockwell-ი, ერთი წლის შემდეგ კი McDonnellDouglas-ი შეიძინა, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში Boeing-ის მთავარი კონკურენტი იყო.

21-ე საუკუნის დასაწყისში Boeing-ს კვლავ პრობლემები შეექმნა. 2003 წლის "ჯაშუშური" სკანდალისას კომპანია Locheed Martin-ის საიდუმლოებების მოპარვასა და თავისი ინტერესების მთავრობაში ლობირებაში დაადანაშაულეს. შედეგად, Boeing-მა პირველად ისტორიაში სამოქალაქო ავიაციაში პირველობა ევროპულ კონცერნ Airbus-ს დაუთმო. თანაც, თანამდებობა დატოვა კომპანიის მთელმა ხელმძღვანელობამ.

თუმცა, Boeing-მა პირველობა ორიოდე წლის შემდეგ დაიბრუნა და ამჟამადაც ჯიმ მაკნირის თავკაცობით მსოფლიო სამოქალაქო ავიაციის უპირობო ლიდერია. წელს კომპანიამ ახალი, 747-8 მარკის ავიალაინერი გამოუშვა, NASA-სთან ერთად ახალი, მომავლის თვითმფრინავის მშენებლობაზე მუშაობს, Avial Inc-ის ყიდვას აპირებს, რომელიც McDonnell-Douglas-ის შემდეგ უმსხვილესი შენაძენი იქნება. მოკლედ, Boeing-ი კვლავინდებურად ვითარდება და პირველობის არავისათვის დათმობას არ აპირებს.

## აშშ-ს ბირჟაზე კლებაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ნავთობის ფასის მატებამ და ტექნოლოგიურ სექტორში გავრცელებულმა არადამაიმედებელმა ინფორმაციებმა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,24 პროცენტით, 11.077,22 პუნქტამდე შემცირდა. 0,4 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.108,48 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,15 პროცენტით, 1.265,45 პუნქტამდე მოიკლო.

## ნავთობი ოდნავ გაძვირდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მცირე ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 73,44 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 73,89 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

გასული კვირის ბოლოს დაფისქსირებული სარეკორდო გაძვირების და გუშინწინ მოგების ფიქსაციის გამო ფასების კლების შემდეგ მოვლენათა ამგვარი განვითარება მოსალოდნელი იყო, რადგან "შავი ოქროს" ღირებულებაზე კვლავინდებურად გავლენას ახდენს მსოფლიოში არსებული მძიმე გეოპოლიტიკური სიტუაცია და აშშ-ში საავტომობილო სეზონის გამო ბენზინზე გაზრდილი მოთხოვნილება.

## სლოვენია ევროზონაში შედის

ევროზონის ქვეყნების ფინანსთა მინისტრებმა მხარი დაუჭირეს 2007 წლის 1 იანვრიდან სლოვენიაში ევროს შემოღებას. ამგვარად, სლოვენია ყოფილი სოციალისტური ბანაკის პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც ერთიანი ევროპული ვალუტისაკენ უკანასკნელი ბარიერი გადალახა. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე სლოვენიის ევროზონაში შესვლას მწვანე შუქი აუნთეს ევროკავშირის ლიდერებმა, რადგან ამ ქვეყანამ შეძლო ყველა აუცილებელი რეფორმის გატარება და ინფლაცია 2,4 პროცენტამდე დაიყვანა. მოგეხსენებათ, ევროზონაში გასაწევრიანებლად, ინფლაცია 2,61 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ფინანსთა მინისტრებმა სლოვენიას ასევე ურჩიეს ეროვნული ვალუტის ევროსთან მიმართებაში ამჟამინდელი კურსი, რომლის მიხედვითაც 1 ევრო 239,64 ტოლარი ღირს, საბოლოოდ დააფიქსიროს. ასე რომ, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყანას ახალი კუპიურების და მონეტების დასამზადებლად 6 თვეზე ნაკლები დრო აქვს. ტოლარი და ევრო სლოვენიაში ერთად მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში იმოძრავებს. ამ ხნის განმავლობაში მაღაზიებში ფასები ორივე ვალუტაში უნდა იყოს მითითებული. ევროკავშირის ჩინოვნიკები ვარაუდობენ, რომ სლოვენიის შემდეგ ევროზონაში 2008 წელს ესტონეთი შევა, 2009 წელს კი კვიპროსის, მალტას და სლოვაკეთის დრო დადგება. კიდევ ერთი წლის შემდეგ ამ ქვეყნებს უნგრეთი და ჩეხეთი შეუერთდება. ჯერჯერობით, გარკვეული არ არის პოლონეთის ევროზონაში შესვლის ვადები, ლიტვა და ლატვია კი ინფლაციასთან დაკავშირებით ევროკავშირის მოთხოვნებს ვერ ასრულებენ.

## Microsoft-მა Windows-98-ზე უარი თქვა

გუშინ კომპანია Microsoft-მა შეწყვიტა საოპერაციო სისტემების Windows-98-ის და Wimdows Me-ს ტექნიკური მხარდაჭერა. კომპანიის საიტზე შემორჩენილია მხოლოდ ინფორმაცია, რომელიც ამ სისტემების მომხმარებლებს შეცდომების გასწორების საშუალებას მისცემს. Windows-98-ის მხარდაჭერა ჯერ კიდევ 2003 წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მრავალრიცხოვანი პროტესტის გამო ვადა სამი წლით გაგრძელდა. Microsoft-ის განცხადებით, ეს პროდუქტი ძალიან მოძველდა და მისი შემდგომი გამოყენება უსაფრთხოების რისკთანაა დაკავშირებული. ამიტომაც, კომპანია მომხმარებლებს ურჩევს უფრო უსაფრთხო, მრავალფუნქციონალურ და თანამედროვე Windows XP-ზე გადავიდნენ.

## Alcoa-ს შემოსავალი თითქმის გაორმაგდა

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ამერიკული ალუმინის გადამამუშავებელი გიგანტის Alcoa-ს გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 87 პროცენტით, 1,35 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. კომპანიის ხელმძღვანელობა ამგვარ წარმატებას პროდუქციაზე გაზრდილი, განსაკუთრებით თვითმფრინავმშენებელი სფეროს მხრიდან მეტად დიდი მოთხოვნილებით და ალუმინის გაძვირებით ხსნის. Alcoa ალუმინის მწარმოებელი მსოფლიო ლიდერია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია, რომლის შტაბ-ბინა ნიუ იორკში მდებარეობს, სხვადასხვაგვარ საქმიანობას ეწევა. მისი ქარხნები მსოფლიოს 43 ქვეყანაშია განთავსებული.

## იაპონია ირჩევს Toyota Corolla-ს

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში იაპონურ ბაზარზე გაყიდვების მიხედვით პირველი ადგილი Toyota Corolla-მ პირველი ადგილი დაიკავა. 2006 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით ამომავალი მზის ქვეყანაში 70675 ამ მარკის ავტომობილი გაიყიდა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11,7 პროცენტით ნაკლებია. უკვე მეორე წელია ზედიზედ Toyota Corolla იაპონური ბაზრის ლიდერია. ამ ქვეყნის საავტომობილო დილერთა ასოციაციის ინფორმაციით, აღნიშნული მარკის ავტომობილზე ბუმი 2000 წლის აგვისტოში განხორციელებული სრული რედიზაინის შემდეგ დაიწყო. იაპონურ ბაზარზე გაყიდვების მიხედვით მეორე ადგილზე Toyota Vitz არის. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ამ მარკის 59718 ავტომობილი გაიყიდა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან შედარებით 19,7 პროცენტით ნაკლებია. მესამე ადგილზე კი 54212 ავტომობილით (20,5 ნაკლები) Honda Fit გავიდა.







თვალსაზრისი

# აქციათა სავალდებულო მიყიდვის ფორმა ქართულ კორპორაციულ სამართალში

პირველი გვერდიდან

დასავლეთიდან მიღებულ დირექტივებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების საკორპორაციო სამართალში დამკვიდრებულ აქციათა სავალდებულო მიყიდვის (squeeze out) ინსტიტუტს. ეს სპეციფიური პროცედურაა, რაც უფლებას აძლევს აქციათა 90-95% მფლობელ მაჟორიტარ აქციონერებს აიძულონ მინორიტარ აქციონრებს აქციათა გაყიდვა აიძულონ.

აქცია პირდაპირი მნიშვნელობით არამატერიალიზირებული მოთხოვნის უფლებაა დივიდენდის მიღებაზე. თავისთავად ეს უფლება კონკრეტული აქციონერის საკუთრებაა, თუმცა მისი პერმანენტული რეალიზაცია გარანტირებული არ არის, რამეთუ არცერთი ქვეყნის კანონმდებლობით სააქციო საზოგადოებას არ აწევს დივიდენდის ყოველწლიურად სავალდებულოდ გაცემის ვალდებულება.

როგორც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების, ისე პოსტ. სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობამ, განსაკუთრებით ევროსაბჭოს წევრმა ქვეყნებმა საკანონმდებლო დონეზე დააფიქსირეს აქციათა სავალდებულო მიყიდვის წესი. **სააქციო კაპიტალის ზღურბლს ევროკავშირის დირექტივების თანახმად წარმოადგენს 90% (მაგალითად: აშშ, დიდი ბრიტანეთი, დანია, პორტუგალია, ავსტრია, უნგრეთი, ჩეხეთი, ესტონეთი) ან 95% (მაგალითად: გერმანია, ბელგია, საფრანგეთი, რუმინეთი, ლიტვა, ლატვია).**

ევროკავშირის დირექტივა მოითხოვდა აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის დანერგვას ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკანონმდებლო სივრცეში 2006 წლის 1 მაისამდე, ერთ-ერთი შემდეგი პირობის დაფიქსირებით: ა) თუ აქციათა სავალდებულო მიყიდვის ოფერენტი ფლობს კონკრეტული სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 90%-ს, ან ბ) თუ აქციათა სავალდებულო მიყიდვის ოფერენტი ფლობს კონკრეტული სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 95%-ს. ამასთან, დირექტივის მე-15 თავში აღნიშნულია: "სახელმწიფოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ "გამყიდველების" მიერ თავიანთ აქციებში სამართლიანი ფასის მიღება. სასურველია, რომ მყიდველმა შესთავაზოს გამყიდველს ნაღდი ფული, როგორც აუცილებელი ოფცია ასეთი გარიგების დადებისას".

ქართული საკორპორაციო სამართლისათვის ეს სრულიად ახალი ინსტიტუტია, რაც პრაქტიკულად ნიშნავს აქციათა 95%-ის მფლობელ აქციონერთა უფლებას, სამართლიან ფასად შეისყიდოს დანარჩენი აქციონერების აქციები, რომელთა რაოდენობა 5%-ს არ აღემატება.

**"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53.3 მუხლის თანახმად, თუ აქციების შეძენის შედეგად აქციონერს საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 95%-ზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს უფლება აქვს გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები სამართლიან ფასად.** კანონი დაწვრილებით განსაზღვრავს ამ უფლების გამოყენების წინაპირობებს სამართლიანი ფასის განსაზღვრის მექანიზმის ჩათვლით.

წარმოდგენილი დებულება სრულად ასახავს ევროკავშირის პარლამენტისა და ევროსაბჭოს 2004 წლის აპრილში მიღებულ დირექტივას "აქციონერთა შესახებ".

ერთი შეხედვით, შესაძლოა ეჭვი წარმოიშვას ამ ინსტიტუტის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით და წარმოდგეს როგორც საკუთრების უფლების ექსპროპრიაცია არა სახელმწიფოს, არამედ კერძო პირთა მხრიდან, თუმცა არ შეიძლება გვერდი ავუაროთ საერთაშორისო პრაქტიკას; კერძოდ აღსანიშნავია, რომ ამგვარი შინაარსის სარჩელი დაექვემდებარა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვას, რომელმაც წარმოდგენილი ნორმის კონსტიტუციასთან წინააღმდეგობა არ დაადასტურა (საგულისხმოა, რომ დღემდე გერმანიაში ამ წესით აქციათა გამოსყიდვა განხორციელდა 100-მდე სააქციო საზოგადოებაში). გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ "უმცირესობაში მყოფ აქციონერთა ინტერესი ძირითადად ფულის დაბანდებას უკავშირდება და არა კომპანიის მართვის ინტერესს."

**აქცია შეფასების უნარიანი მოთხოვნის უფლებაა, რაც მის სამართლიან ფასში გამოიხატება; თავის მხრივ ეს უკანასკნელი აქციის ადეკვატური და ექვივალენტურია. აქედან გამომდინარე, მინორიტარული აქციონერისაგან აქციის გამოსყიდვა მისი ფინანსური აქტივის თვისობრივი გარდაქმნაა და ამიტომ კომპანიიდან მისი გაყვანა (განდევნა) გამართლებულია, თუკი დაკმაყოფილდება მისი ფინანსური ინტერესი. ამ შემთხვევაში მინორიტარი აქციონერი წარმოდგენილია როგორც ინვესტირებაზე ორიენტირებული პირი და არა როგორც კომპანიის პარტნიორი.**

როგორც აღვნიშნე, მინორიტარული აქციის მფლობელთა მიერ კომპანიის შემდგომი რენტაბელურობის გათვლა ან დივიდენდის აუცილებლად მიღების იმედი საფუძველს მოკლებულია. გარდა ამისა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მინორიტარულ აქციონერს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა კომპენსაციის სახით მიღებული თანხა დააბანდოს იგივე ან სხვა პროფილის საწარმოში უკეთესი პირობებით, ან დაიწყოს საკუთარი ბიზნესი.

ყოველივე ზემოთქმული თავისთავად აღიარებს განსაზღვრულ შემთხვევებს, როცა **მინორიტარული აქციის მფლობელთა ინტერესების დამცველი დებულებები "მსხვერპლად ეწირებიან" უფრო წონად საჯარო ინტერესს,** კორპორაციული მართვის ეფექტურობის მიზნით.

პრაქტიკაში აქციათა სავალდებულო გამოსყიდვა ხშირად გამართლებულია, როცა ეს უშუალოდ ეხება კომპანიის სასიცოცხლო ინტერესებს, კერძოდ მისი ოპერატიული მართვის, რეორგანიზაციის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. საქართველოს საკორპორაციო სამართლებრივ სივრცეში აქციათა სავალდებულო მიყიდვის დამკვიდრებამდე არც თუ იშვიათად ადგილი ჰქონდა მინორიტარული აქციის მფლობელთა საზოგადოებიდან "ხელოვნურ" განდევნას, თუმცა ამ პროცედურას ხშირად თვალთმაქცური ხასიათი ჰქონდა. ფაქტობრივად ხდებოდა მთელ რიგ სიტუაციათა პროვოცირება, რომლის გამოც უმცირესობაში მყოფი აქციონრები იძულებულნი ხდებოდნენ მოეთხოვათ საზოგადოებისაგან მათი აქციების გამოსყიდვა, კერძოდ, "მეწარმეთა შესახებ" კანონის 53.1 მუხლი ეძღვნება საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის საკითხს, სადაც აღნიშნულია, რომ აქციონერს რიგ შემთხვევებში უფლება აქვს საზოგადოებას მოსთხოვოს აქციების შეფასება და გამოსყიდვა (მაგალითად, სააქციო კაპიტალის გაზრდის მიზნით აქციაში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების, საწარმოს რეორგანიზაციის, აქციონერთა უფლების დარღვევის და სხვა შემთხვევებში). წარმოდგენილმა საკანონმდებლო ნოვაციამ კი სამართლებრივი საფუძველი შექმნა მინორიტარულ აქციონერთათვის აქციათა სანაცვლოდ სამართლიანი და გარანტირებული კომპენსაციის მიღებაზე, ხოლო მაჟორიტარ აქციონერებს შესაძლებლობა მისცა კომპანიის ოპერატიულ და კომპეტენტური მართვის რეალურ და სამართლიან განხორციელებაზე. განსაკუთრებით ეს გამართლებულია ქართული სინამდვილის გათვალისწინებით, სადაც სააქციო საზოგადოებათა უმრავლესობა სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის გზითაა შექმნილი და მათში გაერთიანებულ მცირე აქციონერთა ინტერესი ფაქტობრივად პროფანირებულია. მსჯელობის თემად წარმოდგენილ საკანონმდებლო ნოვაციას ერთგვარად აბალანსებს კიდევ ერთი საკანონმდებლო სიახლე, რომელიც უშუალოდ მინორიტარულ აქციონერთა უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული. აღნიშნული გულისხმობს აქციათა სავალდებულო სატენდერო შეთავაზებას. კერძოდ, **თუ აქციონერი ან შეთანხმების საფუძველზე მოქმედ აქციონერთა ჯგუფი შეიძენს აქციათა პაკეტს, რის შედეგადაც აკონტროლებს სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 1/2-ზე მეტს, იგი ამ ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს 45 დღისა ვალდებულია განახორციელოს "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სატენდერო შეთავაზება ყველა დარჩენილი აქციის სამართლიან ფასად გამოსყიდვის თაობაზე, ან იმავე ვადაში ჩამოიყვანოს მისი კონტროლის ქვეშ არსებულ აქციათა რაოდენობა შესაბამის ზღვარზე დაბლა.** ამგვარ ოფერტზე თანხმობა მინორიტარული აქციონერის უფლებაა და არა ვალდებულება. ამასთან, სატენდერო შეთავაზების დასრულებამდე მყიდველს არა აქვს მისი კონტროლის ქვეშ მყოფი, 50 პროცენტზე მეტი ხმების საერთო კრებაზე გამოყენების უფლება. მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი საკანონმდებლო ნოვაცია არა მხოლოდ ქართული სამართლებრივი სისტემის ევროპულ სამართლებრივ სისტემაში ინტეგრაციის პროცესის ხელშემწყობია, არამედ მას გარკვეული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვს, მეწარმეობის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

## სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს შესაძლოა უჩივლონ

არასამთავრობო ორგანიზაციის "პაციენტთა უფლებების დაცვის ასოციაცია - მოძრაობა აბორტის წინააღმდეგ" ხელმძღვანელი ზაზა მუსერიძე გრიგოლ მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს გენადი იოსავას თანამდებობის საკუთარი ნებით დატოვებისკენ მოუწოდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუსერიძის თქმით, იოსავას საქმიანობით სამართალდამცავი სტრუქტურები დაინტერესდებიან.

"ჩემთვის, როგორც პაციენტთა უფლებების დამცველისთვის, ძალზე შემაშფოთებელია ინსტიტუტში მიმდინარე პროცესები, განსაკუთრებით ის, რომ სატენდერო პროგრამას "უსაფრთხო სისხლი და სისხლის პროდუქტები", რომლის კოორდინატორი გენადი იოსავაა, არაფერი აქვს საერთო სისხლის უსაფრთხოებასთან", - განაცხადა პრესკონფერენციაზე ზაზა მუსერიძემ.

მისივე განმარტებით, თუ სამართალდამცავი ორგანოები დროულად არ დაინტერესდებიან ზემოხსენებული პროგრამის მიმდინარეობით, ამან შეიძლება ტრაგიკული შედეგები გამოიწვიოს; კერძოდ ისეთივე, როგორც ქუთაისში მოხდა, როდესაც სისხლის გადასხმის შედეგად ხუთი ადამიანი დაინფიცირდა შიდსით".

მუსერიძის ინფორმაციით, 2005 წლის 13 იანვარს ტენდერში "უსაფრთხო სისხლი და სისხლის პროდუქტები", რომელიც ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განმახორციელებელმა ცენტრმა გამოაცხადა, გაიმარჯვა ჯო-ენის სახელობის სისხლის ბანკმა. პროგრამის ქვეკონტრაქტორი ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გენადი იოსავა კი სატენდერო პროგრამის კოორდინატორად დაინიშნა. "მივმართავ ზემოხსენებული ცენტრის ხელმძღვანელობას, კარგად შეისწავლონ, თუ როგორ იხარჯება სატენდერო პროგრამისთვის გამოყოფილი თანხები. როგორ ითვისებს ამ თანხებს პროგრამის კოორდინატორი რამდენიმე თანამზრახველთან ერთად, და ამის შესანიღბავად როგორ მიიწერა ინსტიტუტის მიერ წლების განმავლობაში გაწეული სამუშაო. ცენტრის ხელმძღვანელობას აუცილებლად დააინტერესებს ის ფაქტი, თუ როგორ აფორმებდა იოსავა ინსტიტუტის სახელით, ყალბ ხელშეკრულებებს ჯო-ენის სახელობის სისხლის ბანკის ხელმძღვანელობასთან, როგორ შემოიტანეს დაბალი ხარისხის დიაგნოსტიკუმები, როგორ არ განხორციელდა პროგრამის მთავარი მიზანი - უანგარო დონორთა მიზიდვა, როგორ მიითვისა სისხლის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი

სპეცდანიშნულების "ნივა" და საერთოდ როგორ აკეთებს ეს პიროვნება ფულს ადამიანთან სისხლზე," - აცხადებს მუსერიძე.

არსამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის თქმით, ის მის ხელთ არსებულ მასალებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურას და ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაუგზავნის. **მედიანიუსი..**

## Microsoft Windows-98-ს ტექნიკურ მხარდაჭერას შეუწყვეტს

კომპანია Microsoft-ი ოპერაციულ სისტემა Windows-98-ს 2006 წლის 11 ივლისიდან ტექნიკურ მხარდაჭერას აღარ გაუწევს. აღნიშნული საკითხის გარშემო თავად კომპანიის ოფიციალური პირები საუბრობენ. კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, აღნიშნული პროდუქტი ძალიან დაძველდა და მისი გამოყენება უსაფრთხოების თვალსაზრისით უკვე სარისკოა. კომპანია Microsoft-ი მომხმარებლებს უფრო ფუნქციონალურ, თანამედროვე, ეფექტურ და უსაფრთხო ოპერაციულ სისტემა Windows XP-ზე გადასვლას ურჩევს. კომპანიის საიტზე შენახულია იმ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტები, რომლებიც მომხმარებლებს ახალი სისტემის დამოუკიდებლად გამოყენების საშუალებას აძლევს. კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, კომპანია Microsoft-ს Windows-98-თან თანამშრომლობა ჯერ კიდევ 2003 წელს უნდა დაესრულებინა. საკონტრაქტო პირობების გადავადება მომხმარებელთა პროტესტმა განაპირობა.

## ამინდი

| | 12/07 | 13/07 | 14/07 |
|---|---|---|---|
| კიევი | 31 | 31 | 32 |
| რიგა | 31 | 28 | 22 |
| ვილნიუსი | 35 | 32 | 26 |
| მოსკოვი | 35 | 33 | 31 |
| მინსკი | 38 | 38 | 30 |
| პარიზი | 28 | 27 | 26 |
| რომი | 33 | 33 | 34 |
| ლონდონი | 26 | 25 | 24 |
| მადრიდი | 31 | 31 | 32 |
| ბონი | 28 | 27 | 25 |
| ვარშავა | 37 | 32 | 27 |
| ათენა | 28 | 30 | 31 |
| ბერნი | 31 | 30 | 28 |
| ამსტერდამი | 25 | 23 | 20 |
| ოსლო | 20 | 18 | 20 |
| ანკარა | 32 | 32 | 28 |
| ვარნა | 27 | 30 | 31 |
| დელი | 40 | 38 | 42 |
| ტოკიო | 35 | 32 | 33 |
| კოპენჰაგენი | 23 | 23 | 19 |
| ბაქო | 32 | 33 | 33 |
| ერევანი | 36 | 39 | 41 |
| ასტანა | 18 | 22 | 22 |
| ჰელსინკი | 22 | 21 | 19 |
| დუბლინი | 20 | 21 | 21 |
| ლისაბონი | 33 | 36 | 37 |
| პრაღა | 29 | 25 | 25 |
| სოფია | 25 | 25 | 25 |
| ბუდაპეშტი | 35 | 33 | 31 |
| ბუხარესტი | 30 | 32 | 34 |

# TOYOTA GM-Renault-ს ეწინააღმდეგება

ამერიკულმა საავტომობილო კორპორაცია General Motors-მა Nissan Motor-სა და Renault-თან თანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკებები დაიწყო. ალიანსი კომპანია GM-ს, Nissan-სა და Renault-ს წარმოების დანახარჯების შემცირებასა და პროდუქციის ღირებულების დაწევის საშუალებას მისცემს. თუმცა ექსპერტები აღნიშნავენ, რომ გლობალური საავტომობილო ალიანსის შექმნის მთავარი მიზეზი საერთო მტერთან, იაპონურ საავტომობილო კომპანია TOYOTA-სთან ბრძოლაა.

Nissan-Renault კომპანია General Motors-ის 20%-იან აქციებს შეისყიდის. გარიგების თანხა, სავარაუდოდ, 3,3 მილიარდ დოლარს შეადგენს. ამერიკული კორპორაციის დორექტორთა საბჭომ აღმასრულებელ დირექტორთან, რიკ ვაგონერუსთან გარიგების პირობების გადახედვის დაწყებას უკვე მიაღწია. გაერთიანებული კომპანია Nissan-Renault-ის გენერალურმა დირექტორმა კარლოს გონმა მოლაპარაკებების დაწყების უფლებაც მიიღო.

საავტომობილო კორპორაციების გაერთიანების ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად ბატონი გონი იმას ასახელებს, რომ NIssan-Renault-ს კომპანია GM-ის გამოყენება წარმოების გაზრდაში დაეხმარება. აქედან გამომდინარე, კომპანიები დიდ დანახარჯებს თავს აარიდებენ.

ალიანსი General Motors-ს ჩინეთისა და ევროპის ბაზარზე პოზიციების გამყარებაში დაეხმარება, იქ, სადაც კომპანია Toyota დიდი ხანია, რაც ლიდერულ პოზიციებს ინარჩუნებს. ალიანსის ინიციატორი კირკ კერკორიანი, რომელიც ამავდროულად GM-ის აქციების დიდი ნაწილის მფლობელია, აცხადებს, რომ გაერთიანება დეტროიტულ კონცერნს გამოაცოცხლებს. General Motors-ის აქციეონერებს კომპანიის მუშაობით უკმაყოფილების რეალური საფუძველი კი აშკარად აქვთ. გასული წლის მონაცემებით, ამერიკულმა საავტომობილო კონცერნმა 10,6-მილიარდიანი წაგება ნახა. მისი აქციები კი კატასტროფულად უფასურდება.



General Motors-ში არსებულ პრობლემებს ბაზრის ექსპერტები იაპონურ Toyota-ს უკავშირებენ. იაპონური კომპანიის აგრესიული მარკეტინგული პოლიტიკა Toyota-ს მსოფლიო ბაზარზე ლიდერული პოზიციების დაპყრობაში აშკარად ხელს უწყობს. GM-მა და მეორე უმსხვილესმა ამერიკულმა კონცერნმა Ford-მა კი ბოლო პერიოდში არაერთი ქარხანა დახურა და სამუშაო ადგილებიც საგრძნობლად შეამცირა. ამ დროს კი, კომპანია Toyota-ს პოზიციები ამერიკის უდიდეს საავტომობილო ბაზარზე მკვეთრად გამყარდა. იაპონური კონცერნი კი ტეხასში, რუსეთში, კანადაში, ტაილანდში და ჩინეთში კიდევ ექვსი ქარხნის მშენებლობის დაწყებას გეგმავს, რაშიც, როგორც ცნობილია 1,3 მილიარდი დოლარის ჩადებას აპირებს. Toyota საზიანოდ არამარტო GeNeral Motors-ზე, არამედ Nissan-Renault-ზეც მოქმედებს. მათი ხელმძღვანელები იაპონელი კონკურენტით ძალიან შეშინებულნი არიან. Toyota-ს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ 2010 წლისთვის კომპანია 8,85 მილიონი ავტომობილის ნაცვლად 10,3 მილიონ ავტომობილს გაყიდის. ევროპაში ეს იაპონური კონცერნი Renault-ს ძალიან ავიწროებს.

"კომპანია Toyota აშკარად დომინირებს გლობალურ ბაზარზე. მისი წარმოებისა და მოგების მაჩვენებელი იმდენად მაღალია, რომ მას კონკურენციას უკვე ველარავინ უწევს. ნათელია, რომ კარლოს გონი Toyota-ს წინააღმდეგ GM-ის რესურსების გამოყენებას აპირებს. სხვა კომპანიებისგან დეტალებისა და მოდელების ყიდვა, საკუთარის წარმოებასთან შედარებით, გონს ბევრად უფრო იაფი დაუჯდება," - აცხადებენ ექსპერტები.

Nissan ამერიკულ კონცერნთან ერთად დიზელურ ავტომობილებს გამოუშვებს.

ექსპერტები აცხადებენ, რომ გლობალური საავტომობილო ალიანსის შექმნა GM-ისა და Nissan-Renault-ისთვის კონკურენტის თავიდან მოშორების ერთადერთი გზაა.

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:
ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

მშვიდობით, ნაკრებო!



C2

გერმანული პარადოქსი



C3

გამოფიცულნიც გაიდნენ



C4

## დომენეკი დარჩება

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რეიმონ დომენეკმა მიიღო საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის შეთავაზება და დარჩება სამფეროვანთა მთავარ მწვრთნელად. დომენეკმა მოქმედი კონტრაქტი კიდევ ორი წლით გააგრძელა. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის მწვრთნელის გადაყენებაზე საკმაოდ ბევრს საუბრობდნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც ფრანგებმა ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს, დომენეკის შეცვლის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

## სისე გაანათხოვრეს

"ლივერპულის" ფრანგი ფორვარდი ჯიბრილ სისე, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ტრავმის გამო გამოტოვა, მომავალ სეზონს მარსელის "ოლიმპიკში" გაატარებს.

სააგენტო როიტერის ინფორმაციით, მერსისაიდულმა კლუბმა ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა "მარსელთან".

## იტალიური პრემია

მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგებისთვის იტალიის ნაკრებს ფიფამ 3 მილიონი შვეიცარიული ფრანკი გადასცა. გარდა ამისა, იტალიის ნაკრებმა ფინალში გასვლისთვის სპონსორებისგან 21,5 მილიონი ფრანკი მიიღო. იტალიის ნაკრების თითოეული ფეხბურთელი კი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციისგან პრემიის სახით 250 ათას ევროს მიიღებს.

## წმინდა კანავარო

იტალია ჩემპიონობას ზეიმობს. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა რომანო პროდიმ და იტალიის ნაკრების კაპიტანმა ფაბიო კანავარომ მსოფლიო თასი რომის ცენტრალურ მოედანზე გამოიტანეს.

ათასობით გულშემატკივარი შეიკრიბა ამის სანახავად. აღსანიშნავია, რომ გულშემატკივრებს ეჭირათ პლაკატები წარწერით: "კანვარო წმინდანად უნდა შეირაცხოს".

## მანიშე "გალათასარაიში"

პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველი მანიშე თურქულ "გალათასარაიში" გააგრძელებს კარიერას.

29 წლის პორტუგალიელის შეძენა თავად კლუბის პრეზიდენტმა გადაწყვიტა. თანხა, რომელსაც თურქული კლუბი მანიშეში გადაიხდის, ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია. შეგახსენებთ, რომ მანიშე მოსკოვის "დინამოს" ეკუთვნის.

## დეშამი "იუვენტუსის" მწვრთნელია

ტურინის "იუვენტუსის" მთავარ მწვრთნელად ფრანგი სპეციალისტი დიდიე დეშამი დაინიშნა. ტურინელთა ექსფეხბურთელი ფაქტობრივად ერთადერთი მწვრთნელი იყო, რომელმაც თანხმობა განაცხადა ემუშავა "იუვენტუსში" იმ შემთხვავაშიც კი, თუ გუნდს იტალიის ელიტური დივიზიონიდან გააგდებენ. "ბებერი ქალბატონის" მესვეურები შეჰპირდნენ ფრანგს, რომ დელ პიერო და ნედვედი გუნდში დარჩებიან, მიუხედავად იმისა, თუ რა ვერდიქტს გამოიტანს დღეს იტალიის საფეხბურთო ტრიბუნალი. რაც შეეხება სხვა ფეხბურთელებს, არასასურველი განაჩენის შემთხვევაში ალბათ მათი უმეტესობა გუნდს დატოვებს.

## ყველაზე სანახაობრივი მატჩი

მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალურ ვებგვერდზე ჩატარდა გულშემატკივართა გამოკითხვა, რომლის შედეგადაც დადგინდა განვლილი მუნდიალის ყველაზე სანახაობრივი მატჩი. გამოკითხვაში 27,5 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და მათმა 34% ყველაზე სანახაობრივ მატჩად გერმანია-იტალიის ნახევარფინალური შეხვედრა დაასახელა. მეორე ადგილზე ტურნირის ფინალური მატჩი გავიდა, მესამეზე კი - არგენტინა-მექსიკის მერვედფინალური შეხვედრა.

## ლიპი ჯერ ფიქრობს

სამშაბათს იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებს უნდა შეხვედროდა, რათა გადაწყვეტილიყო, დარჩება თუ არა იგი "სკუადრა აძურას" მთავარ მწვრთნელად. ლიპის კონტრაქტი ივლისის ბოლოს იწურება და იტალიის ფეხბურთის ფედერაციას მწვრთნელთან კონტრაქტის გაგრძელება სწადია. თუმცა შეხვედრა არ შედგა. ამის მიზეზია ლიპი, რომელმაც ფიქრისთვის დრო ითხოვა. მოლაპარაკება კვირის ბოლომდე გადაიდო.

## კაპელო ვან ნისტელროის შეძენას აპირებს

მადრიდის "რეალის" ახალი მწვრთნელი ფაბიო კაპელო აგრძელებს იმ ფეხბურთელების ძიებას, რომლებითაც თავისი გუნდის გაძლიერებას შეძლებს. ამჯერად დონ ფაბიოს მზერა ჰოლანდიის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდზე რუუდ ვან ნისტელროიზე შეჩერდა. ამ ფეხბურთელის შეძენით მიუნხენის "ბაიერნიც" არის დაინტერესებული.

## კოლერი სერბებს გაწვრთნის

სერბეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად შესაძლოა დაინიშნოს წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი იურგენ კოლერი. მსოფლიო ჩემპიონატზე წარუმატებელი თამაშის შემდეგ სერბეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა ილია პეტკოვიჩმა და ახლა სერბებს კოლერის მიწვევა სურთ.

# "სიონის" სადებიუტო გამარჯვება

ვალენტინ ივანოვის "აჩრდილი" თბილისში



ეყოფა თუ არა "სიონს" 2-ბურთიანი ფორა?

მიხეილ აბაიშვილი

მძიმე თამაში, წითელი და ყვითელი ბარათების ფრიალი, ოთხი გაძევება და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირში საქართველოს ჩემპიონის სადებიუტო დამაჯერებელი გამარჯვება - ასეთი გახლავთ გუშინდელი მატჩის შედეგი, რომელიც მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართა.

მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე, რბილად რომ ვთქვა, ვარსკვლავებს ვერ წყვეტდა, საქართველოს ჩემპიონმა ბოლნისის "სიონმა" არცთუ დამაჯერებლად ითამაშა, რასაც, პრინციპში, ლოგიკური ახსნა აქვს. ბოლნისური კლუბი პირველად მოხვდა ისეთ სოლიდურ ტურნირში, როგორიცაა ჩემპიონთა ლიგის თუნდაც საკვალიფიკაციო ეტაპი და გასაგებია, რომ ფეხბურთელები, რომელთა უმეტესობას არავითარი საერთაშორისო გამოცდილება არა აქვს, ძალიან ნერვიულობდნენ. ეს ნერვიულობა ნათლად აისახა მათ თამაშზე. თუმცა, ამ თვალსაზრისით, "სიონის" მოთამაშეებმა მათზე გამოცდილ "ბაკის" ფეხბურთელებზე უკეთ შეძლეს ნერვების მოთოკვა. ნუ გაგიკვირდებათ, როცა სტუმრებს უფრო გამოცდილებად მივიჩნევ. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა "დინამო" დიდი ანგარიშით თუ არ დაამარცხებდა "ნეფთჩის", სირცხვილად ითვლებოდა. აზერბაიჯანულ ფეხბურთში სოლიდური ინვესტიციები ჩაიდო და გუნდმა პროგრესი განიცადა. ის, რომ დსთ-ს ჩემპიონთა ტრადიციული მოსკოვური ტურნირი წელს სწორედ აზერბაიჯანის ჩემპიონმა მოიგო, სულაც არ არის შემთხვევითი. "ბაკი" საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთელებით არის

გაგრძელება C2 გვერდზე

**ჩემპიონთა ლიგა, პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი**

**"სიონი" (ბოლნისი) - "ბაკი" (აზერბაიჯანი) 2:0 (0:0)**

**სიონი:** ბათიაშვილი, კობაური, ლ. ჭელიძე, ჭიჭვეიშვილი, რაქვიაშვილი (ზ. ჭელიძე, 46`), ბაჯელიძე, შავგულიძე, ალავიძე, ქუცურუა (უგრეხელიძე, 78`), მიკუჩაძე, ევოჩე (ჩასემი, 46`) მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე

**ბაკი:** დიალო, ლედოგა (ამირბაგოვი, 90`), რ. ბულიევი, ვ. ბულიევი, მეგრელაძე (იონესკუ, 54`), სულთანოვი, მ. აბასოვი, ა. აბასოვი, სავანჯიჩი, მალიკოვი, ბონგოურა. მთავარი მწვრთნელი ბ. ჰაჯიევი

**გოლები:** 1:0 ჩასემი 77`, 2:0 უგრეხელიძე 87`.

**გაფრთხილება:** ლედოგა, ვ. ბულიევი, იონესკუ, სულთანოვი, ბაჯელიძე, ჩასემი.

**გაძევება:** ვ. ბულიევი 35`, ა. აბასოვი 37`. ცხადაძე 46`, ჰაჯიევი 46`.

**მთავარი მსაჯი:** ტორსტენ კინჰოფერი (გერმანია)

თბილისი, მიხეილ მესხის სტადიონი

## ზიდანის ტრაგედია

პასკალ ბონიფესი

მათ, ვისაც ღმერთები სიცოცხლეს ართმევენ, სიკვდილის წინ სურვილებს უსრულებენ. დღეს, ალბათ, ზინედინ ზიდანი ამ ძველბერძნულ სიბრძნეს გაიხსენებს. მას მერე, რაც ფრანგთა კაპიტანმა საჯაროდ განაცხადა, რომ პროფესიულ კარიერას მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გამოეთხოვებოდა, საფეხბურთო ღმერთებმა ზიდანს სურვილი აუხდინეს და მუნდიალის ფინალში ათამაშეს.

ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ ზიდანმა ჩიტივით გაილაღა და თითქმის მარტომ მიიყვანა გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის მეორედ მოგებასთან ძალიან ახლოს. მაგრამ იმის მაგივრად, რომ კარიერა ტრიუმფით დაესრულებინა, ან, სულ ცოტა, მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე მაინც, მატერაცისთვის დარტყმის გამო ფინალი თავჩაქინდრულს დაატოვებინეს. საფეხბურთო ისტორიას მსგავსი ტრაგიკული მომენტები თითზე ჩამოსათვლელი ახსოვს.

გულსატკენია, მაგრამ პროვოკაციის მიუხედავად (რაც, სავარაუდოდ, რასისტულ კომენტარში აისახა), რომელმაც ზიდანი აიძულა მილიონობით გულშემატკივრის თვალწინ ძალადობრივი აქტი განეხორციელებინა, მის დიდებულებას მაინც შავი ლაქი წაეცხო. პარადოქსი იმაშიც მდგომარეობს, რომ თუ აქამდე პლანეტის სხვადასხვა კუთხეში მომავალი თაობა ზიდანის მაგალითზე იზრდებოდა, აღმერთებდა მას, როგორც კეთილშობილ ადამიანსა და ფეხბურთელს, გერმანიის ფინალის შემდეგ დიდი შანსია, სხვებისგან მარტო იმ ძალადობრივი აქტით გამოარჩიონ.

ზიდანის სტატუსი, როგორც მსოფლიო ფეხბურთის ზეუნივერსალური და ზეპოპულარული ფეხბურთელისა, მაინც გამოუცნობს ხდის, რატომ აღმერთებდა მას ხალხი. რატომ იყვნენ მოხიბლულები მისი ადამიანური თვისებებით, ისევე როგორც მისი ნიჭითა და გენიით.

ფეხბურთში ბევრი არა, მაგრამ მაინც არსებობდნენ მსგავსი ლეგენდები. არგენტინელებისთვის ასეთი იყო დიეგო მარადონა, რომელიც სამშობლოში იმდენად ჰყავდათ გაკერპებული, რომ პატიობდნენ ყველაფერს, რა სისაძაგლეც არ უნდა ჩაედინა მოედანზე თუ მოედანს მიღმა.

კიდევ უფრო ადრეულ წლებში ჰარმონიული ბრაზილიის სიმბოლოდ იქცა ედსონ არანტეს დო ნასიმენტო, იგივე პელე.

ზიდანი არც პელეს ჰგავს და არც, მით უმეტეს, მარადონას. მაგრამ ზინედინ ზიდანი, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ისეთი ჟესტით დაგვემშვიდობა, როგორიც მანამდე არც ერთ თამაშში არ გვინახავს.

არავინ იცის, რას გააკეთებს ზიდანი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ. მაგრამ საეჭვოა, კარიერის დასრულების შემდეგ თანამემამულეს, ლეგენდარულ მიშელ პლატინის მიბაძოს, რომელიც 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის კოორდინატორი იყო.

ყველაფრის მიუხედავად, ზინედინ ზიდანი მაინც დარჩება საერთაშორისო რანგის ფეხბურთელად. ზიზუ ხომ ის ადამიანია, რომლის სახელი პლანეტის ყველაზე მიყრუებულ ადგილებშიც კი იციან. და არა მარტო იციან, უყვართ კიდეც. ამ ყველაფერს კი ალჟირული წარმოშობის ზიდანმა ღვთით მომადლებული ნიჭითა და უდიდესი შრომით მიაღწია.

ზიდანმა შეინარჩუნა ის ფასეულობები, რაც სულ უფრო უფასურდება თანამედროვე მსოფლიოში: ოჯახის სიწმინდე, გულისხმიერება და გაჭირვებულისთვის ხელის გაწოდება.

ზიდანის პოპულარობას რომ ბოლომდე ჩასწვდე, საკმარისია, უბრალოდ, მისი მოკრძალება და დიდსულოვნება გაიხსენო, რაც, დამეთანხმებით, იშვიათად ახასიათებთ მისი დონის ვარსკვლავებს, გნებავთ საფეხბურთოს და, გნებავთ, არასაფეხბურთოს.

საფრანგეთში, სადაც დღემდე არასოდეს ყოფილა ამხელა სოციალური უფსკრული, სადაც დღემდე არასოდეს ყოფილა ასე გათელილი ადამიანური ღირსებები, ზინედინ ზიდანმა, ალჟირელი ემიგრანტების შვილმა, შეუძლებელი შეძლო და საერთაშორისო დონის ვარსკვლავი გახდა.

ყოველივე ამის გამო ზიდანს უბრალოდ, დიდ პატივს სცემდნენ. ახლა კი გმირი დამარცხებულია, შერცხვენილია. ზიდანი სუპერმენი არ ყოფილა, ის უბრალო ადამიანი იყო და ერთი უღირსი საქციელი საკმარისი აღმოჩნდა, რათა ამდენი წლის აღიარება საყოველთაო ლანძღვა-გინებად ქცეულიყო. მისი ტრაგედია, რა თქმა უნდა, პირადია. მაგრამ ეს ტრაგედია საყოველთაო გახდება, თუ ზიდანის უღირსი საქციელი მის ადამიანობას გადასწონის.

*მასალა მომზადებულია პროექტ სინდიკატის მიხედვით*

## კაპელოს მადრიდული ბეგმა

მსოფლიო ჩემპიონატის ფონზე ყველა მნიშვნელოვანი საფეხბურთო მოვლენა დაიჩრდილა. ფაბიო კაპელო ისე გადავიდა მადრიდის "რეალში", რომ ამას არავითარი აჟიოტაჟი არ მოჰყოლია. "სამეფო კლუბის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის შემდეგ დონ ფაბიომ ესპანურ ტელევიზიას მისცა ინტერვიუ.

**- თქვენ ყოველთვის იყავით მადრიდის "რეალის" გულშემატკივარი?**

- დიახ. "რეალი" ყოველთვის იყო ჩემს გულში.

**- 1996-97 წლების სეზონში უკვე მუშაობდით "რეალში". მაშინ გუნდმა საოცარი სეზონი ჩაატარა...**

- კარგი დრო იყო. მართლაც, ფანტასტიკური წელი გამოდგა.

**- ალბათ სწორედ მაშინ შეგიყვარდათ "რეალი", მადრიდი და ესპანეთი.**

- დიახ. მეტიც: ცოლთან ერთად მადრიდში სახლის ყიდვაც კი გადავწყვიტე. ესპანეთში დაბრუნებაზე ყოველთვის ვოცნებობდი.

**- მას შემდეგ "რეალი" ძალიან შეიცვალა?**

- საოცრად. ახალი პირობები, უბრალოდ, შესანიშნავია. კლუბი მუდმივად მიდის წინ, მე და ჩემმა თანაშემწეებმა ფეხბურთელებს მოტივაცია უნდა დავუბრუნოთ.

**- როგორ აპირებთ ამის გაკეთებას?**

- აუცილებელია მუშაობა როგორც ფიზიკური, ისე მორალური მდგომარეობის გამოსასწორებლად.

**- როდესაც პირველად ჩაიბარეთ "რეალი", ანალოგიური ატმოსფერო დაგხვდათ. გუნდი ვერაფერს იგებდა, თქვენ კი საკმაოდ მცირე დროში შეძელით გამარჯვებული გუნდის ჩაოყალიბება.**

- მართალი ბრძანდებით. "რეალს" რამდენიმე წელია არაფერი მოუგია, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ დავუბრუნებთ "რეალს" გამარჯვებული გუნდის ტრადიციებს.

**- გაზეთებში წერია, რომ კაპელო "რეალში" მათრახით დაამყარებს წესრიგს. მართლა ძალიან მკაცრი იქნებით?**

- მოდით, სერიოზულად ვილაპარაკოთ. ადამიანი დღეში რვა საათს მუშაობს, ჩემი ფეხბურთელები კი ორ საათს ივარჯიშებენ და როდესაც სავარჯიშოდ გავლენ მინდორზე, ბოლომდე უნდა დაიხარჯონ. რა თქმა უნდა, იქნება ხუმრობაც, მაგრამ ეს სავარჯიშო პროცესს ხელს არ შეუშლის.

**- ალბათ გული გწყდებათ, რომ მომავალ სეზონში ზიდანს ვერ დაიხმართ.**

- ფეხბურთიდან წასვლის გადაწყვეტილება ზიდანმა თავად მიიღო და ჩვენ მის გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ.

# "სიონის" სადებიუტო გამარჯვება

პირველი გვერდიდან

დაკომპლექტებული, რომელთა უმეტესობა ლეგიონერია. არგენტინელი, ხორვატი, რუმინელი, ლატვიელი, სერბი და, რა თქმა უნდა, ქართველი ფეხბურთელები ამ გუნდის ძირითად ბირთვს შეადგენენ. საქართველოს ჩემპიონატის გასული სეზონის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა, ექსთბილისისდინამოელმა გია მეგრელაძემ გუშინ "ბაკის" ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. ასევე ექსდინამოელი ალეკო გოგობერაშვილისთვის, რომელიც "დინამოში" საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა, "ბაკის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი არ მოინახა.

ასეთ გუნდთან ჭიდილში "სიონმა", პირველ რიგში, დიდი თავშეკავებისა და ნებისყოფის ხარჯზე მიაღწია წარმატებას. პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. როგორც ჩანს, სტუმრები ამას არ ელოდნენ. მათ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს ბათიაშვილის კართან, მაგრამ გოლის გატანა რომ ვერ მოახერხეს, უხეშობა დაიწყეს. ამის გამო გერმანელმა არბიტრმა ტორსტენ კინჰოფერმა ჯერ სრულიად დამსახურებულად უჩვენა მეორე ყვითელი ბარათი და მოედნიდან გააძევა ბულიევი, ხოლო ორიოდე წუთში ბულიევის გზას გაუყენა კიდევ ერთი სტუმარი ფეხბურთელი - აბასოვი, რომელიც ჭიჭვეიშვილს უხეშად ეთამაშა და პირდაპირ წითელი ბარათი დაიმსახურა. ეს პირველი ტაიმის მიწურულს მოხდა. შესვენებაზე გერმანელი არბიტრი კი-



ჩასემიმ ანგარიში გახსნა.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

დევ ერთი ჩხუბს შეესწრო, ამჯერად მთავარ მწვრთნელებს - ცხადაძესა და ჰაჯიევს შორის. მსაჯმა არც ეს შემთხვევა დატოვა უყურადღებოდ, ორივე მწვრთნელს წითელი ბარათი უჩვენა და მათ მეორე ტაიმს ტრიბუნებიდან ადევნეს თვალი.

შეხვედრის მეორე ნახევარი უკვე "სიონის" იოლად პროგნოზირებადი სრული უპირატესობით წარიმართა. სიონის რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, "ბაკი" კარგად ახერხებდა თავის დაცვას. მასპინძელთა გამუდმებული იერიშები ხან აზერბაიჯანელთა საჯარიმოს მისადგომებთან სრულდებოდა, ხან არაზუსტი იყო დარტყმა და როცა ბურთი კარში მიდიოდა, ბრწყინვალედ თამაშობდა "ბაკის" სენეგალელი მეკარე. მატჩის (იმედია, წყვილში გამარჯვებულისაც) ბედი ისევ მთავარი მწვრთნელის ცხადაძის სწორმა შეცვლებმა გადაწყვიტა. მან ერთი ახალწვეული კამერუნელი მეორით შეცვალა და ამ მეორემ, ჩასემმა, მიკუჩაძის კარგი პასის შემდეგ მეტოქის საჯარიმოში ჯერ მკერდით მიიღო ბურთი, შემდეგ უძლიერესი დარტყმით ანგარიში გახსნა. მატჩის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე კი უგრეხელიძემ კიდევ ერთი ლამაზი გოლი გაიტანა (შავგულიძის კარგი პასის შემდეგ) და ანგარიშს სოლიდური სახე მისცა.

გიორგი ყიფშიძე ("სიონის" მწვრთნელი): "ვულოცავ "სიონის" გულშემატკივრებს ამ გამარჯვებას. ფეხბურთელებს თავი არ დაუზოგავთ, რომ ჩემპიონთა ლიგის დებიუტში კარგი შედეგისთვის მიეღწიათ. შედეგით კმაყოფილები ვართ, თამაშის ხარისხი კი უკეთესს მოითხოვს. გავაანალიზებთ მატჩს და ვეცდებით, საპასუხო შეხვედრამდე აღმოვფხვრათ ის ხარვეზები, რომელიც თამაშში გვქონდა. ბაქოში ურთულესი მატჩი გველის. შემდეგ ეტაპზე გასული გუნდის ვინაობა სწორედ იქ გაირკვევა."

საპასუხო შეხვედრა "ბაკისა" და "სიონს" შორის, რომელსაც ბაქო უმასპინძლებს, 18 ივლისს გაიმართება.

# რა მოხდა ფინალში?

ბრიტანული ვერსია

რა უთხრა მარკო მატერაცციმ ზინედინ ზიდანს, ჯერაც უცნობია. არსებობს უამრავი ვერსია, რომელთაგან რეალურის დადგენა საკმაოდ ძნელია. ერთი რამ ალბათ ყველასთვის ცხადია: ტყუილუბრალოდ ზიდანი მატერაცის არ ურქენდა. იტალიელმა პროვოკაციაზე წამოაგო ფრანგული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა და სწორედ ამას მოჰყვა ის, რაც ყველამ ნახა.

როგორც უკვე გითხარით, ვერსია იმდენად ბევრია, რომ კაცი დაიბნევა. ერთი ვერსიით, მატერაცციმ ზიდანს ტერორისტი უწოდა, მეორით - შეურაცხყოფა მიაყენა ზიზუს დედას. პოპულარული ბრიტანული გაზეთის sun-ის რედაქციაში მარჩიელობა არ დაუწყიათ. გაზეთმა დაიქირავა ადამიანი, რომელსაც ტუჩების მოძრაობით შეუძლია გაარკვიოს, თუ რას ამბობს ესა თუ ის ადამიანი. კიდევ ერთხელ ნახეს მატჩის ფრაგმენტი ამ პიროვნებასთან ერთად და ზუსტად აღადგინეს



ზინედინ ზიდანი - ბოროტმოქმედი თუ გმირი

დიალოგი, რომელიც ზიდანსა და მატერაცის შორის გაიმართა. "son of a terrorist whore", - აი, ფრაზა, რომელმაც წყობილებიდან გამოიყვანა ზიდანი. ქართულად რომ ვთარგმნოთ, მივიღებთ: "ბოზი ტერორისტის შვილო".

თუ გავითვალისწინებთ, რომ ზიდანის მოხუცებული დედა მალიკა კვირას დილით საავადმყოფოში მოხვდა, ადამიანურად ზიდანის გაგება შეიძლება - ასეთ შეურაცხყოფას ბევრი არ მოითმენდა.

მთლიანად მომენტი კი ასე განვითარდა: თავიდან მატერაცციმ ზიდანს ძუძუზე უჩქმიტა და ნეხვი უწოდა. ფრანგმა საპასუხოდ იტალიელს გაუღიმა და უთხრა: "ცოტა არ იყოს, უხეშია, ასე ვერ ამაგზნებ". მატერაცი არ დაწყნარდა: "დედაშენს ხომ სწორედ ასე მოსწონს".

ზიდანს არც ამაზე უპასუხია რამე, მარკო მატერაცი მიხვდა, რომ საწადელს ვერ მიაღწია და გააგრძელა: "ყველამ იცის, რომ ბოზი ტერორისტის შვილი ხარ". შემდეგ კი იტალიურად დაამატა Viffanculo, რაც ინგლისურად Fuck off-ს ნიშნავს (ამ სიტყვას ალბათ თარგმნა არ სჭირდება). ეს უკვე ბოლო წვეთი იყო. შემდეგ მოხდა ის, რაც ყველამ ნახა - ზიდანმა მატერაცის ურქინა და წითელი ბარათი მიიღო.

ასეთია გაზეთ sun-ის ვერსია, სიმართლეს ჰგავს.

აღსანიშნავია, რომ ერთ ვერსიას თავად მატერაცის აგენტი ავრცელებს. მისი თქმით, ზიდანმა მატერაცის მატჩის შემდეგ მაისურის გაცვლა სთხოვა, რაზეც იტალიელისგან უარი მიიღო. ამასთან, მატერაცის დაუმატებია: "შენი არ ვიცი, შენს ცოლს კი დიდი სიამოვნებით გავხდიდი მაისურსო".

ყველა ვერსია, რომელიც კი გავრცელდა, ადასტურებს, რომ წმინდა მორალური თვალსაზრისით ზიდანი მართალია, რაც ფიფამაც დაადასტურა, როდესაც ფრანგი გენიოსი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

# მშვიდობით, ნაკრებო!

მარი ჯავახიშვილი

ზინედინ ზიდანს სულ რაღაც 10 წუთი და ცოტა თავშეკავება არ იყო იმისთვის, რომ ფეხბურთთან მისი გამოთხოვება ისტორიას ლამაზ მოგონებად დარჩენოდა...

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის წინ ფეხბურთის თითოეულმა ქომაგმა, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა საფრანგეთისა და მისი კაპიტნის გულშემატკივარი, იცოდა, რომ 9 ივლისს ზინედინ ზიდანი კარიერის უკანასკნელ მატჩს გამართავდა. ყოველი მათგანი მოუთმენლად ელოდა დიდი ზიზუს ტრიუმფალურ წასვლას.

დიახ, ტრიუმფალურს, რადგან მას თავაწეულს, ამაყად უნდა დაეტოვებინა მოედანი... სამწუხაროდ, იმ საღამოს ფეხბურთის გულშემატკივარმა მოედანზე იხილა ის, რასაც ალბათ ძნელად წარმოიდგენდა - ზინედინ ზიდანი უკანა კარიდან გავიდა და კარიერის უკანასკნელი მატჩის უკანასკნელი წუთები ბერლინის "ოლიმპიაშტადიონის" ცარიელ გასახდელში მარტომ გაატარა. კარიერის უკანასკნელი ჯილდო - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის ვერცხლის მედალი - თანაგუნდელებთან ერთად პედესტალზე ასულმა კი არა, სადღაც კულისებში მიიღო.

არადა, იმ საბედისწერო წუთამდე ზიდანის ბედს ბევრი დიდი ფეხბურთელი შენატროდა. ითამაშო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ისე, რომ გზად ჩემპიონად შერაცხული ბრაზილია ჩამოიტოვო; მერე ფინალში ანგარიში გახსნა ისე, რომ მოწინააღმდეგის მეკარეს ბრწყინვალედ შესრულებული პენალტი გაუტანო; ყველა მატჩს ატარებდე ისე, როგორც ახალგაზრდობაში; დარბოდე მოედანზე ისე, თითქოს არც გახსოვს, რომ 24-ის კი არა, 34-ის ხარ; შენმა თავურმა, რო-



მარადონა მსოფლიო ჩემპიონატზე, თავის ამპლუაში.

მელიც მარტო ბუფონის მსგავს მეკარეს შეუძლია მოიგეროს, 70-ათასიანი სტადიონი დაადუმოს; სანუკვარ გამარჯვებას კი ერთი ნაბიჯილა გაშორებდეს - ასეთ წასვლაზე არაერთ ფეხბურთელს უოცნებია.

ლეგენდარული გერმანელი ლიბეროს ლოთარ მათეუსის ნაკრებთან გამომშვიდობება ევრო 2000-ზე პორტუგალიელებთან 0:3 სამარცხვინო მარცხით დასრულდა. თავად მათეუსი კი კარიერის უკანასკნელ, 150-ე მატჩში საკუთარ აჩრდილს უფრო ჰგავდა. ფრანც ბეკენბაუერი 31 წლისა ამერიკაში წავიდა სათამაშოდ, რის გამოც ბუნდესნაკრებში აღარ იწვევდნენ. კაიზერფრანცმა ქვეყნის პირველი გუნდის ღირსება უკანასკნელად ფრანგებთან 0:1 წაგებულ ამხანაგურ მატჩში დაიცვა.

უნგრეთის ნაკრების მაისურა 85-ჯერ მოირგო ფერენც პუშკაშმა. მერე ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო, რომლის პირველ გუნდშიც ოთხი შეხვედრა ისე ჩაატარა, ერთი გოლიც არ გაუტანია. უნგრეთის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი ბოლოს ესპანეთის ნაკრებში ვინია-დელ-მარის სარბიელზე იხილეს, სადაც 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანელებმა ბრაზილიელებთან შეხვედრა 1:2 დათმეს.

პაოლო მალდინი "სკუადრა აძურას" მაშინ გამოეთხოვა, როცა თავის რიგით 126-ე სანაკრებო მატჩში ტიჟონში, კორეასთან 1:2 დამარცხდა.

2001 წლის ივლისში ბრაზილია მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში ურუგვაელებთან 0:1 დამარცხდა. იმ დღის შემდეგ რომარიო თითქმის ოთხი წელი უიმედოდ და ერთგვარად დამცირებული ელოდა ნაკრებში გამოძახებას. ოთხწლიანი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, დაუძახეს გვატემალასთან სათამაშოდ, რომლის მერე რომარიოს აღარასოდეს მოურგია პენტაკამპეონეთა მაისურა.

იოჰან კრუიფს ლოდინი არ დასჭირვებია: მფრინავმა ჰოლანდიელმა ნარინჯისფერთა შემადგენლობაში მხოლოდ 48 მატჩი გამართა. 30 წლისამ კი საკუთარი სურვილით განაცხადა უარი ნაკრებთან ერთად არგენტინაში მსოფლიო ჩემპიონატზე წასულიყო.

30-ისა იყო პელეც, როცა კრუიფის დარად, საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტა, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონობა საკმარისი იყო და სანაკრებო კარიერა 1971 წლის ივლისში იუგოსლავიასთან თამაშის შემდეგ დაასრულა.

მსოფლიო ჩემპიონატებზე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ გამოეთხოვნენ თავიანთი ქვეყნის ნაკრებებს 31 წლის ეუსებიო, რომელმაც უფრო მუხლის ტრავმის გამო მიიღო გადაწყვეტილება, ზიკო, ბატისტუტა, ლუიშ ფიგუ, რობერტო კარლოსი.

ყველაზე ხმაურიანი და სამარცხვინო მაინც ლეგენდარული მარადონას წასვლა იყო. მისთვის მესამე მსოფლიო ჩემპიონატზე ჩატარებული ორი მატჩის შემდეგ არგენტინელი, რომელიც დღეს ნახევარი მსოფლიოსთვის პელეზე მაღლა დგას, დოპინგზე ჩავარდა და სამარცხვინოდ დატოვა მუნდიალი.

დღეს არავის ახსოვს მარადონას სამარცხვინო წასვლა. დღეს ფეხბურთს ის დიეგო ახსოვს, რომელმაც ძალიან ბევრი დაუვიწყარი წუთი სამუდამოდ ჩაბეჭდა ჩვენს გონებაში.

რამდენიმე თვეში ჩვენი პლანეტის მცხოვრებლები აღარ იკამათებენ, რა უთხრა მარკო მატერაცციმ ზინედინ ზიდანს, ცოცხალ ლეგენდას, რომლის მოედანზე ხილვა გულშემატკივარს ძალიან მალე მოენატრება.

## ბარი ლინეკერი: "თავდამსხმელებს მცველებმა აჯობეს"

მარი ჯავახიშვილი

მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელი და "ოქროს ბუცის" მფლობელი, ინგლისელი გარი ლინეკერი თავისი ქვეყნის ნაკრების ისტორიაში ყველაზე უხვგოლიანი თავდამსხმელია. 1986 და 1990 წლების მუნდიალებზე ლინეკერის ანგარიშზე 10 გატანილი გოლია, ინგლისის ნაკრებში კი საერთო ჯამში 48 ბურთი მიითვალა.

წლევანდელი მუნდიალის მიმდინარეობისას ინგლისის ექსთავდამსხმელი გერმანიიდან საგანგებოდ ბი-ბი-სისთვის საფეხბურთო მატჩებს უძღვებოდა. ჩემპიონატის შემდეგ კი ფიფას სპეციალურ საიტს მისცა ექსკლუზიური ინტერვიუ.

**- როგორ მოგეწონათ 2006 წლის მუნდიალი?**

- ყველაზე მეტად ის ატმოსფერო დამამახსოვრდება, რაც ამ ჩემპიონატის გარშემო იყო. უმაღლესი დონის სარბიელები, საფეხბურთო მოედნები და, რაც მთავარია, მეგობრული გულშემატკივრები. ერთი თვის განმავლობაში მთელ გერმანიაში საფეხბურთო ბუმი იყო, რაც მართლა დაუვიწყარი იქნება ჩემთვის.

**- კონკრეტულად ფეხბურთზე რას იტყვით?**

- არცთუ ცუდად დაიწყო, რამდენიმე ლამაზი გოლიც ვნახეთ, მაგრამ, ჩემი აზრით, ტურნირს მაინც აკლდა სანახაობრივი თამაშები. ზოგიერთმა ფეხბურთელმა კი ის თამაში არ აჩვენა, რასაც მისგან ველოდით, რაც, თავისთავად, საწყენია, თუმცა, საერთო ჯამში, მაინც საფეხბურთო შოუს მომსწრენი გავხდით.

**- როგორც "ოქროს ბუცის" მფლობელს, რა შეგიძლიათ თქვათ თავდამსხმელების თამაშზე?**

- გულახდილად გეტყვით, რომ თავდამსხმელებით უკმაყოფილო ვარ. განსაკუთრებით ის არ მომეწონა, რომ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა მიროსლავ კლოზემ მხოლოდ 5 გოლი გაიტანა. უარესი შედეგი ბოლოს 1962 წელს ჰქონდათ. ვფიქრობ, გაცილებით მეტის გატანა შეეძლო ტიერი ანრის, მაგრამ ცუდი სტარტი აიღო. შთამბეჭდავად ითამაშა ფერნანდო ტორესმაც, ოღონდ ღირებული ვერაფერი შექმნა. მოკლედ, უმაღლესი კლასის ფორვარდების ნაკლებობა ნამდვილად იგრძნობოდა. მცველები გაცილებით უკეთესად თამაშობდნენ.

**- კლოზე ახსენეთ. როგორ დაახასიათებთ გერმანელ თავდამსხმელს?**

- ისევე, როგორც წინა მუნდიალზე, ვერც წელს დაგვამახსოვრა თავი ძლიერი თამაშით. კლოზე ძალიან სახიფათოდ თამაშობს საჯარიმოში, სწრაფად მოძრაობს და კარგად ასრულებს შეტევას. მაგრამ ნებისმიერი თავდამსხმელისთვის მნიშვნელოვანია, ვის კარში გააქვს გოლი. თუ ბომბარდირი ძლიერი მეტოქის კარსაც ისევე ხშირად იღებს, როგორც სუსტისას, მაშინ მართლაც იმსახურებს საყოველთაო აღიარებას. თუ არადა...

**- როგორ ფიქრობთ, დაცვითი ტაქტიკის გამო, რომელსაც ბოლო დროს ხშირად მიმართავენ ნაკრებთა მწვრთნელები, თავდამსხმელებს უფრო უჭირთ თამაში?**

- ჩემი აზრით, ჯგუფურ ეტაპზე ყველა ნაკრები შემტევ ფეხბურთს აჩვენებდა. მაგრამ პლეი-ოფების დაწყებისთანავე, თითქოს გარდაიქმნენო, გუნდებმა დაცვაში დაიწყეს თამაში. ინგლისელებმაც კი, რომლებიც იშვიათად თამაშობენ ასე ფრთხილად, იგივე ტაქტიკას მიმართეს. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ გუნდი, რომელსაც შეტევის არ ეშინია, ბევრს მიაღწევს.

**- ზემოთ თქვით, რომ მცველები წელს უკეთესად გამოიყურებოდნენ. ვის გამოყოფდით?**

- პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ფაბიო კანავაროს, რომელმაც გერმანიაში ისე ითამაშა, როგორც არასდროს. ჩვენებური რიო ფერდინანდიც შთამბეჭდავი იყო. ასაკის მიუხედავად, დიდებული მცველია ლილიან ტიურამი.

**- ინგლისის ნაკრების თამაშზე რას გვეტყვით?**

- ინგლისელთა გამოსვლას თამაშს საერთოდ ვერ დავარქმევდი. ერიქსონის გუნდმა მხოლოდ ორი კარგი ტაიმი აჩვენა. მთლიანობაში ძალიან ცუდად ვითამაშეთ. შვედმა ვერ მოახერხა ფეხბურთელებს მოედანზე ის გამოევლინებინათ, რაც თითოეულს ინდივიდუალურად შეუძლია. ინგლისელთა წლევანდელმა ნაკრებმა ჩემზე საერთოდ ვერ მოახდინა შთაბეჭდილება, დაივიწყეს თავდასხმა, აგრესიული და შემტევი ფეხბურთი, რითაც ყოველთვის თავს ვიწონებდით. ჩვენ ყოველთვის გვყავდა მაღალი დონის ოსტატები, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის მოსაგებად გუნდურობაა საჭირო.

**- ახალ მწვრთნელზე, სტივ მაკლარენზე რას ფიქრობთ?**

- მაკლარენს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ იმედი მაქვს, კარგ გუნდსააწყობს. "მიდლსბროში" ნაყოფიერად იმუშავა და შედეგსაც მიაღწია. არ ვიცი, ჩემპიონატის დროს მაკლარენს ჰქონდა თუ არა გავლენა ერიქსონზე, მაგრამ თუ ჰქონდა, ძალიან ცუდია; თუ მხოლოდ თანაშემწის რანგში იყო, მაშინ არ ღირს ნერვიულობა. გავიგე რომ, მაკლარენს ასისტენტად ტერი ვენეიბლზის მიწვევა უნდა, რასაც მივესალმები. ტერი ყოველთვის ისწრაფოდა, რომ ინგლისის ნაკრებს შემტევი ფეხბურთი ეთამაშა.

# ვინ აღმოაჩინა გერმანულმა მუნდიალმა

ყოველი დიდი ტურნირის წინ გულშემატკივრებს აქვთ იმედი, რომ ეს ტურნირი ფეხბურთს ახალ ვარსკვლავს აჩუქებს. ფეხბურთის მოყვარულები მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებისგან ფეხბურთელების აღმოჩენას ითხოვენ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ 2006 წლის მუნდიალზე? შეიძლება თუ არა, რომ რომელმე ფეხბურთელს გერმანიაში გამართული ტურნირის აღმოჩენა ვუწოდოთ?

სანამ ამ კითხვაზე პასუხს მოვძებნიდეთ, ერთ რამეზე შევთანხმდეთ: თანამედროვე ცხოვრებაში, როდესაც ინფორმაციის მიღება კომპიუტერის ერთი ღილაკის დაჭერით არის შესაძლებელი, ძნელია რაიმე ახალი მოძებნო. მაგალითისთვის 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატი გავიხსენოთ. ამ მუნდიალმა მსოფლიოს პელე აჩუქა. საფეხბურთო სამყარომ სწორედ შვედეთში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წყალობით გაიცნო ბრაზილიელი თვითნაბადი ტალანტი, რომელიც შემდეგ ფეხბურთის მეფე გახდა.

ერთი წამით წარმოიდგინეთ, რომ საფეხბურთო ინფრასტრუქტურა და კომუნიკაციის საშუალებები 1958 წელსაც ისე ყოფილიყო განვითარებული, როგორც ახლა. ალბათ არავის ეპარება ეჭვი, რომ ამ შემთხვევაში პელეს შესახებ ფართო საზოგადოებისთვის მსოფლიო ჩემპიონატამდეც კარგად იქნებოდა ცნობილი და, შესაძლოა, პელე რომელიმე ევროპული გრანდის ფეხბურთელიც ყოფილიყო.

გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე ფაქტობრივად არ ყოფილან ფეხბურთელები "არსაიდან". მაგალითად, მუნდიალზე საუდის არაბეთის, ტოგოს ან ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრების რომელიმე ფეხბურთელს რომ გაებრწყინა, სხვა საქმეა.

გაისროლა განამ და შეიძლება ტურნირის აღმოჩენად შევრაცხოთ ამ გუნდის ფორვარდი ბუფარა გიანა ასამოა, რომელიც მოკრძალებულ "მოდენაში" თამაშობს. თუმცა მაინც ძნელია იმის თქმა, რომ გერმანული მუნდიალის აღმოჩენა ეს შავკანიანი ფორვარდია. საეჭვოა, რომ მისგან დიდი ვარსკვლავი დადგეს, საშუალო დონის ფეხბურთელები კი ევროპაში ისედაც მრავლად არიან.

ფიფამ საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად ლუკაშ პოდოლსკი დაასახელა. მას ლეო მესი, სესკ ფაბრეგასი, კრიშტიანუ რონალდუ და ტრანკილიო ბარნეტა უწევდნენ კონკურენციას. ახლა მითხარით, რომელი მათგანი შეიძლება ჩაითვალოს გერმანული მუნდიალის აღმოჩენად. პოდოლსკი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში მსოფლიო ჩემპიონატამდე 25 მატჩი ჰქონდა გამართული და 12 გოლი გატანილი, რომელსაც მიუნხენის "ბაიერნი" ეპატიჟება და რომელიც ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია? რა თქმა უნდა, არა. პოდოლსკი კარგა ხნის წინ აღმოაჩინეს და გერმანული მუნდიალი ამას ვერ დაიბრალებს. კრიშტიანუ რონალდუზე ალბათ საუბარიც არ ღირს. კარგა ხანია, რაც ის "მანჩესტერ იუნაიტედმა" აღმოაჩინა. ლეო მესი და სესკ ფაბრეგასიც უკვე ვარსკვლავების სტატუსით ეწვივნენ მუნდიალს. რაც შეეხება შვეიცარიელ ტრანკილიო ბარნეტას, არც ის იყო მუნდიალამდე უცნობი ფეხბურთელი და თან არც ჩემპიონატზე გამოუჩენია თავი.

ნუთუ აუცილებელია, რომ ტურნირის აღმოჩენად ახალგაზრდა ფეხბურთელი ჩაითვალოს, თანაც აუცილებლად 20 წლამდე ასაკის? თუ არა, მაშინ ტურნირს უკვე ჰყავს ორი აღმოჩენა: 29 წლის იტალიელი ფაბიო გროსო და 23 წლის ფრანგი ფრანკ რიბერი.

იტალიის ნაკრების მცველი ფართო საფეხბურთო საზოგადოებისთვის მართლაც არ ყოფილა ცნობილი. მან მუნდიალზე გაიბრწყინა, კერძოდ, მსოფლიო ჩემპიონატის პლეი-ოფების ეტაპზე, გერმანიის ნაკრების კარში გატანილი გოლი კი მისი კარიერის გვირგვინად შეიძლება ჩავთვალოთ.

რაც შეეხება რიბერის, ამ ფეხბურთელს საფეხბურთო წრეებში მსოფლიო ჩემპიონატამდეც კარგად იცნობდნენ. ფრანგული ფეხბურთის პატარა მარგალიტმა მუნდიალზე სრულად შეძლო საკუთარი პოტენციალის გამოვლენა. მართალია, მას არც მსოფლიო ჩემპიონატამდე აკლდა ყურადღება, მაგრამ ცხადია, რომ მუნდიალის შემდეგ ამ ფეხბურთელზე ნამდვილი ნადირობა დაიწყება. ჩემპიონატის დაწყებამდე "მარსელი" რიბერის სატრანსფერო ფასად 25 მილიონ ევროს ასახელებდა, ფეხბურთელის ხელფასი კი თვეში 110 000 ევრო იყო. "ლიონი" თანახმა იყო "მარსელისთვის" 25 მილიონი გადაეხადა და ფეხბურთელისთვის ხელფასი გაესამმაგებინა, თუმცა ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ცხადია, რიბერის ფასი გაიზრდება, მით უმეტეს, რომ მისი შეძენის მსურველთა რიცხვი დიდია.

ამრიგად, არ შეიძლება ითქვას, რომ მუნდიალზე ახალი სახელი არ გამოჩენილა. თუ თანამედროვე ცხოვრების ინფორმაციულობას გავითვალისწინებთ, რიბერი უკვე აღმოჩენად შეიძლება მივიჩნიოთ. უბრალოდ, დღეს შეუძლებელია, რომ მუნდიალზე ფეხბურთელი "არსაიდან" გამოჩნდეს. ტალანტებს ხომ ლამის უკვე აკვანში ეძებენ.



ფრანკ რიბერი - ფრანგული ფეხბურთის მომავალი.

# გერმანული პარადოქსი

ვასილ უდუმაშვილი

რა ხანია გრძელდება საუბარი, რომ თანამედროვე ფეხბურთი სანახაობრივ მხარეს კარგავს. გუნდები დაცვაზე აკეთებენ აქცენტს და მეტოქის ერთ შეცდომას ელიან. ამ მოსაზრების ნათელი დასტური იყო 2004 წლის ევროპის ჩემპიონატი, როდესაც კონტინენტის ჩემპიონის ტიტული საბერძნეთის ნაკრებმა მოიპოვა. რა ხდებოდა ამ მხრივ გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე, როგორი სტილის ფეხბურთმა გაიმარჯვა?

რაც უფრო ახლოვდებოდა მუნდიალის დასასრული, მით უფრო უცნაური გრძნობა მეუფლებოდა. გუნდების უმეტესობა ცდილობს რაც შეიძლება შემტევი ფეხბურთი აჩვენოს, გოლები კი ცოტა გადის. მოვიშველიოთ სტატისტიკა: 2006 წლის მუნდიალის საშუალო შედეგიანობა თამაშში 2,3 გოლია. ამაზე ნაკლები საშუალო მაჩვენებელი მხოლოდ 1990 წლის მუნდიალზე იყო. საინტერესოა, რომ დაცვითი სტილის გამო ჯერ კიდევ 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დაიწყეს წუწუნი. იტალიური კატენაჩო 1970 წელს შემოვიდა მოდაში, არადა, იმ ჩემპიონატზე შედეგიანობის საშუალო მაჩვენებელი 2,97-ს უდრიდა.

მოდით, შევეცადოთ და შევაფასოთ თითოეული გუნდის შენატანი გოლების მარაქაში. ბრაზილიელებმა 5 მატჩში 10 გოლი გაიტანეს. შედეგი აბსოლუტურად მისაღებია. გერმანიამ 7 მატჩში 14 გოლი შეაგდო - ბრწყინვალეა. იტალიამ 7 მატჩში 12 გოლი - ნამდვილად კარგია. არგენტინამ 5 მატჩში 11 გოლი - მეტი რაღა უნდა ექნათ. საფრანგეთმა 7 მატჩში 9 გოლი - ესეც მისაღებია. ინგლისმა 5 მატჩში 6 გოლი, უკრაინამ ხუთში - ხუთი, პორტუგალიამ შვიდში - შვიდი (აქ მხოლოდ ის გუნდებია განხილული, რომლებმაც, სულ ცოტა, მეოთხედფინალს მიაღწიეს). გოლები საკმარისია. ამ გუნდებში შემტევი სტილის ვარსკვლავები მრავლად თამაშობენ. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამრიგად, დაბალი საშუალო მაჩვენებელი მაღალი კლასის ფორვარდების ნაკლებობაში არ უნდა ვეძებოთ. მიზეზი რაღაც სხვაა.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ნაკრები გუნდების თამაშის ანალიზი პასუხს გვიკარნახებს. პელესა და მარადონას დრო ისტორიას ჩაბარდა. დრო, როდესაც ვირტუოზ ფორვარდს მარტოს შეეძლო თამაშის ბედის გადაწყვეტა, სასიამოვნო მოგონებად დარჩა. ბოლო წლებში საოცრად გაიზარდა თამაშის ორგანიზების ხარისხი დაცვაში და მცველების ინდივიდუალური ოსტატობა. ბოლოს და ბოლოს, თანამედროვე ვარსკვლავებში ძნელად თუ იპოვით პელესა და მარადონას. მართალია, კატენაჩოს გაფურჩქვნის პერიოდი 60-იანი წლების ბოლოს ემთხვევა, მაგრამ კატენაჩოს მამა ელინიო ერერაც ამ სტილს მხოლოდ არჩევით იყენებდა. ასე ყველა გუნდი ვერ ითამაშებს. მაგალითად, გერმანია და ინგლისი კატენაჩოსთვის არ გამოდგება. ამ ქვეყნებს სხვა ტრადიციები აქვთ. ერთ მაგალითსაც მოვიყვან: თავის დროზე ელინიო ერერას "ინტერი", რომელიც კატენაჩოს აპოლოგეტად იყო მიჩნეული, იტალიის ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი გუნდი გახდა.

ამრიგად, მეოთხედფინალისტებიდან ყველაზე დაბალშედეგიანი გუნდები ინგლისი, პორტუგალია და უკრაინა იყვნენ. ინგლისელებმა მთელ ჩემპიონატზე ასე თუ ისე ნორმალური ფეხბურთი მხოლოდ შვედებთან მატჩში აჩვენეს. თანაც, მათი ყველა გოლი უფრო ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობის დამსახურება იყო, ვიდრე გააზრებული კომბინაციის შედეგი. უკრაინისთვის მეოთხედფინალში გასვლა უკვე ზღაპარს ნიშნავდა. ამასთან ერთად ბლოხინის გუნდს განსაკუთრებით შედეგიან თამაშსაც ნუ მოვთხოვთ. რაც შეეხება პორტუგალიის ნაკრებს, მან საკმაოდ არაერთგვაროვანი შთაბეჭდილება დატოვა. ერთი მხრივ, სკოლარის გუნდი ტურნირის აღმოჩენად უნდა მივიჩნიოთ, მეორე მხრივ კი - ტურნირის მთავარ იმედგაცრუებადაც. საფრანგეთის ნაკრებთან მატჩში გამოჩნდა, რომ სკოლარის გუნდს შეტევა საერთოდ არ უვარგოდა და ფორვარდი ფაქტობრივად არ ჰყავდა.

რაც შეეხება დანარჩენ მეოთხედფინალისტებს, მათ მართლაც შედეგიანი ფეხბურთი აჩვენეს და ვერც მაღალი დონის ფორვარდების ნაკლებობაზე ვისაუბრებთ. ამრიგად, დაბალი შედეგიანობა ფორვარდების არყოფნის ბრალი არ არის. უბრალოდ, ამჟამად დაცვაში იმდენად ორგანიზებულად თამაშობენ, რომ თუ ვარსკვლავ ფორვარდზე მთელი გუნდი არ მუშაობს, გოლის გატანა შეუძლებელი ხდება. გერანიის ჩემპიონატმა დაგვანახა, რომ გუნდები, რომელთა შეტევა ისევე კარგადაა ორგანიზებული, როგორც დაცვა, წარმატებას აღწევენ. გერმანიის, იტალიისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები ამის ნათელი დასტურია. დაბალი შედეგიანობა კი იმით აიხსნება, რომ მთლიანობაში მუნდიალზე გაცილებით ნაკლები იყო ისეთი გუნდები, რომლებსაც უყვართ შეტევაში თამაში, ვიდრე ისეთები, რომლებსაც მხოლოდ კარგად ორგანიზებული დაცვა ჰყავთ.

იტალიის ნაკრები კი დაცვისა და შეტევის იდეალური შერწყმის მაგალითად მოგვევლინა. მარჩელო ლიპის გუნდს ალბათ ვერავინ დააბრალებს, რომ ის წმინდა კატენაჩოს თამაშობდა. გავიხსენოთ თუნდაც გერმანელებთან გამართული ნახევარფინალი, როდესაც ლიპიმ მატჩის მიწურულს მინდორზე ოთხი ფორვარდი გამოიყვანა და სწორედ ამის წყალობით მოიპოვა გამარჯვება. იმარჯვებს ის გუნდი, რომელსაც ბევრი გოლი გააქვს და საკუთარ კარში ცოტას უშვებს. იტალიელებმა 12 გაიტანეს და მხოლოდ ორი გაუშვეს. აი, წარმატების ფორმულა. ამ მხრივ გამონაკლისად უნდა ჩავთვალოთ ბრაზილიის ნაკრები, რომელმაც ბევრი გაიტანა, ცოტა გაუშვა და მაინც გავარდა. მაგრამ ბრაზილიელთა მარცხის მიზეზებზე საუბარი ალბათ არ ღირს.

ასე რომ, ნუ ვენდობით მშრალ ციფრებს. მერე რა, რომ მთლიანობაში გატანილი გოლების საშუალო მაჩვენებელი დაბალია, გამარჯვების ფორმულა მაინც არ შეცვლილა. იგებს არა ის გუნდი, რომელიც ცოტა გოლს უშვებს, არამედ ის, რომელსაც მეტი გააქვს. ერთი სიტყვით, მსოფლიო ფეხბურთში წესრიგია: კვლავ შემტევი ფეხბურთი იმარჯვებს. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, იტალიის ნაკრები ამის ნათელი მაგალითია.



იტალიელებმა შეტევაც იციან და დაცვაც.

## ლიპი: ჩვენ ხომ არ გვითხოვია ზიდანის გაძევება...

იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს მარჩელო ლიპის არ მიაჩნია, რომ მსაჯი ზიდანის გაძევებით მის გუნდს დაეხმარა. ლიპიმ ტიტულის მოგების შემდეგ იტალიელ ჟურნალისტებთან ისაუბრა.

- ფინალი განსაკუთრებული მატჩია. ხშირად ფინალში იმასაც კი არა აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ თამაშობდა გუნდი მანამდე მთელი ტურნირის განმავლობაში. ფინალისთვის ჩვენ უკეთ მოვემზადეთ, ვიდრე ფრანგები. შეიძლება თქვან, რომ ჩვენ გაგვიმართლა. საფრანგეთი ზიდანის გარეშე დარჩა, ტრეზეგემ კი ბურთი ძელს გაარტყა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ძლიერებს უმართლებს.

**- რას გრძნობდით, როდესაც პენალტების სერია დაინიშნა?**

- შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ იმდენად დარწმუნებული ვიყავი გამარჯვებაში, რომ დიდად არც მინერვიულია. ჩემს სამწვრთნელო კარიერაში უკვე იყო პენალტების სერია. "იუვენტუსთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში, მაგრამ "ბებერ ქალბატონს" და ნაკრებს ვერ შევადარებ. დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვიგებდით.

**- როდის მიხვდით, რომ იტალიის ნაკრებს ტიტულის მოგება შეუძლია?**

- ჯგუფური ეტაპის შემდეგ მივხვდი, რომ წარმატებული თამაში შეგვეძლო. ავსტრალიელების დამარცხების შემდეგ ეს გრძნობა კიდევ უფრო გამყარდა, შემდეგ კი უკვე ყველაფერი იოლად წავიდა. ნახევარფინალური მატჩის დამატებით დროში დარწმუნებული ვიყავი, რომ საქმე პენალტების სერიამდე არ მივიდოდა და ისე მოვიგებდით.

**- ფინალი თუ მოგეწონათ?**

- განსაკუთრებულად სანახაობრივი მატჩი არ ყოფილა, თუმცა დაძაბულობა იგრძნობოდა.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ ტურნირის მსვლელობისას იტალიის ნაკრებს უმართლებდა? ავსტრალია ბოლო წუთზე დანიშნული პენალტით დაამარცხეთ, შემდეგ პლეი-ოფის ყველაზე სუსტ გუნდს - უკრაინას შეხვდით, ფინალში ზიდანი გააძევეს...**

- იღბალი არაფერ შუაშია. ჩვენ სხვებზე უკეთ ვახერხებდით პრობლემებთან გამკლავებას. ყოველ მატჩში მეტოქეს გადაუჭრელი ამოცანის წინაშე ვაყენებდით. ჩვენმა დაცვამ კი ბრწყინვალედ ითამაშა.

**- რა უთხრა მატერაცციმ ზიდანს?**

- არ ვიცი. თუმცა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ზიდანის გაძევება ჩვენ არ მოგვითხოვია. მატერაცის საერთოდ არაფერი უთქვამს მსაჯისთვის. არბიტრმა თავის თანაშემწეებთან თათბირის შემდეგ გადაწყვიტა ზიზუს გაძევება.

**- ზიდანი თქვენი გუნდის ფეხბურთელი რომ ყოფილიყო, რას ეტყოდით დასამშვიდებლად?**

- ვეტყოდი, რომ დიდი ფეხბურთელია და მარცხი მისი ბრალი არ არის. ვეტყოდი, რომ კარიერა არ დაასრულოს და თამაში გააგრძელოს.

**- როგორ აპირებთ ფეხბურთელების დაცვას იმ სკანდალისგან, რომელიც იტალიურ ფეხბურთში მოხდა?**

- როგორ უნდა დავიცვა ისინი? მათი კლუბების ბედი უნდა გადაწყდეს, მე კი უძლური ვარ. ფეხბურთელებმა ღირსეულად გადაიტანეს ეს დარტყმა. ჩემპიონის ტიტულის მოპოვებით კიდევ ერთხელ დაანახეს ყველას, თუ რას წარმოადგენს იტალიური ფეხბურთი.

**- იტალიის ნაკრებში საუკეთესოდ ვის დაასახელებდით?**

- კანავაროს, პირლოს, ბუფონის. კანავარო მარტო ჩემი ნაკრების კი არა, მთლიანად მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელი იყო.

**- ბევრს ტურნირის აღმოჩენად ფაბიო გროსო მიაჩნია...**

- რა ვიცი... გროსო გამოცდილი ფეხბურთელია. მის შესაძლებლობებში ეჭვი არასდროს შემიტანია. გროსომ მართლაც უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა ნახევარფინალში.

**- არ ნანობთ, რომ ნაკრების დატოვებას აპირებთ?**

- მიზანი მიღწეულია. ახლა ალბათ სხვა მიზნებს დავისახავ. თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ ნაკრებიდან ჩემი წასვლა ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის.

**თასის ორიგინალი ისევ ფიფაში ინახება**

მსოფლიო თასის ორიგინალი, რომელიც კვირას იტალიის ნაკრებს გადასცეს, ფიფას შტაბბინაში დაბრუნდა და მისთვის საგანგებოდ მოწყობილ სეიფში ინახება. 36,6 სანტიმეტრის სიმაღლის ოქროს თასი 350 ათას ევროდ არის დაზღვეული. მსოფლიო ჩემპიონებმა კი იტალიაში თასის ასლი წაიღეს.

აღსანიშნავია, რომ სილვიო გაძანიგის ნაკეთობა 2038 წლამდე გადაეცემა მსოფლიო ჩემპიონს. თასზე 17 გუნდის ამოასტვიფრი ადგილიღა დარჩა.

**ფიფა გამოიძიებს**

გუშინ ფიფას პრესსამსახურმა გაავრცელა ცნობა, რომ ამ ორგანიზაციის დისციპლინარული კომიტეტი იწყებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში მომხდარი ინციდენტის გამოძიებას. შესაძლოა, ფიფამ მაინც დაადგინოს, რა მოხდა მინდორზე მატერაცისა და ზიდანს შორის.

**კირკლენდი "უიგანში"**

"ლივერპულის" სათადარიგო მეკარე კრის კირკლენდი მომავალ სეზონს "უიგანში" გაატარებს. კირკლენდი იჯარის წესით გადავიდა ამ გუნდში. თუ "ლივერპული" იეჟი დუდეკმაც დატოვა, გამოვა, რომ მერსისაიდელები მხოლოდ რეინას ამარა დარჩებიან. გამორიცხული არაა, რომ უახლოეს მომავალში "ლივერპულმა" ერთი მეკარე შეიძინოს.

## დიდა "მილანში" დარჩება

"მილანის" გენერალურმა დირექტორმა ადრიანო ბრაიდამ განაცხადა, რომ გუნდის ბრაზილიელი მკარე დიდა მომავალ სეზონსაც "მილანში" გატარებს.

"თუ დიდა ახალ კონტრაქტს არ მოაწერს ხელს, ცხადია, ჩვენ ამას ვერ შევეწინააღმდეგებით, მაგრამ ამჟამად მოქმედი კონტრაქტით მან კიდევ ერთი სეზონი უნდა გაატაროს "მილანში". ასე რომ, მომავალ სეზონში დიდა ჩვენთან ითამაშებს", - აცხადებს ბრაიდა.

## ძამბროტას "ბარსელონაში" ელიან

იტალიის ნაკრებისა და "იუვენტუსის" მცველი ჯანლუკა ძამბროტა ალბათ კატალონიურ "ბარსელონაში" გააგრძელებს კარიერას. მართალია, ფეხბურთელს "ბარსელონას" გარდა კიდევ რამდენიმე კლუბიდან აქვს შეთავაზება, მაგრამ თავად ძამბროტას სწორედ ესპანურ გრანდში უნდა გადასვლა.

## მაკელელემ ნაკრები დატოვა

ფრანგული მედიის ინფორმაციით, კლოდ მაკელელემ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ სანაკრებო კარიერა დაასრულა. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ნაკრები ზიდანმა და ტურამმაც დატოვეს.

## ჰასელბაინკი "ჩარლტონში" ითამაშებს

ლონდონის "ჩარლტონმა" გააფორმა კონტრაქტი ჰოლანდიელ ფორვარდ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკთან. გასულ სეზონში ჯიმი "მიდლსბროს" ღირსებას იცავდა, თუმცა სეზონის დასრულებისთანავე თავისუფალი აგენტი გახდა და "ჩარლტონის" ხელმძღვანელებთან საერთო ენის პოვნა არ გასჭირვებია.

## სალსიდო ჰოლანდიაში ითამაშებს

მექსიკის ნაკრების მცველი კარლოს სალსიდო ჰოლანდიური პსვ-ს ფეხბურთელი გახდა. სალსიდო პირველი მექსიკელი ფეხბურთელია, რომელიც ჰოლანდიურ ლიგაში ითამაშებს. მან ფილიპსელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სალსიდომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამოიჩინა თავი და, ეტყობა, სწორედ ამის გამო მიიპყრო ჰოლანდიური გრანდის ყურადღება.

## დეკუს აღიარება

2000 წელს, როდესაც "რეალის" პრეზიდენტად ფლორენტინო პერესი დაინიშნა, საფეხბურთო ესპანეთი ფიგუს ტრანსფერმა შეძრა. პერესმა "ბარსელონას" ლიდერი მოპარა. ეტყობა, მადრიდული კლუბის ახლანდელ ხელმძღვანელს ფლორენტინო პერესის იდეები ხიბლავს და მასაც იგივეს გაკეთება სურდა, ოღონდ საუბარი ეხება დეკუს.

"ბარსელონასა" და პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველმა ესპანურ გაზეთ "მუნდო დეპორტივოს" ჟურნალისტთან საუბარში განაცხადა: "რეალის" პრეზიდენტობის ორი კანდიდატი ჩემთან მოლაპარაკებას მართავდა. მათ თავიდანვე განვუცხადე, რომ "რეალში" თამაში არ მაინტერესებს."

## ტონი მომავალზე ფიქრობს

ლუკა ტონი საკუთარ მომავალზე ფიქრს არდადეგებიდან დაბრუნების შემდეგ დაიწყებს. "ფიორენტინას" ფორვარდი ალბათ დატოვებს გუნდს. მას მადრიდის "რეალი" და "ინტერი" იწვევენ.

"ამჟამად ტრანსფერზე საუბარი არ მსურს. ჯერ უნდა დავისვენო, შემდეგ კი ვნახოთ. დაველოდოთ, რა განაჩენს გამოუტანს ტრიბუნალი "ფიორენტინას". თუ ჩემს გუნდს სერია A დაატოვებინეს, არ გამოვრიცხავ, რომ კლუბი შევიცვალო", - აცხდებს ტონი.

## ჟაზირიმ უკრაინა არჩია

დონეცკის "შახტარმა" გააფორმა კონტრაქტი ტუნისის ნაკრების მცველ ჟაიდ ჟაზირისთან. უკრაინული კლუბი ფეხბურთელში 7 მილიონ ევროს გადაიხდის. ტუნისელი მცველის შეძენა "ზენიტს", "გალათასარაის" და "ბეშიქთაშსაც" სურდათ.

## კამენი "ესპანიოლში" დარჩება

კამერუნის ნაკრების მეკარემ კარლოს კამენიმ გააგრძელა კონტრაქტი ესპანურ "ესპანიოლთან". 22 წლის მეკარე 2004 წელს ჩაირიცხა "ესპანიოლში" და ახლა კიდევ სამი წლით გააფორმა კონტრაქტი კლუბთან. აღსანიშნავია, რომ კამენის შეძენა რამდენიმე გრანდსაც სურდა.

## ნესტაც "არისტოკრატი" გახდება

თუ "მილანს" სერია A დაატოვებინეს, გუნდიდან წავა ალესანდრო ნესტა. უკვე ცნობილია, თუ სად გააგრძელებს კარიერას მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველი. ლონდონის "ჩელსიმ" "მილანს" 30 მილიონი ევრო შესთავაზა ალესანდრო ნესტას სანაცვლოდ.

## პობორსკი კარიერას ამთავრებს

როიტერის ინფორმაციით, მიმდინარე სეზონი, სავარაუდოდ, უკანასკნელი გამოდგება ჩეხი ვეტერანის კარელ პობორსკისთვის. 34 წლის ნახევარმცველმა, რომელიც გასულ წელს გადავიდა ჩეხურ "ბუდევიცეში", კარიერის დასრულების თაობაზე პრესასთან საუბრისას განაცხადა.

"ჯერჯერობით ზუსტად არ გადამიწყვეტია, მაგრამ ისეთ ასაკში ვარ, ვგონებ წასვლის დროა", - განაცხადა პობორსკიმ.

## ბეენჰაკერი პოლონეთშია

გამოცემა "ტრიბალფუტბოლის" ინფორმაციით, თითქმის ოფიციალურად გადაწყდა, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტი ლეო ბეენჰაკერი ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში პოლონეთის ეროვნულ ნაკრებს უთავკაცებს.

63 წლის ჰოლანდიელი რამდენიმე დღეში პოლონელებთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ბეენჰაკერი მათი ქვეყნის ნაკრებს, პირველად არსებობის ისტორიაში, კონტინენტის პირველობის ფინალურ სტადიაზე გაიყვანს. 2002 წლიდან მოყოლებული, პოლონელებს სათავეში ედგათ პაველ იანისი, რომელთან ერთადაც პოლონეთის ნაკრებმა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე ჯგუფური ბარიერი ვერ გადალახა.

GFF

ჩვენ ერთი გუნდი ვართ

საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბში გასაწევრიანებელი აპლიკაცია

სარბიელი

# გამოფიცულნიც გავიდნენ

გამოვლინდა რაგბის 2007 წლის მსოფლიო თასის მე-11 ფინალისტი. ეს არის სამხრეთ ამერიკაში ოდითგან უძლეველი არგენტინა, ვისი ბობოლა მოთამაშენიც ჯერ კიდევ თვენახევრის წინ გაფიცულნი იყვნენ და საერთაშორისო რაგბის ხელისუფლებს აქამდეც ამუნათებენ, თუ სამხრეთის "სამ ერში" არაა ჩვენი ადგილი, ეგებ ჩრდილოეთის "ექვს ერში" მაინც მიგვიღოთო.



არგენტინა ექვს ერში შეღწევას ცდილობს.

### არგენტინა 26:0 ურუგვაი

ვიდრე მსოფლიო თასის შესარჩევებში ჩაებმებოდნენ, პუმებმა ორჯერ ძლიეს მათთან გადახალისებული რაზმით ჩასული უელსი (27:25 და 45:27), მერე კი 19:25 დამარცხდნენ ნახევარ ოლ ბლექსთან და ბოლო წუთებზე კინაღამ გამარჯვების ლელოც შეიტანეს. არადა, ეს თამაშები შეიძლება ჩაშლილიყო, რადგან ჯერაც სამოყვარულო ხანის მეთოდებით მოღვაწე რაგბის კავშირს ბიჭებისა ერთი მილიონი პესო (300 ათასი ევრო) მართებს და ვალის გასტუმრებას არც ფიქრობს.

გაფიცული ერთბაშად 53 პუმა იყო. ზედ ტესტ-სეზონის წინ კომპრომისი მაინც გამოინახა. კავშირი (პრეზიდენტი ალეხანდრო რისლერი) მორაგბეთა პრეტენზიების მოსმენას დაყაბულდა, პუმებმა კი მართებულად დაასკვნეს, თამაშები რომ ჩავშალოთ, ირბ მთელ არგენტინულ რაგბის დასჯის და ველარც მსოფლიო თასზე ვიბურთავებთო.

ჰოდა, საზიარო ინტერესის გამო დავა დროებით შეწყდა, თორემ კავშირი მაინც თავისაზე დგას, კაცზე სატესტო ჰონორარად 700 პესოზე მეტი არ ემეტება და ნაკრების წევრებს მხოლოდ სტიპენდიებსა და სამედიცინო პოლისებს სთავაზობს.

არგენტინამ პირველ შესარჩევში სტუმრად 10-ჯერ დაალელოვა ჩილე, ოცონდ პირველი ტაიმი 17:0 მოიგო. მეორე მატჩის წინ, ურუგვაის წინააღმდეგ, კოკისპირული წვიმა მოვიდა და მოედანი აატალახა. სტუმარ ტეროსს შესვენებამდე ზურგქარში მოუწია თამაშმა, მაგრამ პუმების ნახევარზე ეგეც ვერ გადავიდა. სამაგიეროდ, საფრანგეთის "მონპელიეს" ახალწვეულმა ფედერიკო ტოდესკინმა შეაგდო ოთხი ჯარიმა, 31-ე წუთზე ლელოში შესული მარტინ შუსტერმანი კი ურუგვაელებმა გააკავეს.

### შანსი ჩილესაც ექნებოდა

მეორე ტაიმში წვიმამ გადაიღო, მაგრამ ქარი გაძლიერდა. არგენტინა მთლად ჭიდაობაზე გადავიდა. ტეროსის ერთადერთმა ლეგიონერმა, საფრანგეთის "კასტრში" მორაგბე როდრიგო კაპომ ბურთი რომ ჩაკლა, გაასინბინეს. მაშინ ინგლისის "ვუსთერის" ახალმა წევრმა, ბეკმა მიგელ ავრამოვიჩმა ზედიზედ გაიტანა ორი ლელო.

პუმებმა თამაშის ბოლოს ექვსი კაცი გამოცვალეს, მაგრამ ურუგვაიმ არაფერი დათმო და ახლა იმის იმედადაა, რომ ორი კვირის თავზე შინ, ჩილესთან არ წააგებს და საფრანგეთის საგზურისთვის ბრძოლას გააგრძელებს.

სექტემბრამდე მონტევიდეოს რკენის გარდა ერთადერთი შესარჩევიღა გაიმართება: კანადა შტატებს ნიუფაუნდლენდზე, სენთჯონში უმასპინძლებს. ორივე თამაში რაგბული უსამართლობის თვალსაჩინო ნიმუშია. წინა ციკლში, ოთხი წლის წინ, ბოლო რაუნდში ოთხმა ამერიკულმა გუნდმა ორ წრედ იასპარეზა. ეტყობა, ირბ-ს ხარჯი ებევრა, რის გამოც 2007 წლისთვის ჩრდილოეთი და სამხრეთი ხომ გამიჯნა და წრეც ერთი დატოვა.

ამით გადამწყვეტი მატჩის მასპინძელმა დიდი უპირატესობა მიიღო. ჰოდა, ეჭვი არაა, მე-12 ფინალისტი კანადა გახდება, მე-13 საგზურისთვის შტატები შინ და გარეთ შეებმება ურუგვაის, ამ მატჩის წაგებული რეპეშაჟში წავა, ურუგვაიში ძლეული ჩილე კი ახლავე გავარდება. არადა, კონდორესი ტეროსს შინაც რომ ეთამაშებოდეს, წარმატების შანსი ნამდვილად ექნებოდა.

### ესპანეთში ვითამაშებთო

ის, რომ დიდ რაგბიში სამართალი ძნელი საშოვარია, არგენტინა წლიდან წლამდე რწმუნდება. ტელეპატრონების მიერ ნაძღვნევი დიდძალი ფული პუმებს რად უნდა გავუნაწილოთო და "სამმა ერმა" (სამხრეთი აფრიკა, ახალი ზელანდია, ავსტრალია) მორიგი ვადითაც, 2011 წლამდე თამაშგარეთ დატოვა არგენტინა, ვისაც ბევრჯერ დაუმტკიცებია, რომ ბუმბერაზებთან გატოქების შნო ნაღდად აქვს.

სამხრეთელ გრანდთაგან მოძულებულმა თემმა ჩრდილოეთში დაუწყო მოკავშირეებს ძებნა. პუმების ბებერმა კაპიტანმა აგუსტინ პიჩოტმა ერთი შეხედვით ფანატასტიკური პროექტიც კი წამოაყენა: რაკი არგენტინის მთელი ნაკრები ევროპაში (საფრანგეთი, ინგლისი, კელტეთი) თამაშობს, "ექვს ერში" პუმების ჩართვას წინ არაფერი უნდა დაუდგეს, თუ გუნდი საშინაო მატჩებს, ვთქვათ, შორეულ წინაპართა სამშობლოში, ესპანეთში გამართავს.

პიჩოტი აღიარებს, რომ არგენტინის შემატებით ამქარი სარფს უმალ ვერ ამრავლებს, მაგრამ "ექვსი ერის" უახლესი წევრის, იტალიის წინსვლის მაგალითი მოჰყავს და გადაწყვეტილების მიღება ვისი ჯერიც არს, იმ ხალხსაც ნამუსზე აგდებს, აქაოდა, რაგბის არსი უცხოთა მარაქაში გარევაა, თორემ გარიყვით, აბა, ვინ გაძლიერებულაო.

**არგენტინა:** სერა, კარვაჯო, ტიესი, ავრამოვიჩი, ბორხესი; (10-9) ტოდესკინი, პიჩოტი კაპ / აიერსა, ლედესმა, სკელსო; კარისა, ალვარესი; დურანი, შუსტერმანი, ლეგისამონი (მ) აგუჯა, ხ.მირანდა, ვერგაჯო / გამბარინი, დერობერტისი; ბუსა, კრივი; (მწ) ლოფრედა

**2 ლელო:** ავრამოვიჩი; **2 გარდასახვა, 4 საჯარიმო:** ტოდესკინი

**ურუგვაი:** მენჩაკა, ბულანტი, იოვეტი, დ.აგირე, ლაბატი; (10-9) აროსენა, კამპომარი / იამელასი, პერესი, სტორასე; ალსუეტა, ხ.ალვარესი; რ.ალვარესი, ხურია, რ.კაპო კაპ (მ) ვუატურე, ს.აგირე / ფ.კაპო, კლაპემბახი, სანჩესი; კონტი, გრიჯე; (მწ) სილვა და ინსიარტე - სბ რ.კაპო (51)

**რეფერი:** ოუენსი (უელსი). ბუენოს აირესი, კლუბ ატლეტიკო სან ისიდრო - 3:0(7) 6:0(11) 9:0(19) 12:0(40+2) / 19:0(58) 26:0(64)

*მასალა მომზადებულია საიტზე www.rugby.ge*

# ალონსო პროგნოზებს გაურბის

*ინდიანაპოლისური ("აშშ-ის დიდი პრიზი") წარუმატებლობის მიუხედავად "რენოს" ესპანელი მრბოლი ფერნანდო ალონსო 19-ქულიანი უპირატესობით ინარჩუნებს მსოფლიო ჩემპიონობის შანსს. მაშინ, როდესაც ესპანელს ჩემპიონობას უქადიან, ალონსო ცდილობს პროგნოზებს ყურადღება არ მიაქციოს და აცხადებს, ფორმულა 1-ში ყველაფერი შეიძლება მოხდესო. აქედან გამომდინარე, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, მსოფლიო ჩემპიონი არ მიიჩნევს, რომ მეორე ტიტული ხელში უჭირავს.*

**- სეზონის დასაწყისში ამბობდი, შემიძლია მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შევინარჩუნოო. ახლა, როდესაც ათი ეტაპი უკვე გაიმართა, ხომ არ მიგაჩნია, რომ ჩემპიონატის ბედი პრაქტიკულად გარკვეულია?**

- შორიდან ყველაფერი ისე ჩანს, თითქოს "რენოს" დიდი უპირატესობა აქვს ჩემპიონატში და ჩვენი დაწევა შეუძლებელია. მაგრამ შიგნიდან ყველაფერი არც ასე მარტივადაა. ინდიანაპოლისში დავინახეთ, რომ რბოლებში გამარჯვებისთვის აუცილებელია სრული პაკეტის იდეალური მუშაობა. სეზონის დასაწყისში მოსალოდნელზე უკეთ გამოვიყურებოდით. ჩემპიონატის ბედი კი ზაფხულში გადაწყდება. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ ჩემპიონატი დავიწყეთ უპირატესობით და არა ჩამორჩენით, რადგან ეს დამატებითი წნეხის ქვეშ აქცევს ჩვენს მეტოქეებს.

**- რატომ აქვს "რენოს" ასეთი უპირატესობა ამ სეზონში?**

- ამის მიზეზი ის მგონია, რომ პირველი რბოლისას ასი პროცენტით მზად ვიყავით. სეზონის დასაწყისში არასაკმარისი კონკურენტუნარიანობის გამო ცოტას ვშიშობდით. ზამთარში გუნდმა კარგად იმუშავა. როდესაც ბახრეინში ჩავედით, რბოლებისთვის აბსოლუტურად მზად ვიყავით. "მიშლენმა" კი ბრწყინვალედ იმუშავა, როდესაც ათიდან ცხრა რბოლისთვის საუკეთესო საბურავები შეგვირჩია. საერთოდ, მთელი გუნდი შესანიშნავად მუშაობს.

**- მოგწონს ეს ტრასა? რას ფიქრობ კარს მომდგარ მანი კურის ("საფრანგეთის დიდი პრიზი") რბოლაზე? არსებობს იმის შანსი, რომ საფრანგეთში აღიმართება ესპანეთის დროშა?**

- უნდა ვაღიარო, რომ ეს არ არის ჩემი საყვარელი ტრასა. მიუხედავად ამისა, ვერ გამიგია, აქ რატომ არ მაქვს კარგი შედეგები. გასულ კვირას ვერაფრით ვერ მოვახერხეთ, რომ მანქანას ისე ემუშავა, როგორც ჩვენ გვსურდა. თუმცა, არა მგონია, რომ ასეთი რამ ტენდენციად იქცევა. 2005 წლის შემდეგ ინიანაპოლისზე ფრთხილად უნდა ვყოფილიყავით. როგორც არ უნდა იყოს, მანი კურზე ყველაფერი კალაპოტში ჩადგება.



ალონსოს მიზანი მანქანის კარგად მართვაა.

თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ავტომატურად გავიმარჯვებთ. მჭიდრო ორთაბრძოლას კი "ფერარისთან" ველი. მთლიანობაში ის გუნდი გაიმარჯვებს, რომელიც სწორად შეარჩევს საბურავებს.

**- რომელი რბოლები მოგიტანს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს?**

- ყველა რბოლა მნიშვნელოვანია. "საფრანგეთის დიდი პრიზი" ჩვენი საჯინიბოსთვის განსაკუთრებული იქნება, რადგან ეს დიდი პრიზების ასწლოვანი იუბილეა. ამასთან, საფრანგეთის ეტაპს "რენოსთვის", Elf-თვის (ფრანგული საჯინიბოს ერთ-ერთი მთავარი სპონსორია) და "მიშლენისთვის" სხვა დატვირთვა ექნება, რადგან შინაურ კედლებში გვიწევს გამოსვლა. გარდა ამისა, კონკურენტუნარიანები უნდა ვიყოთ "ფერარისთან" და მათთან მორალური უპირატესობაც უნდა შევინარჩუნოთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკუთარ თავს ტრასიდან გადახვევის უფლება მივცეთ.

**- "რენოში" გაიზარდე და კარგად იცი, როგორ მუშაობს ეს გუნდი, რა შეუძლია. მაგრამ რას ელი ახალი გუნდისგან და როგორ უნდა გაუმკლავდე ახალ პოლიტიკურ ატმოსფეროს: "რენოში" მხოლოდ ფლავიო ბრიატორეა, "მაკლარენ-მერსედესში" კი ორმხრივი მმართველობაა...**

- პოლიტიკა არ მაინტერესებს. ჩემი საქმე მხოლოდ საჭესთან ჯდომაა. ჩემთვის ერთ-ერთი გამოცდა იქნება ახალ ადამიანებთან და გუნდთან მუშაობის სწავლა.

**- ამბობენ, რომ შესაძლოა, კოკპიტი გაუცვალო კიმი რაიკონენს...**

- ჯერ ვერაფერს გეტყვით. ერთადერთი, რაც ახლა ვიცი, ისაა, რომ 2006 წლის სეზონის დასრულებამდე მაქსიმუმს გავაკეთებ "რენოსთვის". მერე კი - ახალი გუნდისთვის.

**- სეზონის დასაწყისში "რენოს" აღმასრულებელი დირექტორი კარლოს გოსნი ამბობდა, ჩემპიონატებში "რენოს" მონაწილეობა დამოკიდებულია გუნდის გამარჯვებათა შესაძლებლობებზეო. ასეთივე განცხადება გააკეთა ინდიანაპოლისში "დაიმლერ-კრაისლერის" აღმასრულებელმა დირექტორმა დიტერ ცეტშემ. ახლა "მაკლარენი" დიდი წნეხის ქვეშ უნდა იყოს, რადგან მისი ბოლო გამარჯვებიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა. ამაზე რას ფიქრობ?**

- დიდი საქარხნო გუნდების სახელით ასპარეზობას მიჩვეული ვარ. ახლა დიდ საწარმოთა თანდასწრებით გიჟური რაღაცების კეთება აღარ შეიძლება. სეზონთა შორისაც პროფესიონალად უნდა დავრჩე. რა თქმა უნდა, ჩვენი საქმიანობიდან დიდ სიამოვნებას ვიღებთ, მაგრამ, ამას გარდა, არსებობს მუდმივი მოგზაურობები, სპონსორული ღონისძიებები და ა.შ. არა მგონია, რომ სხვა გუნდებში სხვაგვარი ვითარებაა. ჩემი მიზანი მანქანის კარგად მართვაა.

## მცირე სტატისტიკა

**"ოქროს ბურთი"**
ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი)
**"ვერცხლის ბურთი"**
ფაბიენ კანავარო (იტალია)
**"ბრინჯაოს ბურთი"**
ანდრეა პირლო (იტალია)
**"ოქროს ბუცი"**
მიროსლავ კლოზე (გერმანია) - 5 გოლი;
**"ვერცხლის ბუცი"**
ერნან კრესპო (არგენტინა) - 3 გოლი;
**"ბრინჯაოს ბუცი"**
რონალდო (ბრაზილია) - 3 გოლი;
**"ლევ იაშინის სახელობის პრიზი"**
მსოფლიოს საუკეთესო მეკარე - ჯანლუიჯი ბუფონი (იტალია)
**"საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი"**
ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია)
**ფიფას ფეირ-ფლეის პრიზი**
ბრაზილიისა და ესპანეთის ეროვნული ნაკრებები;
**საუკეთესო გოლები**
ფიფაში კარგა ხანს ბჭობდნენ, მსოფლიო ჩემპიონატზე გატანილი გოლებიდან რომელი დაესახელებინათ საუკეთესოდ - ლამის გოლი-სასწაული თუ ტიერი ანრის შორეული დარტყმა, რომელმაც ბრაზილიელთა გაჩემპიონების იმედი დაასამარა? თუ მესამე ადგილისთვის მატჩში შვაინშტაიგერის ტყვიასავით გატყორცნილი? მაგრამ ფიფამ სხვა გადაწყვეტილება მიიღო.
**გოლი N1**
**ჯო კოული (ინგლისი)**
ინგლისი - შვედეთი 2:2
34-ე წთ. 1:0
**გოლი N2**
**ფაბიო გროსო (იტალია)**
გერმანია - იტალია 0:2
119-ე წთ.
**გოლი N3**
**ესტებან კამბიასო (არგენტინა)**
არგენტინა - სერბეთი 6:0
31-ე წთ. 1:0

## უხვგოლიანი ფეხბურთელები

3 გოლი - ტიერი ანრი, ზინედინ ზიდანი (ორივე საფრანგეთი); დავიდ ვილია, ფერნანდო ტორესი (ორივე ესპანეთი); ერნან კრესპო, მაქსი როდრიგესი (ორივე არგენტინა), ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია), რონალდო (ბრაზილია);

2 გოლი - ადრიანო (ბრაზილია), პატრიკ ვიეირა (საფრანგეთი), ომარ ბრავო (მექსიკა), პაოლო ვანჩოპე (კოსტა-რიკა), აგუსტინ დელგადო, ედვინ ტენორიო (ორივე ეკვადორი), სტივენ ჯერარდი (ინგლისი), არუნა დინდანე (კოტ-დ`ივუარი), ტი კეჰილი (ავსტრალია), მანიშე (პორტუგალია), მარკო მატერაცი, ლუკა ტონი (ორივე იტალია), ტომაშ როსიცკი (ჩეხეთი), სებასტიან ფრეი (შვეიცარია), ბასტიან შვაინშტაიგერი (გერმანია), ანდრეი შევჩენკო (უკრაინა);

### საკუთარ კარში გატანილი გოლის ავტორები

კარლოს გამარა (პარაგვაი); კრისტიან ძაკარდო (იტალია); პეტიტი (პორტუგალია); სანჩო (ტრინიდადი და ტობაგო);

### გოლს+გადაცემა

6 - კლოზე (გერმანია); 4 - ზიდანი (საფრანგეთი), კრესპო (არგენტინა), რონალდო (ბრაზილია).

### პესოტოს მსოფლიო თასი კლინიკაში მიუტანეს

მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედ მოგება "სკუადრა აძურას" ფეხბურთელებმა ტურინის "იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების ექს-ფეხბურთელს ჯანლუკა პესოტოს მიუძღვნეს.

"კანალ 4"-ის ინფორმაციით, გუშინ ფაბიო კანავარომ და ჯანლუკა პალუკამ პესოტო საავადმყოფოში მსოფლიო თასით ხელში მოინახულეს.

"თვალზე ცრემლი მოადგა, გაიღიმა. მისი სახე არასოდეს დამავიწყდება", - განაცხადა პესოტოს მკურნალმა ექიმმა.

შეგახსენებთ, რომ ჯანლუკა პესოტო უამრავი მოტეხილობით წევს რომის კლინიკაში, სადაც თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ მოხვდა.

# განცხადება ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" თბილისი, ლუბლიანას N18/20 საკუთარი შემოსავლების ფარგლებში საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს ცენტრის საჭიროებისათვის მედიკამენტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. *შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:*

ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი"-ს საჭიროებისათვის სხვადასხვა დასახელების მედიკამენტები:

- საინჰალაციო ნარკოზისათვის
- სპეც.კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტები
- ანტიბიოტიკები
- გადასასხმელი საშუალებები
- საირიგაციო ხსნარი
- სხვადასხვა ჯგუფის მედიკამენტები

3. ***საქონლის მიწოდების პირობები*** - საქონლის მიწოდება განხორციელდება ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2006 წლის აგვისტოდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. ***მიწოდების ადგილი:*** ქ. თბილისი, ლუბლიანას N18/20 ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი".

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 2 აგვისტოს 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" ქ. თბილისი, ლუბლიანას N18/20 ოთახი NG308. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიძნულ მისამართზე 2006 წლის 2 აგვისტოს 17 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდული პირის რეგისტრაციის დამდასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ინფორმაცია ორგანიზაციის ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ, მისი დაფუძნების პერიოდიდან არაუმეტეს ბოლო სამი წლის.

დ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

8. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორბისათვის.

9. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამადასტურებლი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანტი ქვეყნების შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმნის სახით.

10. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სამ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით).

11. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

12. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ბანკი რესპუბლიკა, კოდი N220101757, ანგარიშის N34082415, (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 31 ივლისის 16 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" ქ. თბილისი, ლუბლიანას N18/20 ოთახი NG308.

13. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

14. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ზაზა ესაიაშვილი, ხათუნა ახალბედაშვილი. მისამართზე: ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" ქ. თბილისი, ლუბლიანას N18/20 ოთახი NG308, ტელ: 51-71-25.

# განცხადება ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" თბილისი, ლუბლიანას N18/20 საკუთარი შემოსავლების ფარგლებში საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს ცენტრის საჭიროებისათვის სამედიცინო აპარატურის, სამედიცინო აპარატურის სათადარიგო ნაწილებისა და აქსესუარების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. *შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:*

ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი"-ს საჭიროებისათვის სხვადასხვა დასახელების სამედიცინო აპარატურა, სათადარიგო ნაწილები და აქსესუარები.

3. ***საქონლის მიწოდების პირობები*** - საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2006 წლის აგვისტოდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. ***მიწოდების ადგილი:*** ქ. თბილისი, ლუბლიანას N18/20 ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი".

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 2 აგვისტოს 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" ქ. თბილისი, ლუბლიანას N18/20 ოთახი NG308. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიძნულ მისამართზე 2006 წლის 2 აგვისტოს 14 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სტენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდული პირის რეგისტრაციის დამდასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ინფორმაცია ორგანიზაციის ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ, მისი დაფუძნების პერიოდიდან არაუმეტეს ბოლო სამი წლის.

დ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორბისათვის.

8. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამადასტურებლი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმნის სახით.

9. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სამ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით).

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ბანკი რესპუბლიკა, კოდი N220101757, ანგარიშის N34082415, (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 31 ივლისის 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" ქ. თბილისი, ლუბლიანას N18/20 ოთახი NG308.

12. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ზაზა ესაიაშვილი, ხათუნა ახალბედაშვილი. მისამართზე: ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" ქ. თბილისი, ლუბლიანას N18/20 ოთახი NG308, ტელ: 51-71-25.

# განცხადება ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" თბილისი, ლუბლიანას N18/20 საკუთარი შემოსავლების ფარგლებში საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს ცენტრის საჭიროებისათვის ლაბორატორიული რეაქტივები და ტესტსისტემების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. *შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:*

ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი"-ს საჭიროებისათვის სხვადასხვა დასახელების ლაბორატორიული რეაქტივები და აქსესუარები:

- ლაბორატორიული გამოკვლევების დამხმარე მასალები
- კოაგულაციური ლაბორატორიული რეაქტივები (ნახევრად ავტომატური რეჟიმი)
- ბიოქიმიური ლაბორატორიული რეაქტივები
- კოაგულაციური ლაბორატორიული რეაქტივები
- იმუნოლოგიური ლაბორატორიული რეაქტივები (ტესტ-სისტემები)
- ლაბორატორიული გამოკვლევების დამხმარე მასალები - პათ. ანატომიური და პათ. მორფოლოგიური კვლევებისთვის

3. ***საქონლის მიწოდების პირობები*** - საქონლის მიწოდება განხორციელდება ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2006 წლის აგვისტოდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. ***მიწოდების ადგილი:*** ქ. თბილისი, ლუბლიანას N18/20 ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი".

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 2 აგვისტოს 10 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" ქ. თბილისი, ლუბლიანას N18/20 ოთახი NG308. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიძნულ მისამართზე 2006 წლის 2 აგვისტოს 16 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდული პირის რეგისტრაციის დამდასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ინფორმაცია ორგანიზაციის ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ, მისი დაფუძნების პერიოდიდან არაუმეტეს ბოლო სამი წლის.

დ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

8. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორბისათვის.

9. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამადასტურებლი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანტი ქვეყნების შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმნის სახით.

10. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სამ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით).

11. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

12. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ბანკი რესპუბლიკა, კოდი N220101757, ანგარიშის N34082415, (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 1 აგვისტოს 16 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" ქ. თბილისი, ლუბლიანას N18/20 ოთახი NG308.

13. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ზაზა ესაიაშვილი, ხათუნა ახალბედაშვილი. მისამართზე: ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" ქ. თბილისი, ლუბლიანას N18/20 ოთახი NG308, ტელ: 51-71-25.

# განცხადება ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" თბილისი, ლუბლიანას N18/20 საკუთარი შემოსავლების ფარგლებში საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს ცენტრის საჭიროებისათვის სამედიცინო დანიშნულების ერთჯერადი მოხმარების საგნები შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. *შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:*

ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი"-ს საჭიროებისათვის სხვადასხვა დასახელების სამედიცინო დანიშნულების ერთჯერადი მოხმარების საგნები:

- ერთჯერადი მოხმარების საგნები
- შესახვევი მასალა
- საკერავი მასალა
- და სხვა...

3. ***საქონლის მიწოდების პირობები*** - საქონლის მიწოდება განხორციელდება ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2006 წლის აგვისტოდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. ***მიწოდების ადგილი:*** ქ. თბილისი, ლუბლიანას N18/20 ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი".

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 2 აგვისტოს 10 საათიდან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" ქ. თბილისი, ლუბლიანას N18/20 ოთახი NG308. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიძნულ მისამართზე 2006 წლის 2 აგვისტოს 15 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

b) იურიდული პირის რეგისტრაციის დამდასტურებელი დოკუმენტი;

g) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

d) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

b) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ინფორმაცია ორგანიზაციის ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ, მისი დაფუძნების პერიოდიდან არაუმეტეს ბოლო სამი წლის.

დ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორბისათვის.

8. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამადასტურებლი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანტი ქვეყნების შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმნის სახით.

9. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სამ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით).

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ბანკი რესპუბლიკა, კოდი N220101757, ანგარიშის N34082415, (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 31 ივლისის 16 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" ქ. თბილისი, ლუბლიანას N18/20 ოთახი NG308.

12. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ზაზა ესაიაშვილი, ხათუნა ახალბედაშვილი. მისამართზე: ს.ს. "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" ქ. თბილისი, ლუბლიანას N18/20 ოთახი NG308, ტელ: 51-71-25.

# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

**I ობიექტი – დუშეთის რაიონში, სოფ. ილტოზას მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. ქსანის მარცხენა ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 12 068 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2 413 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 90 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**II ობიექტი – მცხეთის რაიონში, მდ. მტკვრის ნაპირზე ძეგვის ქვიშა-ხრეშის საბადოს „უკანაჭალის" VI უბანზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 704 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 341 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 50 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**III ობიექტი – ხარაგაულის რაიონში, სოფ. თეთრიწყაროს ტერიტორიაზე კირქვის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 487 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>97 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კირქვის ჯამური მოცულობა | 4 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |

**IV ობიექტი – მცხეთის რაიონში, მდ. მტკვრის ნაპირზე ძეგვის ქვიშა-ხრეშის საბადოს „უკანაჭალის" IV უბანზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 352 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>670 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 25 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**V ობიექტი –ბორჯომის რაიონში, დაბა წაღვერის დასავლეთით მდ. გუჯარეთის წყლის მარცხენა ნაპირზე და სოფ. ტიმოთესუბნის დასავლეთით მდ. გუჯარეთის წყლის მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3011 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>602 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 30 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**VI ობიექტი – დუშეთის რაიონში, სოფ. ქვეშეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 35 678 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>7 136 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეში ჯამური მოცულობა | 570 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**VII ობიექტი – კასპის რაიონში, სოფ. მიქელწყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. მტკვრის ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 5 699 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 140 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 42 500 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**VIII ობიექტი – თეთრიწყაროს რაიონში, სოფ. პატარა დურნუკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბაზალტის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 496 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>894 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ჯამური მოცულობა | 20 400 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**IX ობიექტი – ხობის რაიონში სოფ. საგვიჩიოს მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარე რიონის სანაპიროზე ინერტული მასალის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 20 075 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>4 015 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული ინერტული მასალის ჯამური მოცულობა | 200 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**X ობიექტი – მცხეთის რაიონში სოფ. ქსოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. ქსნის სანაპიროზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 20 113 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>4 023 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 150 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| **სალიცენზიო მოსაკრებელი I-დან X-ე ობიექტის ჩათვლით შეადგენს 900 ლარს** | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას.<br>სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი),ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |

წყალი

**XI ობიექტი – მარნეულის რაიონის სოფ. არაფლოში შულავერის არამადნეული მასალების ქარხნის ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილებიდან მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება ტექნიკური მიზნებისათვის**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 901 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>180 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის ჯამური მოცულობა | 576 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| **სალიცენზიო მოსაკრებელი XI-ე ობიექტისთვის შეადგენს 400 ლარს** | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას.<br>სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი),ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 275760<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 12 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 11 აგვისტოს 11 საათიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს **„ ბე"-ს** შემოტანის ქვითარი | **„ ბე"-ს** გადახდის ანგარიში-მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიში ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე)„ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „წიაღის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| **აუქციონზე „ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს** | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს

უბაჟო ვაჭრობის ობიექტის ფუნქციონირების დაწყების მიზნით მის სარეჟიმო ტერიტორიაზე არსებულ 50 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის შესახებ.

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:

- საიჯარო ქონება - ნავსადგურის სარეჟიმო ტერიტორიაზე არსებული 50 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი;
- იჯარის ფასი: 1 მ ფართობის ყოველთვიური საიჯარო ღირებულება შეადგენს 11 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში (დ.ღ.გ.-ს გარეშე);
- საიჯარო მიწის ნაკვეთზე განთავსებულია კომპანია "HG LTD" მიერ აგებული მსუბუქი კონსტრუქციის შენობა.

საკონკურსო პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ფართობი იჯარით გაიცემა იმ პირობით, რომ კონკურსში გამოვლენილ გამარჯვებულთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელი იქნება მეიჯარის (ნავსადგურის) პრივატიზების, ან მოცემული ფართობის პრივატიზების და ასევე რეალიზების შემთხვევაში.

ამასთან, კონკურსში გამოვლენილი გამარჯვებული კომპანია ან ფიზიკური პირი ვალდებული იქნება "HG LTD" -ს აუნაზღაუროს საიჯარო ნაკვეთზე განთავსებული მსუბუქი კონსტრუქციის შენობის საიჯარო თანხა, რომლის ღირებულებას მხარეები განსაზღვრავენ ურთიერთშეთანხმებით.

გარდა ამისა, მოიჯარე ქ.ფოთის ადგილობრივ ბიუჯეტში იხდის ქ.ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (საკრებულოს) მიერ დადგენილ ნორმატიულ ფასს, რაც 1 მ მიწის ნაკვეთზე შეადგენს 0,65 ლარს.

საკონკურსო წინადადებაში უნდა იყოს დაფიქსირებული კონკრეტული თანხა. ფასი არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე დათქმაზე ან სხვა მონაწილის (პრეტენდენტების) მიერ წარმოდგენილ წინადადებებზე და ფასზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს 2006 წლის 12 ივლისის დილის 10 საათიდან 2006 წლის 25 ივლისის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლი N52 (ნავსადგურის სამმართველო). ტ. 8(293) 7-01-48

განცხადების მიღების დაწყების დღიდან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საიჯარო ფართების ტექნიკურ მდგომარეობას.

საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
3. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას უპირატესობა მიენიჭება უბაჟო ვაჭრობის სფეროში 3 წლის მუშაობის გამოცდილების მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს 112 მ მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გაცემის შესახებ.

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:

- საიჯარო ქონება - ნავსადგურის სარეჟიმო ტერიტორიაზე არსებული 112 მ ფართობის მიწის ნაკვეთი;
- სასყიდლიანი აღნაგობის ფასი: 1 მ მიწის ნაკვეთის ყოველთვიური საიჯარო ღირებულება შეადგენს 3 ლარს (დ.ღ.გ.-ს და სხვა გადასახდელების გარეშე);

საკონკურსო პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

მიწის ნაკვეთი იჯარით გაიცემა იმ პირობით, რომ კონკურსში გამოვლენილ გამარჯვებულთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელი იქნება მეიჯარის (ნავსადგურის) პრივატიზების, ან მოცემული ფართობის პრივატიზების და ასევე რეალიზების შემთხვევაში.

გარდა ამისა, კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული მოიჯარე ქ.ფოთის ადგილობრივ ბიუჯეტში იხდის ქ.ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (საკრებულოს) მიერ დადგენილ ნორმატიულ ფასს, რაც 1 მ მიწის ნაკვეთზე შეადგენს 0,65 ლარს.

საკონკურსო წინადადებაში უნდა იყოს დაფიქსირებული კონკრეტული თანხა. ფასი არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე დათქმაზე ან სხვა მონაწილის (პრეტენდენტების) მიერ წარმოდგენილ წინადადებებზე და ფასზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს 2006 წლის 12 ივლისის დილის 10 საათიდან 2006 წლის 25 ივლისის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლი N52 (ნავსადგურის სამმართველო). ტ. 8(293) 7-01-48

საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
3. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას უპირატესობა მიენიჭება ნავსადგურის სარეჟიმო ტერიტორიაზე მომუშავე მოიჯარე კომპანიებს

**შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"**

TV5MONDE

## 12 ივლისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 16.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** წყალი ყველასათვის. დოკ. ფილმი. **07.30** ქრონიკები მთიდან. **08.30** ტელედილა. **10.25** ბიგუდი. ტელესერიალი. **11.05** ჩვენი ბაღი. **12.15** გადაშლილი ბიბლია.დოკ.ფილმი. **14.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი.ეპიზოდი 13, რისკი. **16.25** საოცრების შვილები. მხ.ფილმი. რეჟისორი სებასტიენ გრალი. 2002. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** ბიჭი და გოგო. სერიალი რეჟისორი გი ლეპაჟი. **19.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი.ეპიზოდი 13, რისკი. **20.30** გადაცემა: ფორტ ბოიარდი. **23.00** სამი ქალბატონი... ზაფხულის ერთი საღამო.4/4 რეჟისორი სებასტიან გრალი. 2005. **01.20** ვირუსი სამოთხეში. ტელესერიალი. **03.25** ტურ დე ფრანსი. დოკ.ფილმი.

# განცხადება

ქ. თბილისის საწარმოს შპს "თბილისის მეტროპოლიტენი" მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში დაგეგმილი აქვს მეტროსადგურების "დელისი" - "უნივერსიტეტის" დამაკავშირებელის ხაზის მშენებლობაზე ღია ტენდერის გამოცხადება.

შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის მსურველებს უნდა გააჩნდეთ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა (ფორმა N4) და შესაბამისი ფორმით დაშვება სახელმწიფო საიდუმლოებასთან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისათვის შეუძლიათ მიმართონ შპს "თბილისის მეტროპოლიტენის" შესყიდვების სამსახურს შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, ტელ: +995 32 943315; +995 32 356026.

შპს "თბილისის მეტროპოლიტენი"

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ენგურჰესი", ს/მ - ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო აცხადებს ტენდერს დისკური საკეტების ზეთსადაწნეო დანადგარის შესყიდვაზე, მოწოდებაზე და მონტაჟზე (შემდგომში საქონელი) და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. შესასყიდი საქონელი რაოდენობა დისკური საკეტების ზეთსადაწნეო დანადგარის - ერთი კომპლექტი, მიწოდების ადგილი გალის რ-ნი დას. საბერიო, შპს "ენგურჰესი"
3. საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადაა 360 დღე.
4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი დახურულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 2 აგვისტოს 14 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისი. Pპაკეტი გაიხსნება იმავე დღეს, იგივე მისამართზე დაინტერესებული პირთა თანდასწრებით სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადის დამთავრებისთანავე.
5. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირთათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

5.2. ფიზიკური პირისათვის (ინდ. მეწარმე).

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

ბ) ანკეტა რეგისტრაციის შესახებ; (საგადასახადოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).

გ) შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეუძლიათ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისში. სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვა უნდა მოხდესA შემდეგ რეკვიზიტებზე:

**შპს "ენგურჰესი" ქუთაისის პროკრედიტ ბანკის**
**ზუგდიდის ფილიალი**
**ს/კოდი 251716371 ა/ა 301467126 ბ/კ 220101929**

6. იმ პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტაცია, რომელიც არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო განცხადების მოთხოვნებთან, იქნება დისკვალიფიცირებული.
7. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.
8. წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირების ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
9. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებული პირები უნდა დაუკავშირდნენ შპს "ენგურჰესის" შესყიდვების სამსახურს ტ/ფ. 8(215) 301 80, 893 95-26-20

**სატენდერო კომისიის აპარატი.**

# ქ. თბილისის მერიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ




"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 72-ე და 73-ე მუხლებისა და "თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის მერიის შინაგანაწესი (დანართი 1).
2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მერი *გიორგი უგულავა*

**დამტკიცებულია ქ. თბილისის მერის**
**2006 წლის 3 ივლისის N37**
***ბრძანებით***
*დანართი*

## *ქ. თბილისის მერიის შინაგანაწესი*

**მუხლი 1. ზოგადი დებულება**

ქ. თბილისის მერიის შინაგანაწესი შედგენილია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 72-ე მუხლის შესაბამისად და მისი მიზანია ხელი შეუწყოს მერიის მოსამსახურეთა მიერ შრომისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას და სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებას.

**მუხლი 2. სამუშაო დროის დასაწყისი და დასასრული**

1. ქ. თბილისის მერიაში ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში, ყოველდღიური მუშაობის ხანგრძლივობა განისაზღვრება დღეში 8 საათით, ერთსაათიანი შესვენებით.

2. სამუშაო დღე იწყება 9სთ-სა და 30წთ-ზე და მთავრდება 18სთ-ზე და 30წთ-ზე. შესვენება იწყება 13 -დან 14სთ-მდე.

3. მოსამსახურე, რომელიც სამსახურებრივ საქმეზე, თავის მოვალეობის შესასრულებლად იმყოფება მერიის გარეთ, ითვლება სამსახურში მყოფად.

**მუხლი 3. დასვენების და სადღესასწაულო Dდღეებში, აგრეთვე ყოველდღიური სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ დაწესებულებაში ყოფნის პირობები და წესი**

მერიის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით მოსამსახურეს შეუძლია დასვენების და სადღესასწაულო დღეებში, აგრეთვე ყოველდღიური სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ დაწესებულებაში ყოფნა, როგორც გამონაკლისი, მხოლოდ ცალკეული მოსამსახურეთათვის გადაუდებელი, წინასწარ გაუთვალისწინებელი სამუშაოების არსებობის შემთხვევაში, ან როცა აუცილებელია დასრულებულ იქნეს დაწყებული სამუშაო, რომელიც ვერ დამთავრდებოდა დადგენილი სამუშაო დროის განმავლობაში წარმოების ტექნიკური პირობების გამო და რომელთა დროულად შესრულებაზე დამოკიდებულია შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობა.

**მუხლი 4. ხელფასის გაცემის დრო და ადგილი**

1. მერიის მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება შედგება თანამდებობრივი სარგოსაგან და სხვა დანამატებისაგან, რაც გათვალისწინებულია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით.

2. მერიის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებსა და თანამდებობათა დასახელებას ამტკიცებს ქ. თბილისის საკრებულო.

3. ხელფასი გაიცემა ყოველი თვის ბოლოს მოსამსახურეთა პლასტიკურ ბარათზე დარიცხვით, ს.ს. "საქართველოს ბანკში".

**მუხლი 5. სამსახურებრივ საკითხებზე განკარგულებათა მოსამსახურეებამდე დაყვანის წესი**

1. სამსახურებრივ საკითხებზე ხელმძღვანელის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს ოფიციალურად ეცნობა მოსამსახურე, რომელსაც ეხება იგი.

2. ოფიციალურად გაცნობა ნიშნავს იმ მოსამსახურის მიერ, რომელსაც ეხება აქტი, დოკუმენტის მეორე მხარეს ხელმოწერას, მითითებით "გავეცანი".

3. იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ეხება მოსამსახურეთა განსაზღვრულ ჯგუფს აქტის ოფიციალურად გაცნობის წესი შეიძლება შეიცვალოს მისი საჯაროდ გამოცხადებით.

4. საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის დაწესებულებაში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მოთავსებას.

**მუხლი 6. შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები**

1. ხელმძღვანელობა ვალდებულია მოსამსახურეებს შეუქმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები.

2. მოსამსახურე ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელმძღვანელობის განკარგულებები

ბ) დაიცვას შინაგანაწესის მოთხოვნები

გ) გაუფრთხილდეს მინდობილ, დაწესებულების ქონებას.

დ) შეასრულოს მხოლოდ მასზე დაკისრებული მოვალეობანი.

ე) წესრიგში იქონიოს სამუშაო ადგილი, დაიცვას სისუფთავე და სიმშვიდე დაწესებულებაში.

3. დაუშვებელია მერიის (შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის) შენობაში ხანძარსაშიში, ტოქსიკური ან სხვა მავნე ნივთიერების შემოტანა და მისი მოთავსება.

**მუხლი 7. თამბაქოს მოწევის წესი და ადგილი**

1. მერიის (შესაბამისი საქალაქო სამსახურის) შენობაში დაუშვებელია თამბაქოს მოწევა.

2. მერიის ადმინისტრაციულ შენობაში თამბაქოს მოწევისათვის სპეციალური ადგილები გამოიყოფა მერიის ადმინისტრაციის უფროსის მიერ, ხოლო მერიის საქალაქო სამსახურების შენობებში თამბაქოს მოწევისათვის სპეციალური ადგილები გამოიყოფა შესაბამისი საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელების მიერ.

3. ადგილები, რომლებიც გამოიყოფა თამბაქოს მოწევისათვის უნდა ექვემდებარებოდეს ვენტილაციას დღე-ღამის განმავლობაში სულ მცირე ერთი საათით მაინც.

4. თამბაქოს მოსაწევ ადგილზე განთავსდება შესაბამისი აბრები.

5. თამბაქოს მოწევის ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების განზრახ დარღვევისათვის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გამოიყენოს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ზომა.

**მუხლი 8. ადგილი სადაც თამბაქოს მოწევისათვის ადგილის გამოყოფა დაუშვებელია**

თამბაქოს მოწევისათვის სპეციალური ადგილის გამოყოფა აკრძალულია:

ა) მოსაცდელ ოთახებში, კორიდორებში, კიბის უჯრედებში;

ბ) ჰიგიენურ წერტილებში;

გ) ლიფტებსა და მცირე ზომის დახურული ტიპის კონსტრუქციებში;

დ) ბიბლიოთეკებში და სახის სახის საცავებში, სასწავლო ოთახებში, აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში;

ე) კვების პროდუქტების დამზადებისა და მათ სასაწყობო ადგილებში;

ვ) წყალსადენ-კანალიზაციის, ელექტრომომარაგების, სუსტი დენების, გათბობის, ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების ტექნიკის საკვანძო ტერიტორიებზე.

**მუხლი 9. სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულება და სამართლებრივი აქტების დაცვის ვალდებულება**

1. მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობანი, რომელიც განსაზღვრულია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, შრომის კანონთა კოდექსით, სხვა კანონებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით, შინაგანაწესითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

2. მოსამსახურე ვალდებულია სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც სამსახურს ეხება და მის სამსახურებრივ ადგილს უკავშირდება.

**მუხლი 10. სამსახურში არყოფნის შეტყობინების წესი**

1. სამსახურში არყოფნის ან შესაძლო დაგვიანების შემთხვევაში მოსამსახურემ ამის შესახებ, თავის უშუალო უფროსს უნდა შეატყობინოს სულ ცოტა ერთი დღით ადრე. შეტყობინება შეიძლება მოხდეს შემდგომ თუ არსებობს საპატიო მიზეზი.

2. მოსამსახურეთა სამსახურში გამოცხადებისა და დღის განმავლობაში დაწესებულებიდან გასვლის აღრიცხვა შეიძლება წარმოებდეს სპეციალურ ჟურნალით ან სხვა ტექნიკური საშუალებებით.

**მუხლი 11. შინაგანაწესის შესრულება**

1. შინაგანაწესი სავალდებულოა შესასრულებლად ქ. თბილისის მერიის ყველა საჯარო მოსამსახურისათვის.

2. შინაგანაწესი გამოიკვრება მერიის ადმინისტრაციის და საქალაქო სამსახურების ადმინისტრაციულ შენობებში სპეციალურად გამოყოფილ თვალსაჩინო ადგილას.3. შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში საჯარო მოსამსახურეს ეკისრება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს

**კონკურსს მის ბალანსზე რიცხული ქ. ქობულეთში ჩეხოვის ქ. N9-ში მდებარე 40 ბინიანი დაუმთავრებელი მშენებლობის და ქ. ქობულეთში ჯავახიშვილის ქ. N2-ში მდებარე ბარაკის ტიპის საცხოვრებელი სახლების და დამხმარე სათავსოს, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობებზე დამაგრებული მიწის ფართის რეალიზების მიზნით**

1. *ძირითადი საინფორმაციო მონაცემები*:

- სარეალიზაციო ქონების განთავსების ადგილი - ქ. ქობულეთი, ჩეხოვის ქ. N9 და ჯავახიშვილის ქ. N2
- სარეალიზაციო ქონების დახასიათება:

- ქ. ქობულეთში ჩეხოვის ქ. N9-ში მდებარე შენობის მშენებლობა დაიწყო 1989-90 წლებში და შეჩერდა 1991 წელს. პროექტით გათვალისწინებული იყო 5 სართულიანი, 40 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მშენებლობა შეჩერდა მე-4 სართულის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პროცესში. დაუმთავრებელ შენობაზე დამაგრებულია 930 კვ.მ. მიწის ნაკვეთი;

- ქ. ქობულეთში ჯავახიშვილის ქ. N2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლები (N1 და N2) და სათავსო წარმოადგენს ე. წ. ბარაკის ტიპის შენობებს-ნაგებობებს. საცხოვრებელი სახლი N1 აშენებულია 1883 წელს, N2 საცხოვრებელი სახლი აშენებულია 1894 წელს, ხოლო დამხმარე სათავსო აშენებულია 1948 წელს. შენობა-ნაგებობებზე დამაგრებულია 4504,5 კვ.მ. მიწის ფართი.

**- ქონების საწყისი სარეალიზაციო ფასი** - 410 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე).

**- "ბე"** - 6 900 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

**- განაცხადების მიღების ადგილი** - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ: 56-33-48; 56-65-10; 56-33-70. სადაც ასევე შეგიძლიათ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია სარეალიზებო ობიექტების შესახებ.

**- განაცხადების მიღების ვადა** - 2006 წლის 12 ივლისიდან 2006 წლის 25 ივლისამდე (შაბათ-კვირის გარდა), 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.

**- კონკურსის ჩატარების თარიღი (მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი) ადგილი და დრო** - 2006 წლის 26 ივლისი, 14.00 საათი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა.

**- შპს "საქართველოს რკინიგზის" საბანკო რეკვიზიტები** - სს "გაერთიანებული ქართული ბანკის" ფილიალი N3, ანგარიშსწორების ანგარიში N5553407, კოდი 220101665, საიდენტიფიკაციო კოდი 202886010.

**- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ** - საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

- კონკურსი ტარდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 19 ნოემბრის N1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ დებულების" მოთხოვნათა შესაბამისად.

*2. კონკურსის პირობები*

ა) კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია ობიექტის საბოლოო ღირებულება დაფაროს შპს "საქართველოს რკინიგზასთან" შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 წლის ვადისა, სარეალიზაციო ფასის გადახდის დღისათვის არსებული ოფიციალური კურსის (აშშ დოლარის ლართან მიმართებაში) გათვალისწინებით. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში გამარჯვებული შპს "საქართველოს რკინიგზასთან" ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში არ დაფარავს ობიექტის საბოლოო სარეალიზაციო ფასს, იგი მოვალეა ამ ვადის გასვლიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში შპს "საქართველოს რკინიგზას" წარმოუდგინოს საბანკო გარანტია იმის დამადასტურებლად, რომ ობიექტის საბოლოო სარეალიზაციო ფასი მთლიანად დაფარული იქნება შპს "საქართველოს რკინიგზასთან" ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 წლის ვადისა.

ბ) მყიდველი ვალდებულია ქ. ქობულეთში, ჯავახიშვილის ქ. N2-ში მდებარე N1 და N2 ბარაკის ტიპის საცხოვრებელ სახლებში ჩაწერილ და ფაქტიურად მცხოვრებ შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზის" თანამშრომელთა, ასევე ყოფილ თანამშრომელთა ოჯახები დააკმაყოფილოს საცხოვრებელი ბინის ფართით, ან საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ფულადი, ან სხვა სახის კომპესაციით და შპს "საქართველოს რკინიგზასთან" ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი, ნოტარიულად დამოწმებული შესაბამისი დოკუმენტები (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვა საბუთები).

გ) მყიდველი ვალდებულია ქ. ქობულეთის რკინიგზის სადგურის გასხვისების ზოლისა და მიმდებარე ტერიტორიის არქიტექტურული იერსახის გაუმჯობესების მიზნით შპს "საქართველოს რკინიგზასთან" ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კვირის ვადაში განახორციელოს ბარაკის ტიპის საცხოვრებელი სახლების და დამხმარე სათავსოს ლიკვიდაცია და მის მიერ შესყიდული ტერიტორიის დასუფთავება.

*3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმი*

- საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმებია მაქსიმალური გასაყიდი ფასის შემოთავაზება და საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება

*4. ნასყიდობის ხელშეკრულების დადება*

- კონკურსის შედეგების დამტკიცებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს "საქართველოს რკინიგზასთან" გააფორმოს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით, წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის შედეგები უქმდება და გამარჯვებილს "ბე" არ უბრუნდება. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მყიდველი.

- მყიდველი ვალდებულია, ხელშეკრულების შესრულების შესახებ ანგარიში წარმოადგინოს შპს "საქართველოს რკინიგზაში" ამავე ხელშეკრულებით და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ ვადებში.

- მყიდველის მხრიდან საკონკურსო და სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შპს "საქართველოს რკინიგზას" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მყიდველს "ბე" არ უბრუნდება და იგი ჰკარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

*5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები*

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს სარეალიზებო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

- კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადებები გასაყიდი ფასის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილება).

- "ბე"-ს გადახდის ქვითარი ("ბე" გადაიხდება შპს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).

- კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

- იურიდიული პირები წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

- კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

- კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გარეშე.

- გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

- კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

6. შენიშვნა

- მყიდველს გადახდილი "ბე" ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშწორებაში.
- სარეალიზაციო შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები კონკურსზე გამოტანილია ერთ ლოტად.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს საერთაშორისო ღია 70ვტ. 150 ვტ. უმაღლესი ხარისხის სანათების (ნათურებით) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია - 2 ლოტად (პოზიციად):

1. ლოტი (პოზიცია) - 70 ვტ. უმაღლესი ხარისხის სანათები (ნათურებით) - 4000 ცალი;
2. ლოტი (პოზიცია) - 150 ვტ. უმაღლესი ხარისხის სანათები (ნათურებით) - 1000 ცალი.

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2,5 თვე. 3.განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, უცხო ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე) და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 3 აგვისტოს 12 საათიდან 2006 წლის 3 აგვისტოს 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

**შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 12 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 2 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

9.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. გფა ტერრა სისტემსის წარმომადგენლობის კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტი აცხადებს ტენდერს ორ (2) ლოტად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის კომპიუტერული ტექნიკისა და გენერატორის შესყიდვისათვის და გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად.

I ლოტი

| # | Description<br>დასახელება | Specification<br>სპეციფიკაცია | Quantity<br>რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | Personal Computer for graphical activities<br>პერსონალური კომპიუტერი გრაფიკული სამუშაოებისათვის | Intel P4 3.0, RAM 1GB, HDD 160GB SATA, DVD +/- RW, FDD 1,44, Video 256MB, 4xUSB 2.0, 1x Parallel, 1xCom, LAN 10/100 MBps, Chipset Intel 915, Audio, Monitor CRT 19” | 10 |
| 2 | Personal Computer for Office work<br>პერსონალური კომპიუტერი საოფისე სამუშაოებისათვის | Intel P4 3.0, RAM 512, HDD 80GB, CD ROM, FDD 1.44, video 128MB, 10/100MBps, Chipset Intel 865, 4xUSB 2.0, 1x Parallel, 1xCom, Audio, Monitor CRT 17” | 10 |
| 3 | Black and White Printer Laser<br>შავთეთრი ლაზერული პრინტერი | A4, 14ppm, fpo: 10 sec, 5000 p/month paper input 150sh, autput 100 sheeps paper tray 2MB RAM, USB 2.0 **Duplex** | 10 |
| 4 | Fax<br>ფაქსის აპარატი | Thermal fax | 10 |
| 5 | Copy Machine<br>ასლგადამღები | A4/A3, 16 ppm, paper unit 500sh, manual feeder, with 2 x toner | 10 |
| 6 | HUB | 10/100 mb 5 port | 10 |
| 7 | UPS | | 20 |
| 8 | Laptop<br>ლეპტოპი | Intel Core Duo T2600 2,16 / 15,4" WUXGA+ **1920x1200 / RAM 1024Mb / HDD 80Gb 7200rpm** / DVD+RW / WXP PRO; CPU Cash 2Mb, Memory DDR2-667, HDD SATA, Chipset intel 945PM Express; Graphics ATI Mobility FireGL V5200 controller with **256Mb** of DDR2 Video memory Hardware OpenGL acceleration; Ports: 3 USB 2.0, VGA, mic in, line out, IEEE 1394a, AC power, RJ-11, RJ-45, serial, S-video TV out; Wireless: WLAN 802.11a/b/g, Bluetooth 2.0/ Sound | 2 |

კომპიუტერულ ტექნიკას თან უნდა ახლდეს მწარმოებელი ფირმიდან წარმომავლობის წერილი (brand-named) და უნდა გააჩნდეს სამი (3) წლის გარანტია.

II ლოტი

| # | Description<br>დასახელება | Specification<br>სპეციფიკაცია | Quantity<br>რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | Generator<br>გენერატორი | 4 KW | 10 |

2. კომპიუტერული ტექნიკის მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღე, ხოლო გენერატორების მოწოდების - 20 დღე.

3. მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ორ ეგზემპლარად, მოთავსებული ერთ დახურულ პაკეტში, 2006 წლის 2 აგვისტოდან 3 აგვისტოს 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბულაჩაურის 10/27, კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ოფისი, 4-ე სართული.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ე) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ, წესდება (ასლი);

ვ) საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ზ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

თ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ლიკვიდაციის და სანაციის საქმის წარმოება.

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი და ვადაგასული.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 2 აგვისტომდე, სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ. თბილისი, ბულაჩაურის 10/27, კადსტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ოფისი, 4-ე სართული.

7. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხული უნდა იქნეს:

მიმღების დასახელება - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიში N200122900, მიმღები ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი N220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - 8191.

8. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 3 აგვისტოს 12 საათზე.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

ვოვა ჩხაიძე, ანი მინდორაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი: 25 15 28
ფაქსი: 25 15 27
მისამართი: ქ. თბილისი, ბულაჩაურის 10/27, კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ოფისი.

**კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის სატენდერო კომისია**


# ივერია მოტორსი



- ახალი ავტომობილები ხელსაყრელ ფასებში
- გარანტიით
- თვითმცლელები, სატვირთოები, სპეცავტომობილები, მაღალი ტვირთამწეობის, მრავალღერძიანი ევრო-2, ევრო-3-ის სტანდარტების.

**მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, გუდაუთის ქ. N7. ტელ: 34-60-03, 34-16-50; მობ.: 899 51 30 49**


## განცხადება

**ს.ს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის" 28 ივნისის გაზეთში გამოქვეყნებული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

ს.ს "ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის" მიერ საკუთარი შემოსავლებისა და დაფინანსების წყაროს ფარგლებში, ცენტრის საჭიროებისათვის მედიკამენტების, დამხმარე მასალებისა და ლაბორატორიული საშუალებების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-2 პუნქტიდან ლოტი 4 შესახვევი მასალები და ერთჯერადი მოხმარების საგნები გაყოფილი იქნას ორ ლოტად: ***ლოტი 4. ერთჯერადი მოხმარების საგნები და ლოტი 11. შესახვევი მასალები***

**საქართველოს შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიცია აცხადებს კონკურსს აეროპორტ თბილისში მესაზღვრე-კონტროლიორის ვაკანტურ თანამდებობებზე.**

**კანდიდატისათვის საჭირო კვალიფიკაცია და მოთხოვნებია:**

**- უმაღლესი განათლება (უპირატესობა მიენიჭება სამართალმცოდნეს);**

**- ქართული და უცხო ენის ცოდნა (უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ენას).**

**საბუთების მიღება იწარმოებს 24 ივლისამდე შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის საკადრო საკითხთა სამმართველოში.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკადრო საკითხთა განყოფილებას. ტელ.: 37-02-99.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის კომპონენტის მშობიარობის ხარჯების ანაზღაურების ქვეკომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:

**I ლოტი**: სამეანო დახმარება ქ. თბილისში;
**II ლოტი**: სამეანო დახმარება ქ. ზუგდიდში;
**III ლოტი**: სამეანო დახმარება ქ. ქუთაისში;
**IV ლოტი**: სამეანო დახმარება ქ. სენაკში;
**V ლოტი**: სამეანო დახმარება ქ. თელავში;
**VI ლოტი:** სამეანო დახმარება ქ. სიღნაღში;
**VII ლოტი:** სამეანო დახმარება ქ. ქობულეთში.

3. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 1 აგვისტომდე, 10 საათიდან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული, ოთახი 608.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 დამატებითი მოთხოვნა როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის - ლიცენზია (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ.

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ვ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) ინფორმაცია განსახორციელებელი სკრინინგი-დიაგნოსტიკის მეთოდოლოგიის შესახებ;

თ) ინფორმაცია აღნიშნული მომსახურების სფეროში არსებული გამოცდილების შესახებ;

ი) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

9. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

10. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ სატენდერო წინადადებების წარმომდგენ პირებს.

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გადაცემა მოხდება 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შემდეგ ანგარიშზე: ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144. მეექვსე სართული, ოთახი 608.

12. პრეტენდენტებს თითოეულ ლოტზე უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება (წინადადებები).

13. ტენდერში გამოვლინდება რამდენიმე გამარჯვებული.

14. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე ტელ.: 696590, 694871, მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული, ოთახი 608; ტელ.: E-mail: Procurement@susif.ge

**სატენდერო კომისია**